პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
8 ივლისი **ორშაბათი** 2013
№158 (14 074) ფასი 80 თეთრი



## მძლეთამძლე

გენო პეტრიაშვილს ოქროს გზაზე ვერავინ გადაუდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

↳10

# მილუOK!

## ფაჩულია ბაქსში ბრუნდება

↳9



კრიშტიანო რონალდო დინამოს აკადემიაში

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო




ზაზა ფაჩულია მილუოკიში 9 წლის წინ თამაშობდა

## კრიშტიანო რონალდო:

# შემოვდგი ფეხი...

↳16

რეალის ვარსკვლავმა და ანდრეი შევჩენკომ დინამოს აკადემია გახსნეს



დინამო თბილისი 1 – დინამო მოსკოვი 1

↳2

მოსკოველთა კარს ჩისკო უტევს

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# დინამიადა მეგობრული შედეგით დაბრუნდა

## უიმბლდონის ტრიუმფატორები

↳14

**მეორე ცდა წარმატებული გამოდგა**

მარიონ ბარტოლიმ საბინ ლისიცკის იოლად მოუგო





**ბრიტანული ტრიუმფი 1936 წლის შემდეგ**

ენდი მარეიმ ნოვაკ ჯოკოვიჩი სამ სეტში დაამარცხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო (თბ). სამზადისი. საკონტროლო მატჩი

# საფეხბურთო მშვიდობა

07.07. თბილისი. დინამო არენა
20 000 მაყურებელი

**დინამო (თბ) 1**

**დინამო (მ) 1**

0:1 სობოლევი (3), 1:1 ჩისკო (73)

| დინამო (თბ) (4-4-2) | დინამო (მ) 4-4-2 |
|---|---|
| ლორია | შუნინი |
| სითურიძე | უილკშირი |
| კვარაცხელია | ფერნანდესი |
| უსტარიცი | ეპურიანუ |
| კვირკველია | ლომიჩი |
| გრაიციარი | სობოლევი |
| ძარია | იუსუპოვი |
| ხმალაძე | ნობოა |
| მერებაშვილი | სოლომატინი |
| დვალი | ვორონინი |
| ჩისკო | სმოლოვი |
| მწვრთნელი: დ. უჰრინი | მწვრთნელი: დ. პეტრესკუ |

**დინამო (თბ)**

56. დვალი — **ე. გრიგალაშვილი**
64. მერებაშვილი — **ლექვთაძე**
67. კვირკველია — **გლიშიჩი**
71. პაპავა — **გრაიციარი**
78. შაშიაშვილი — **კვარაცხელია**
87. ჩისკო — **ხოჭოლავა**

*სათადარიგოები: ზარქუა, ხურცილავა, გველესიანი, შინდაგორიძე, მიქაბერიძე*

**დინამო (მ)**

46. სობოლევი — **გატაგოვი**
46. იუსუპოვი — **ფლორესკუ**
46. უილკშირი — **შიტოვი**
60. სოლომატინი — **ტაშაევი**
72. ნობოა — **ზოგნინი**
74. ვორონინი — **ჯუჯაკი**
78. სმოლოვი — **პანიუკოვი**
86. შიტოვი — **ჩიჩერინი**

*სათადარიგოები: ბერეზოვსკი, ფროლოვი, როტენბერგი, ევსეევი*

*გაფრთხილება:* ფერნანდესი (68), ფლორესკუ (83), შაშიაშვილი (84), ტაშაევი (88), გატაგოვი (89)

*არბიტრი:* ლ. სილაგავა



პეტერ გრაიციარმა (მარცხნივ) შეხვედრა ტრავმის გამო ვერ დაასრულა

## ემოციური პეტრესკუ და აქტიური მერებაშვილი

24 წლის წინ იყო, თბილისის „დინამომ" და მოსკოვის „დინამომ" უკანასკნელად რომ ითამაშეს ერთმანეთთან. და აი, ამხელა პაუზის მერე ძველი მეტოქეების პაექრობა თბილისში შედგა. იმის მიუხედავად, რომ მატჩი ამხანაგური იყო, გულშემატკივარმა დიდი ინტერესი გამოიჩინა. ყოველ შემთხვევაში, ამხელა აუდიტორიას ჩვენი „დინამოს" მატჩებზე გადაჩვეულები ვართ და ქართველი ქომაგის დაინტერესებაც გასაგებია: ყველას გვაინტერესებდა საქართველოს ჩემპიონი როგორ წარმოჩინდებოდა ძლიერ მეტოქესთან შეხვედრაში. მოსკოვის „დინამო" კი ნამდვილად განეკუთვნება ასეთთა კატეგორიას და ევროტურნირების წინ საქართველოს ყველაზე ტიტულიანი კლუბისთვის პირდაპირ მისწრება იყო ძლიერ სპარინგპარტნიორთან საკუთარი შესაძლებლობის დამტკიცება. კი ბატონო, მოსკოვის „დინამოს" ტრავმის გამო **კევინ კურანი** აკლდა, კიდევ ერთი ლიდერი **ბალაშ ჯუჯაკი** შეცვლაზე შემოვიდა, თუმცა **დან პეტრესკუს** განწრთნილ გუნდში მაინც მრავლად იყვნენ გამორჩეული შემსრულებლები: **ანტონ შუნინი** (მეკარე), **ლეანდრო ფერნანდესი** (მცველი), **კრისტიან ნობოა** (ნახევარმცველი), **ანდრეი ვორონინი** (თავდამსხმელი) ჩვენი მეტოქის კლასი მატჩის დასაწყისშივე გამოჩნდა: მოსკოვის „დინამომ" მართლაც შესაშური და სამაგალითო შეტევა განახორციელა, სამი-ოთხი პასით უპრობლემოდ გადმოვიდა ჩვენს ნახევარზე, მერე მარჯვენა ფლანგიც დატვირთეს, ბოლო, გამჭოლ გადაცემას კი **ვლადიმირ სობოლევის** ზუსტი დარტყმა მიყვა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **გიორგი ლორიას** კარში ბურთი მცირე რიკოშეტით შევარდა.

აი, ასეთი დასაწყისი ჰქონდა ძველი მეტოქეების ამხანაგურ შეხვედრას, რომლის საბოლოო შედეგსაც გულშემატკივართა უმრავლესობა... ფრეს ვარაუდობდა და ასეც მოხდა! თანაც, ისე როგორც 70-იან წლებში თბილისისა და მოსკოვის „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატის ზედიზედ ექვსი მატჩი სწორედ ასეთი ანგარიშით მთავრდებოდა. თუმცა, გუშინდელ ამხანაგურ შეხვედრას ვნებათაღელვაც ახლდა: ტრიბუნებზეც რამდენჯერმე დაიძაბა სიტუაცია და მოედანზე ერთი-ორ ეპიზოდში აშკარად „არაამხანაგური" ორთაბრძოლაც ვიხილეთ. ეგ კი არა, „დინამოს" ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა **პეტერ გრაიციარმა** მძიმე ტრავმა მიიღო და მოედნიდან საკაცით გაიყვანეს; ასევე დაშავდა **გივი კვარაცხელია** და ისიც შესაცვლელი გახდა; სტუმართა რუმინელი მწვრთნელი **დან პეტრესკუ** კი მთელი მატჩის განმავლობაში ემოციურად აპროტესტებდა ქართველი არბიტრების გადაწყვეტილებებს (განსაკუთრებით — მეორე ტაიმში). რას ვიზამთ, მსაჯების სიმპათია ხანდახან ჩვენს გუნდებსაც „სჭირდებათ" და, ამის გამოც, გუშინდელ მატჩში ქართველ არბიტრთა ბრიგადა არავინ უნდა დაძრახოს. მიზეზი მარტივია: აბა, წარმოიდგინეთ, ეს მატჩი მოსკოვში რომ ჩატარებულიყო და არბიტრიც იქაური ყოფილიყო, ძნელი მისახვედრი არ იქნებოდა შეხვედრის „სცენარი" როგორ წარიმართებოდა. თუმცა, ალბათ, სჯობს რომ ისევ გუშინდელ შეხვედრას დავუბრუნდეთ და უპირველესად ის უნდა ვთქვათ, რომ ჩვენმა „დინამომ", ფაქტობრივად, ოპტიმალური (გნებავთ, უძლიერესი) შემადგენლობით ითამაშა. თანაც, რაც ყველაზე თვალში საცემი იყო, სწრაფ გოლს ჩვენების თამაშზე დამთრგუნველად არ უმოქმედია და საპასუხო შეტევაში კინალამ ანგარიშიც გავათანაბრეთ: **გიორგი მერებაშვილმა** მარცხენა ფლანგზე ჩინებული რეიდი განახორციელა, რომელიც კუთხურით დასრულდა. საერთოდაც, პირველ ტაიმში მერებაშვილი ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ მოედანზე და თავისი მეურვე, ავსტრალიელი **ლუკ უილკშირი** ხომ პირწმინდად დაჩაგრა, მეტოქის კარსაც არაერთხელ დაემუქრა. ერთხელ მცველი „ჩაუნვა" ბოლო მომენტში. და მომენტი ასე განიმუხტა, მეორედ კარის ხაზიდან გამოიტანეს ბურთი, მესამე ეპიზოდში კი მერებაშვილის დარტყმის მერე ბურთი სტუმართა კარის ხარიხას მოხვდა. ამის გარდა, ის ეპიზოდებიც უნდა აღვნიშნოთ, როცა **ირაკლი ძარიას** და პეტერ გრაიციარს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ **ანტონ შუნინი** უშეცდომოდ თამაშობდა. გულხელდაკრეფილი არც სტუმრები ყოფილან: **ვლადიმერ სობოლევმა** კინაღამ „დუბლი" შეასრულა, — იმ ეპიზოდში **გიორგი ლორიამ** იყოჩაღა. თუმცა, საქართველოს ნაკრების მეკარე მანამდე კინაღამ დაისაჯა: თამაშში ბურთი კარგად ვერ შემოიტანა და მოსკოვის „დინამოს" ერთ-ერთმა ლიდერმა, ეკვადორელმა **კრისტიან ნობოამ** შორი მანძილიდან ცარიელ კარს ვერ დაუმიზნა, თორემ...



დავით კვირკველია (ბურთით)

## აშკარა უპირატესობა და მოსალოდნელი ლოგიკა

მეორე ტაიმის დასაწყისი სტუმრების აქტიური თმაშით დაგვამახსოვრდა და ისევ ნობოა-ლორიას „დუელი" ვიხილეთ, ჩვენი მეკარის დამაჯერებელი თამაშით რომ დამთავრდა. თუმცა, ეს იყო და ეს: მატჩის დამთავრებამდე მოსკოველებმა მხოლოდ ერთადერთი რეალური მომენტი შექმნეს, დანარჩენი დრო კი თბილისის „დინამოს" აშკარა უპირატესობით წარიმართა. ჯერ **ჩისკოს** შეეძლო გოლის გატანა: **ჯაბა დვალის** ეფექტური პასით ესპანელი გოლიადორი მახვილი კუთხიდან ურტყამდა, მაგრამ ბურთი მიზანს ააცილა. ამასობაში ორივე გუნდის მწვრთნელმა მოედანზე ახალ-ახალი ფეხბურთელები შემოიყვანა და ამათგან, **ელგუჯა გრიგალაშვილი** და **გიორგი პაპავა** გვინდა გამოვყოთ. გრიგალაშვილი თავდამსხმელის პოზიციაზე გამწესდა და ასისტენტობასაც კარგად ართმევდა თავს და მეტოქის კარსაც ემუქრებოდა. ერთ ეპიზოდში მისი შორეული დარტყმის მერე ანტონ შუნინმა ბურთი გაჭირვებით მოიგერია, მოსკოვის „დინამოს" მეკარემ არც გრაიციარს დაანება გოლის გატანა და გიორგი პაპავას მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმაც მოიგერია. მოკლედ, ჩინებულად იდგა კარში ანტონ შუნინი, მაგრამ როცა თავისი მცველების უხეში შეცდომის მერე ჩისკო ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, აი, იმ ეპიზოდში თავისი გუნდის გადარჩენა ველარ შეძლო. ისე, პირველი გოლის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც რიკოშეტი მოხდა, თუმცა, ეს უკვე „მეორეხარისხოვანი" იყო: თბილისის „დინამომ" ანგარიში გაათანაბრა და მოსაგებადაც „გაიწია", მაგრამ საბოლოო შედეგი, ალბათ, მაინც ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ. უბრალოდ, საწყენია, როცა ამხანაგურ მატჩში გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი (პეტერ გრაიციარი) ტრავმას იღებს; თანაც, უნდა ვაღიაროთ, რომ დღესდღეობით თბილისის „დინამოს" გრძელი სათადარიგოთა სკამი ნამდვილად არა აქვს.

**გია ტუხაშვილი**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



ჩისკომ გოლი ტრადიციულად აღნიშნა



კრიშტიანო რონალდო (მარჯვნივ) და მისი მეუღლე ირინა შეიკი დინამო არენაზე

● 19-წლამდელთა ნაკრები



# სამზადისი ევროპის ჩემპიონატისთვის

6 ივლისის გამთენიისას, საქართველოს 19-წლამდე ნაკრები ლატვიაში, ევროპის ჩემპიონატის დასკვნით შეკრებაზე გაემგზავრა. აღსანიშნავია, რომ გუნდი რიგაში პირდაპირი რეისით გაფრინდა.

შეგახსენებთ, რომ ლატვიურ შეკრებაზე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გია ცეცაძემ** შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები: გაბრიელ თებიძე (საჩხერის "ჩიხურა"), ბაჩო მიქავა (ქუთაისის "ტორპედო")

მცველები: დავით მთივლიშვილი, ნიკა ჭანტურია, ნიკა სანდოხაძე, დავით უბილავა (ოთხივე – ქუთაისის "ტორპედო"), სანდრო გურეშიძე (თბილისის "დინამო"), ლევან გეგეჭკორი (მარტვილის "მერანი"), ლაშა დვალი (რიგის "სკონტო", ლატვია)

ნახევარმცველები: გურამ სამუშია, ავთო ენდელაძე (ორივე – "ზესტაფონი"), თემურ მარკოზაშვილი (ქუთაისის "ტორპედო"), დაჩი ცნობილაძე (რუსთავის "მეტალურგი")

თავდამსხმელები: ბაჩანა არაბული (გორის "დილა"), ბუდუ ზივზივაძე (თბილისის "დინამო"), გიორგი ფანცულაია (ქუთაისის "ტორპედო"), ნიკა კაჭარავა (ყაზანის "რუბინი", რუსეთი), ლუკა ზარანდია (ქუთაისის "ტორპედო")

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ქართული დელეგაცია ლატვიის დედაქალაქში, სასტუმრო Days Hotel-ში დაბინავდა, სადაც ნაკრებისა და რიგის "სკონტოს" მცველი **ლაშა დვალი** დახვდათ. 11 ივლისს მისი კლუბი რიგაში ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩში "ტირასპოლს" უმასპინძლებს და მანამდე ლაშა "სკონტოში" ივარჯიშებს. ამ შეხვედრაზე ჩვენი მწვრთნელები და ფეხბურთელები სტადიონზე წასვლას და თანაგუნდელის მხარდაჭერას აპირებენ. შეკრებაზე ჯერ არ ჩამოსულა ყაზანის "რუბინის" თავდამსხმელი **ნიკა კაჭარავა**, რომელიც გუნდს დღეს, 8 ივლისს შეუერთდება. **ნიკა ჭანტურია** და **ნიკა სანდოხაძე** კი 11 ივლისს ქუთაისის "ტორპედოსთან" ერთად სლოვაკეთში, "ჟილინასთან" ევროლიგის განმეორებითი მატჩის ჩასატარებლად გაემგზავრებიან და ნაკრებს მეორე დღეს შეუერთდებიან.

ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორის, **ნიკა ჩხეიძის** თქმით, ნაკრები ლატვიაში ადრიანად იმიტომ გაემგზავრა, რომ ბალტიისპირულ კლიმატთან აკლიმატიზაცია გაიარონ.

*"რიგაში 16 ივლისამდე გავჩერდებით, დილით ვივარჯიშებთ და გავემგზავრებით კაუნასში, სადაც ევროფინალის მონაწილეები დაბინავდებიან. ჩვენთან ერთად სასტუმროში იქნებიან საფრანგეთისა და პორტუგალიის ნაკრებები. ჩვენ და ესპანეთს კი ერთი სავარჯიშო მოედანი გამოგვიყვეს და მათთან დროები შევათანხმეთ"* – გვითხრა ჩხეიძემ.

მგზავრობით დაღლილი ფეხბურთელები დღის განმავლობაში ისვენებდნენ. საღამოს 6 საათისთვის კი **გია ცეცაძემ** გუნდი სავარჯიშოდ წაიყვანა.

ვარჯიშმა საათნახევარს გასტანა და საკმაოდ დინამიკური და აქტიური გამოდგა. ფიზიკურ კონდიციებზე მუშაობას საკმაო ხანი დაუთმო **თემურ ლორთქიფანიძემ**. ფეხბურთელები ასევე დიდხანს მუშაობდნენ კომბინაციების დახვეწაზე, ბოლოს კი ორკარა ითამაშეს.

ნაკრებმა გუშინაც იმავე განრიგით ივარჯიშა, 11 ივლისს კი, ამხანაგური შეხვედრა დაიგეგმა – გია ცეცაძის შეგირდებს "სკონტოს" დუბლშემადგენლობა დაუპირისპირდება.

აქვე ვიტყვით, რომ ყვითელი ბარათების გამო, 20 ივლისს პირველ შეხვედრას საფრანგეთთან **გურამ სამუშია** და **დავით უბილავა** გამოტოვებენ.

დღეიდან, 8 ივლისიდან, ფედერაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელის, **ლაშა დვალიშვილის** თქმით, "საზოგადოებრივ მაუწყებელი" ყოველდღიურად შემოგვთავაზებს სატელევიზიო "დღიურებს", სადაც დაწვრილებით იქნება მოთხრობილი ჩვენი გუნდის მზადების შესახებ. გადაცემა ეთერში ყოველ სამუშაო დღეს, საღამოს 23 საათზე გავა.

*"ამ 20-წუთიან გადაცემაში ასახული იქნება იმ დღის მოვლენები და პლუს, წარვადგენთ მოთამაშეებს. მაყურებელი იხილავს, რა ხდება გუნდის სამზარეულოში, როგორ ემზადებიან, ისვენებენ, ერთობიან... ანუ ის, რაც ტელეეკრანებზე არასოდეს ჩანს* – ამბობს დვალიშვილი.

სხვათა შორის, ფეხბურთის ფედერაციამ ალმასკომის წევრებს სიურპრიზი მოუწყო. ჩაატარა კენჭისყრა, რომლის ხუთი გამარჯვებული ევროპის ჩემპიონატზე წასვლით დაჯილდოვდა. ხუთივე რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტია: **გოჩა როსტომაშვილი** (კახეთი), **კახა ებრალიძე** (გურია), **ვიქტორ გრძელიშვილი** (მცხეთა-თიანეთი), **გელა მაისურაძე** (სამცხე-ჯავახეთი) და **გია რევაზიშვილი** (შიდა ქართლი).

**მერაბ მამულაშვილი**

● სამზადისი

# დილა ვიტორულს დაუზავდა

თურქულ შეკრებაზე მყოფი გორის „დილა" გასულ უქმეებზე რუმინულ „ვიტორულს" გაეჯიბრა და 1:1 ითამაშა.

„დილა" პირველ ტაიმში დაწინაურდა, **მიხეილ გორელიშვილმა ირაკლი მოდებაძე** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, გორელთა თავდამსხმელი წააქციეს და 11-მეტრიანი მოდებაძემ შეასრულა ზუსტად.

პირველი ტაიმის მიწურულს რუმინელებმა ანგარიში გაათანაბრეს. ბარემ აქვე გეტყვით, რომ „ვიტორული" რუმინეთის თვრამეტგუნდა ჩემპიონატში მე-13 ადგილზე გავიდა, ამ კლუბის მფლობელი კი ლეგენდარული **გეორგე ჰაჯი** გახლავთ.

მეორე ტაიმში „დილას" კიდევ შეეძლო გოლის გატანა, თუმცა **გიორგი ილურიძემ, გეგა დიასამიძემ** და **რატი ალექსიძემ** შანსები ვერ გამოიყენეს.

„დილას" შემადგენლობა ასეთი იყო: რევიშვილი, ალადაშვილი, კობახიძე (ხიზანეიშვილი 46), თომაშვილი, გურული, ლონლაძე, დ. ბოლქვაძე (დიასამიძე 60), გვალია, დოლიძე (ილურიძე 46), გორელიშვილი, მოდებაძე (ალექსიძე 65).

რუმინელებამდე „დილა" აზერბაიჯანულ „სიმურგს" გაეჯიბრა. **გიორგი ჩიხრაძის** გაწვრთნილ ზაქათალელებთან „დილამ" 3:3 ითამაშა, ორი გოლი მოდებაძემ გაიტანა, ერთიც **გიორგი გურულმა.**

თურქული შეკრების მომდევნო ამხანაგური მატჩი „დილას" ირანის ჩემპიონთან, თეირანის „ესტეგლალთან" აქვს დაგეგმილი.

**დავით თავართქილაძე**

● წარმოგიდგენთ 19-წლამდელებს

# ნიკა სანდოხაძე: ამდენს მივაღწიეთ და გაჩერება არ შეიძლება

**ნიკა სანდოხაძე გულშემატკივარმა კობა ჟორჟიკაშვილის 17-წლამდელთა ნაკრებიდან გაიცნო. სხვა თუ არაფერი, სიმაღლით იქცევდა ყურადღებას – 16 წლის ბიჭი 193 სმ იყო.**

**კობა ჟორჟიკაშვილის ნაკრების წევრმა გულშემატკივარს თავი 2010 წლის ოქტომბერში თბილისში გამართულ ევროშესარჩევის ჯგუფურ შეხვედრებში დაამახსოვრა - ნაღდი კაპიტანი, მებრძოლი, საიმედო, თავდადებული და აქტიური ცენტრალური მცველი. 19-წლამდელებშიც პირველივე დაძახებიდან არის. ელიტრაუნდში ორჯერ ითამაშა, მალე კი ევროპის ჩემპიონატზეც იასპარეზებს.**

## ეზოდან დაწყებული კარიერა

ეზოში ვთამაშობდი, ბავშვთა ფეხბურთის ცნობილი მწვრთნელი თემურ თვალჭრელიძე რომ მიყურებდა და "ლოკომოტივში" დამიბარა. ფეხბურთი მიყვარდა და გამიხარდა. მაგრამ მალე ისევ შევეშვი და ერთი წელი გავაცდინე.

ბიძაჩემმა გიორგი ჯმუხაძემ დამაძალა და "ნორჩ დინამოელში" ზორბეგ ებრალიძესთან შემიყვანა. იქ ორი წელი ვივარჯიშე და "დინამოს" აკადემიაში კახა გოგოლაძესთან გადავედი, "დინამოს" დუბლშემადგენლობაში ვვარჯიშობდი, როდესაც ცენტრალურ მცველად მომსინჯეს. ნაკრებში პირველი შეხვედრა კარგად გამომივიდა და მას შემდეგ ნაკრებშიც და კლუბშიც მცველად მათამაშებენ. ეს ჩემთვის უცხო პოზიცია იყო და, ცხადია, დასახვეწი ბევრი მქონდა, მაგრამ ჟორჟიკაშვილსიგან ბევრი ვისწავლე.

მერე კი გიორგი დევდარიანმა ერთი წლით უფროსების 19-წლამდელებში გამომიძახა, რაც ასევე დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ელიტ რაუნდში გუნდი ოთარ კორღალიძემ წაიყვანა და იქაც დიდი გამოცდილება მივიღე – ჩვენს ასაკში ხომ ერთწლიანი განსხვავება ბევრს ნიშნავს.

პოზიციაზე ხომ ბევრი ნიჭიერი ბიჭია და შემცვლელს უცებ მომიძებნიდნენ.

ამიტომ, ვცდილობ, რაც უნდა მეზარებოდეს, ან ცუდად ვიყო, გულიანად ვივარჯიშო. ჩემს ასაკში გართობა ყველას უნდა და რეჟიმის დაცვა ძნელია, მაგრამ პროფესიონალიზმს აქედანვე თუ არ მივეჩვევი, ფეხბურთს ვერ ვითამაშებ.

■ ■ ■

ჩემზე დიდი გავლენა გია ცეცაძემ მოახდინა. მასთან მუშაობის დროს ფეხბურთელები თავდაჯერებულები გავხდით. შეკრული გუნდი გვყავს, ჭკვიანური ტაქტიკით. ლამაზ ფეხბურთს ვთამაშობთ და ევროფინალშიც კლასისა და თავდადების ხარჯზე გავედით.

ცხადია, ლიტვაში ჯგუფური ეტაპიდან გასვლა გვსურს. სადაც ამდენს მივაღწიეთ, ახლა გაჩერება სირცხვილი იქნება – ახლა უფრო დიდი სტიმული გაგვიჩნდა.

მიხარია, მე და ჩემი გუნდელები ასეთ მიზნებზე რომ ვფიქრობთ. არადა, კარგად მახსოვს, სანაკრებო კარიერას როგორი



**დოსიე**

**ნიკა სანდოხაძე**

დაიბადა 1994 წლის 20 თებერვალს (19 წლის)
სიმაღლე 196 სმ; წონა 89 კგ
პოზიცია: ცენტრალური მცველი

**სანაკრებო დებიუტი:**

ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი 18.10.10 საქართველო 2:1 პოლონეთი

**სანაკრებო კარიერა:**

U-17 საქართველო – 5 მატჩი, 0 გოლი
U-19 საქართველო – 9 მატჩი, 0 გოლი

**საკლუბო კარიერა:**

2010/12 – თბილისის "დინამო 2"
2012 – ქუთაისის "ტორპედო"

მაგრამ ორი წელიწადია, ქუთაისის "ტორპედოში" გამოვდივარ.

## ზემოდან დანახული სამყარო

ბავშვობაში სიმაღლით არ გამოვირჩეოდი. მაგრამ 2007 წელს, როდესაც "ნორჩი დინამოში" ვთამაშობდი, ტანი მთელი 20 სანტიმეტრით ავიყარე. თავიდან ორგანიზმს ასეთ სიმაღლესთან შეგუება გაუჭირდა. მაგრამ დროთა განმავლობაში, შევეჩვიე, კუნთის და გულის მოძრაობა შესაფერისი გამიხდა, ძვლებიც გამიმაგრდა, სიმაღლე ორგანიზმის ზრდას შეუსაბამდა და ნელნელა კონდიციებიც აღვიდგინე.

ამას ჩემს სისწრაფეზე დიდი გავლენა არც მოუხდენია, რაც ასეთ დროს ხდება ხოლმე - ისედაც საშუალო სისწრაფე მქონდა. 17-წლამდელებში კობა ჟორჟიკაშვილმა სპეციალური ვარჯიშები დამინიშნა და როგორც ვხედავ, ამან შედეგიც გამოიღო.

## შეტევიდან დაცვაში

თავიდან ცენტრალური ნახევარმცველი ვიყავი. არგენტინული ფეხბურთი და ეს ქვეყანა მარადონამ შემაყვარა. ასე მგონია, იქ იმისთვის იბადებიან, ფეხბურთი რომ ითამაშონ და ამ სილამაზით სიამოვნება მოგანიჭონ.

მარადონას სიყვარულით, მეც გამთამაშებლობით დავიწყე და დღემდე მიყვარს შეტევა და გოლი გატანა. მაგრამ თვალჭრელიძე მეუბნებოდა, დაცვაში უნდა ითამაშოო. ამპლუა მოგვიანებით, "დინამოს" აკადემიაში შემიცვალეს, როდესაც მცველი დაგვიშავდა და უკან იძულებით დამხიეს.

ყველაფერი ერთმანეთს უცნაურად დაემთხვა: კობა ჟორჟიკაშვილმა ნაკრების სელექცია დაიწყო და მაშინ მნახა,

19-წლამდელებში კახა კაჭარავასთან და გია ცეცაძესთან უფრო და უფრო თავდაჯერებული გავხდი. ბედნიერი ვარ, ამ მწვრთნელებთან რომ მიმუშავია – ყველას თავისებური ხედვა ჰქონდა და ძალაუნებურად, მეც ბევრს ვსწავლობდი.

ყველაზე მნიშვნელოვანი სანაკრებო მოვლენა, რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატზე გასვლა იყო. 4 წელია, რაც ორი სხვადასხვა ასაკის ნაკრების წევრი ვარ და ეს იყო ჩვენი მიზანი, ევროპის 8 საუკეთესო გუნდს შორის მოვხვედრილიყავით.

## ნუ გაჩერდები

ელიტრაუნდზე პირველად რომ გავედით, უზომოდ ბედნიერები ვიყავით. ბიჭები კობა ჟორჟიკაშვილმა გამოგვაფხიზლა, ნუ იცხოვრებთ წარსულით, მომავალზე იფიქრეთ და ყოველდღე ისწავლეთ, თორემ თქვენზე ნიჭიერები გვყოლია და ვერაფერს მიაღწიესო.

ამ სიტყვებმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. დავფიქრდი, მართალი იყო - მე რომ მეფიქრა, ნაკრებში გარანტირებული ადგილი მაქვს და ვერავინ შემეცილება-მეთქი, გუნდის კარი მაშინვე დაიხურებოდა. ჩემს ფიქრებით ვიწყებდით. 17-წლამდელების შესარჩევი ციკლის დაწყებამდე იმედი მქონდა, მაგრამ არც ვიცოდი, რისი. ერთ-ერთ უმძიმეს ჯგუფში, რვა თვის შეკრებილი გუნდით გაცილებით შეთამაშებულ მოწინააღმდეგეებთან მოვხვდით – ინგლისი, შვედეთი და პოლონეთი საფეხბურთო ქვეყნებია, ფეხბურთელები მშვენიერ პირობებში ვარჯიშობენ და ვფიქრობდი, რატომ ჩვენ და არა ისინი, როდესაც ყველაფრით ჩვენზე წინ არიან? თუმცა მოედანზე ყველაფერი თანაბრდება და პირობებზე წინ დგება თავდადება, ნიჭი, რაშიც ქართველები არავის ჩამოვუვარდებით.

## ტორპედოზე

ავსტრიულ შეკრებაზე ფეხი ვიტკინე, ვმკურნალობდი და მწვრთნელს რომ სდომოდა, "ჟილინასთან" მაინც ვერ ვითამაშებდი. თუმცა, სლოვაკებთან წაგებამ ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა.

საბედნიეროდ, სერიოზული არაფერია – ტრავმას ევროპის ჩემპიონატამდე მოვირჩენ, 2-3 დღე მჭირდება და ლატვიურ შეკრებაზეც სრული დატვირთვით ვივარჯიშებ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები


ჯანო ანანიძე

## ანანიძემ როსტოვში ივარჯიშა

**ჯანო ანანიძე** უკვე როსტოველებთან ერთად ემზადება. როგორც ცნობილია, საქართველოს ნაკრების 20 წლის ნახევარმცველი მოსკოვის "სპარტაკმა" პრემიერლიგის "როსტოვში" იჯარით გაუშვა.

ჯანოსთან ერთად "როსტოვში" მისი თანაგუნდელი **არტიომ ძიუბაც** ითამაშებს – ორივე კი გუნდთან ერთად ავსტრიაში ემზადება.

"სპორტ-ექსპრესის" ცნობით, სწორედ სპარტაკელთა გადასვლის გამო იყო, 6 ივნისის საღამოს ვარჯიშს ბევრი მაყურებელი რომ დაესწრო.

**მერაბ მამულაშვილი**

## გრიგალავა: პირველი გოლი კრილიაში

6 ივლისს, რუსეთის პრემიერლიგელმა სამარის "კრილია სოვეტოვმა" ავსტრიულ შეკრებაზე მორიგი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა.

სამარელები ჩეხურ "სიგმას" დაუპირისპირდნენ და 2:2 ითამაშეს. საქართველოს ნაკრების წევრი **ალეკო ამისულაშვილი** მოედანზე 55-ე წუთზე გამოჩნდა, გრიგალავამ კი შეუცვლელად ითამაშა და სამარელთა მეორე გოლი გაიტანა.

ეს 23 წლის მცველმა მე-80 წუთზე მოახერხა. ამ დროისთვის "კრილია" 1:2-ს აგებდა და ჩეხების კარის სიახლოვეს ჯარიმა დაინიშნა – გიამ სტანდარტი ოსტატურად შეასრულა და თავისიანები გადაარჩინა.

**მერაბ მამულაშვილი**

ხსოვნა

## ბაჩოს თასი ბაჩოს მეგობრებს

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, კომპანია „რაფტინგ.ჯის“ და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ორგანიზებით 6-7 ივლისს ბორჯომში მედიაფესტივალი გაიმართა. ფესტივლის პირველ ნაწილში სპორტულ ჟურნალისტებს შორის ჩატარდა მინი-ფეხბურთის ტურნირი - „ბაჩოს თასი“.

ბაჩო სვანიძე სპორტული ჟურნალისტი გახლდათ, რომელიც 30 წლისა გარდაიცვალა, მუშაობდა სხვადასხვა გაზეთებში, მეტწილად „სარბიელში“. ტურნირში ოთხი გუნდი მონაწილეობდა: „სარბიელი“, „ბაჩოს მეგობრები“, „სპორტ მედია“ და „ტელე მედია“. ფინალში ერთმანეთს „ბაჩოს მეგობრები“ და „სარბიელი“ შეხვდნენ, გაიმარჯვეს „მეგობრებმა“.

ტურნირს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **ლევან ყიფიანიც** დაესწრო.

**დავით თავართქილაძე**

დიდი სკანდალი კოლხეთის ირგვლივ

### სოსო ფილია ქალაქის მერს სასამართლოში უჩივის:

# ნუ მემუქრები, ხალხს თავს არ ვაგინებინებ!

**გასული კვირის ბოლოს ფოთის „კოლხეთის“ მთავარმა მწვრთნელმა პრესკონფერენცია გამართა და გუნდიდან მისი გათავისუფლების მიზეზებზე ალაპარაკდა. მწვრთნელი ქალაქის მერს დავით სარსანიას სასამართლოში უჩივის.**

**„ლელო“ სოსო ფილიას უფრო ვრცლად ესაუბრა:**

- როცა ფოთის „კოლხეთი“ ჩავიბარე, გუნდს 18 შეხვედრაში ჰქონდა მხოლოდ 3 ქულა. ეს ხდება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როცა შედეგის გამო მთლიანად დაითხოვეს გუნდის ხელმძღვანელობა და სამწვრთნელო შტაბი. ქალაქის მერის მოვალეობას მაშინ დავით ხომერიკი ასრულებდა, რომელიც სპორტული ოჯახიდან არის. დამიძახა მან და მთხოვა, ეს მისია შემესრულებინა.

მაშინვე პასუხი არ მითქვამს. მოვიფიქრე და წარვუდგინე ჩემი წინადადება - ჩემი ასაკიდან გამომდინარე, თან ჯანმრთელობაც არ მიწყობს ხელს, ეს ყოფილიყო მაქსიმუმ 3-წლიანი პროექტი. თუ ლიგაში დავრჩებოდით, გუნდს მოვაძლიერებდით და ჩავაბარებდით ახალგაზრდა სპეციალისტს. ამას სჭირდებოდა სულ 2 წლინადი, ხოლო თუ გავვარდებოდით, რისი შანსიც მაღალი იყო, მაშინ დავიწყებდით პირველი ლიგიდან, გადავიყვანდით გუნდს უმაღლესში და ერთი სეზონის სემდეგ იგივეს გავაკეთებდით. ანუ 2-3 წელი ვიქნებოდი და მთავარ გუნდს ახალგაზრდებს გადავაბარებდი, რომლებიც ეს პერიოდი ჩემს სამწვრთნელო შტაბში ასისტენტებად იმუშავებდნენ.

**- როგორც ვიცით, ამ წინადადებაზე დაგთანხმდნენ...**

- დიახ და მოვედით გუნდში. როცა 19 ფეხბურთელი ჩამოყვანილი გყავს და 18 თამაშში 3 ქულა გაქვს, რაღაც ზომების მიღება აუცილებელია. ამიტომ გამოვუცხადე ამ ჩამოყვანილ მოთამაშეებს, გაძლევთ რამდენიმე თამაშს - წარმატება გექნებათ, გუნდში დარჩებით, თუ არადა, თქვენთან ხელშეკრულებას შევწყვეტ-თქო. ვერ მოიგეს და მოვახდინეთ დიდი ცვლილება, 15 ფეხბურთელი გავუშვით. აქცენტი გადავიტანეთ მთლიანად ადგილობრივ კადრებზე. ერთი როსინი გვყავდა ბრაზილიელი, კლუბის ხელმძღვანელობამ ჩამოიყვანა, ანუ მთლიანად ფოთელები მოვიყვანეთ.

**- ამის შემდეგ გუნი კარგად ათამაშდა.**

- დიახ, გორის „დილასთან“ 0:1 წავაგეთ და ფრედ ვეთამაშეთ „ვიტ ჯორჯიას“. მეორე ეტაპზე 10 თამაშიდან 3 მოვიგეთ, 4 ფრედ ვითამაშეთ და მხოლოდ 3 წავაგეთ. აქ მთავარი მოგება-წაგება კი არ იყო, არამედ ის, რომ გუნდი კარგად ათამაშდა. სულ რაღაც 3-4 ფეხბურთელის დამატება გვინდოდა და თუ უმაღლეს ლიგაში დაგვტოვებდნენ, რაზეც საუბრები იყო, მოწინავე ექვსეულში მოსახვედრად ვიბრძოლებდით, თუ არადა - პირველი ლიგიდან უკან დაბრუნებაზე.

**- როდიდან დაგეძაბათ ურთიერთობა ქალაქის მერთან?**

- როცა გუნდი შევკრიბე, მე ჩემს გუნდს ვკითხე - რა ვქნათ, ავიყვანოთ თუ არა მერის შვილი გუნდში? ჩემი მოსაზრება იყო, აგვეყვანა, მისთვისაც მიგვეცა შანსი. დამეთანხმა ყველა, თუმცა ვაღიარებ, რომ შესაძლოა შევცდი და მერის შვილზე მეტად სხვა იმსახურებდა მთავარ გუნდში მოხვედრას. კარგად იცით, რომ არ ვარ ის მწვრთნელი, რომელსაც ვინმე ყურით ათრევს და რასაც უნდა გააკეთებინებს. ეს გამორიცხულია, ვერავინ ვერ ჩაერევა. იყო შემთხვევები, როცა „ნაციონალებს“ მოჰყავდათ გუნდში ხალხი, აფორმებდნენ დირექტორებად და სინამდვილეში აგიტატორები იყვნენ. სასწაულს გეტყვით, მე, მთავარ მწვრთნელს 1500 ლარი მქონდა ხელფასი და იმ ხალხს, ვისაც აფორმებდნენ და სინამდვილეში არაფერს აკეთებდნენ, იმათაც იგივეს უხდიდნენ. არადა, ფეხბურთის გაგებაში არ იყვნენ. მაგარი გამყალბებლები იყვნენ. მიწერებიც ჰქონდათ, ზოგი კი ჩანდა და ზოგი სულ არ მოდიოდა. მოკლედ, იმას ვამბობდი, რადგან მერის შვილი იყო, მაინც ვიფიქრეთ, არ ეწყინოს და შანსი მივცეთ-თქო.

პირველი თამაში გვქონდა რუსთავში „მეტალურგთან“, 0:1 წავაგეთ, თუმცა არ იყო წასაგები თამაში. ერთ-ერთი შეხვედრის წინ ეზოსთან მხვდება წერილი. წერილი დაწერილია მესამე პირში, სადაც არის მუქარაც - გამოასწორე ეს ყველაფერი, თორე დედას გიტირებთო. არადა, არ მირჩევნია ვათამაშო მერის შვილი? მაგრამ ხალხს თავს ხომ არ ვაგინებინებ? ფიზიკურად ძალიან სუსტია, არ არის მზად და მე რა შემიძლია? მაინც ვაპირებდი შანსის მიცემას. დუბლებშიც არ ვათამაშებდი. არა იმიტომ, რომ ჯინი მქონდა, მაშინ მერიც არ იყო მამამისი.

ერთ დღესაც მიბარებს მერი


დავით სარსანია


სოსო ფილია

და მივდივარ მწვრთნელ მამუკა გვასალიასთან ერთად. დამიწყო მეგობრული საუბარი თავიდან. ჩემი შვილი ძალიან განიცდის, კარგი, ძირითადში არ ათამაშებ, ბოლოს მაინც შეიყვანე. სტუმრები ჩამოდიან, მომყავს თამაშზე, მეკითხებიან - შენი შვილი რომელიაო და უხერხულში ვარო. ავუხსენი, რომ ამის თქმა არ მჭირდება და მე ვიცი, როდის უნდა ვათამაშო-მეთქი. მერი მიხვდა, საუბარი კიდევ გადადებისკენ მიმყავს და უკვე მუქარაზე გადავიდა - შენ რომ ათამაშებ, მაშინ ჩემი შვილისთვის გვიანი არ იყოსო და შენთვისაც გვიანი არ დარჩესო. კი ვუთხარი, რომ ჩემთან ასეთი საუბარი არ უნდოდა, მერის შვილის თამაში არ მირჩევნია? ან იმ ტოტს ხომ არ მოვჭრი, რომელზეც ვზივარ, შენი მტერი ხომ არ ვარ-მეთქი? მე პირიქით მირჩევნია, ვათამაშო, მერი ხარ, გუნდთან მოხვალ, დაგვეხმარები. კარგია, როცა გუნდთან არ ჩანხარ-მეთქი. მე იმიტომ არ დავდივარ, განაწყენებული ვარო. ისეთ მწვრთნელს მოვიყვან, ჩემს შვილს 90 წუთს ათამაშებსო. არ გავამწვავე მაინც.

მარტვილში გვაქვს თამაში, შევიყვანე 18 კაცში. 1:0-ს ვიგებთ, დაძაბული თამაშია. ვერ გავრისკე, ფეხბურთელები რას მეტყოდნენ, რამე რომ მომხდარიყო. თან მარტვილში ცუდი მინდორია. ვერ გამოვიყვანე. მომდევნო თამაშში რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა ვათამაშო. ამისთვის ორი სათამაშო ტაქტიკა შევიმუშავე. შესვენებაზე ვუთხარი, გახურდი-მეთქი და მეუბნება - ფეხი მტკივაო. მართლაც, ნატკენი ჰქონია, მერე აღარ გამოჩენილა და გამოვიდა, ვერ ვათამაშე. ერთხელ ამხანაგურმა მოუნია, ქუთაისში დავაყენე მერის შვილი და ერთი საკრებულოს თავმჯდომარის თხოვნით. პირველი ტაიმი 0:3 წავაგე, სტადიონზე არ ჩანდნენ საერთოდ. შეცვლა მომთხოვა ორივემ. ამის გამო მერი გადამემტერა. მე ფოთის მერი ვარ, ჩხოროწყუს მერი ხომ არ? ჩემს შვილს არ ათამაშებენო!

თავის ჭკუაზე ვერ მათამაშებდნენ და ეგაა მიზეზი. სამი ბრაზილიელის მოყვანა უნდოდათ. უარი ვუთხარი, ერთზე დავთანხმდი. აზრი არ ჰქონდა სამის მოყვანას, ტყუილად უნდა მეხადა მაღალი ხელფასი, ბინა, კვება, გზის ფული 5000 დოლარი უნდა მიგვეცა. კლუბის ხელმძღვანელობა მაწვებოდა, მაგრამ კატეგორიული უარი ვუთხარი. მაგენი თუ რამეს მაიმუნობდნენ იქ, ეს არ მაინტერესებს.

რა ვქნა, ასეთი ვარ! მერის შვილი კი არა, ჩემი შვილი გავუშვი გუნდიდან, რადგან ტალანტი არ ჰქონდა, თორემ ფიზიკურად შედარებაც არ შეიძლება. ასევე დავითხოვე გუნდიდან ძმის შვილი და ჩვენი ტექნიკური დირექტორის, გია ტყებუჩავას შვილიც.

**- მართალია თუ არა, რომ მერის შვილი იტალიაში თამაშობდა?**

- სასაცილოა ეს. ოჯახის წევრი იტალიაში ცხოვრობდა 15-16 წლისა იქაურ საფეხბურთო სკოლაში მიიყვანეს. მერი ამბობდა თურმე, მითხრეს - ცოტათი ფიზიკურად მოძლიერდეს და ავიყვანთო (!).

**გია ტყებუჩავა, „კოლხეთის“ ტექნიკური დირექტორი:** „ადრეც გამიშვეს გუნდიდან, მაშინ შტატების შემცირების საბაბით და „ნაციონალები“ მოიყვანეს. ამ არჩევნებზე „ოცნების“ მხარეს რომ ვიყავი, მაგიტომ მჩაგრავენ? როცა ქალბატონ ეკა ბესელიასთან შეხვედრა გვქონდა, მაჟორიტარი ყველანაირ მხარდაჭერას დაგვპირდა. მან იცოდა სიტუაცია და კარგად თქვა - ამიერიდან ფეხბურთში ვერავინ ჩაერევა, შვილების, ბიძების, მამების დრო დამთვარდაო, მაგიტომ გავარდა გუნდიო. მერმა ეს მოისმინა და ხმა ვერ ამოიღო“.

**ფოთის „კოლხეთის“ მეკარეთა მწვრთნელს, მამუკა გვასალიას დავკავშირდით.**

„მე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ახლა თუ უნდა სოსო ფილიას მოწმედ გამომიყვანოს, ვერ გამოვდგები. იმ შეხვედრაზე ვიყავი, მაგრამ გინდა თუ არა, ჩემი შვილი ათამაშეო, ასეთი საუბარი არ ყოფილა. რა შუაში ვარ მე, რატომ უნდა სოსო ფილიას მოწმედ გამომიყვანოს? პირდაპირი მოთხოვნა, რომ ჩემი შვილი ათამაშეო, მე არ მომისმენია,“ - აცხადებს მწვრთნელი.

***ქალაქ ფოთის მერს, დავით სარსანიასაც დავუკავშირდით:***

**- ბატონო დავით, იცით, რომ „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი სოსო ფილია ბრალს გდებთ - თითქოს გუნდიდან იმიტომ დაითხოვეთ, რომ თქვენს შვილს არ ათამაშებდა.**

- ეს არის აბსურდი. ბატონ სოსოს დაუმთავრდა კონტრაქტი, 1970 წლიდან ეს კაცი უმეტესი წლების მანძილზე წვრთნიდა გუნდს, ყველანირი რესურსი ამოწურა.

**- ვისზე ამბობთ ამას ...** (არ მამთავრებინებს)

- როცა 18 თამაშში 16 წააგო და 2 ფრედ ითამაშა... ახლა რომ იძახის, მერის შვილი არ ვათამაშე და მაგიტომ მომხსნაო, ეს არის დიდი ტყუილი.

**- ანუ არ გითხოვიათ?**

- არასდროს, არც მისთვის და არც მისი წინამორბედისთვის არ მითხოვია, რომ ეთამაშებინათ ჩემი შვილი. მით უმეტეს, რომ ჩემი ვაჟი იტალიაში თამაშობდა.

**- რომელ გუნდში თამაშობდა, შეგიძლიათ გვითხრათ?**

- (სამწუხაროდ, ტელეფონში ვერ გავიგე გუნდის სახელი)

**- სად თამაშობდა ეს გუნდი?**

- სერია B-ში.

**- თქვენი შვილი სერია B-ში თამაშობდა? ეს აუცილებლად გვეცოდინებოდა.**

- სერია B-ს გუნდის დუბლებში თამაშობდა. ასევე სერია B-ს გუნდებთან ამხანაგურ შეხვედრებშიც (?!-ავტ.). მიუხედავად ამისა, მწვრთნელისთვის არასდროს მითხოვია არაფერი.

**- ბატონო დავით, მერიაში შეხვედრისას სოსო ფილიასთან...** (მაწყვეტინებს)

- არსად, არც გუნდის შეკრების დროს გრიგოლეთში, ურეკში... არასდროს მიბრძანებია მისთვის ეთამაშებინა ჩემი შვილი.

**- არც ისე გითხოვიათ?**

- არასდროს! ეს არის უსინდისო და უპასუხისმგებლო განცხადება. კაცობას გეფიცებით. სოსო ფილია კი არა, ჟოზე მოურინიო მოხსნეს. გერმანული ფინალი რომ იყო ჩემპიონთა ლიგაზე, მოგებული გუნდის მთავარი მწვრთნელი მეორე დღესვე მოხსნეს.

**- ბატონო დავით, როგორც ჩანს, ფეხბურთში ვერ ერკვევით - იუპ ჰაინკესის შეცვლა მანამდე იყო გადაწყვეტილი პეპ გვარდიოლათი. კარგი, ამას შევეშვათ, ზემოთ მითხარით, სოსო ფილიამ რესურსი ამოწურაო, ამის თქმა მინიმუმ უხერხულია. ქვეყნის ერთ-ერთ გამორჩეულ მწვრთნელზე ამბობთ ამას.**

- ჩემთვის მთავარი შედეგია. გუნდი მის ხელში უმაღლესი ლიგიდან გავარდა.

**- ჰო, მაგრამ რა მდგომარეობაში ჩაიბარა გუნდი, იცით?**

- მე ეს არ მაინტერესებს, ცუდი მემკვიდრეობა შესაძლოა დაგხვდეს, მაგრამ უნდა გამოასწორო.

**- თუმცა „კოლხეთის“ შემთხვევაში, ეს შეუძლებელი იყო. თქვენ სტადიონზე დადიოდით?**

- რა თქმა უნდა!

**- მერე იცით, რომ ფილიამ 18-დან 16 კი არ წააგო, არამედ ბოლო ეტაპზე 10 თამაშიდან 3 მოიგო, 4 ფრედ ითამაშა და მხოლოდ 3 წააგო.**

- მე მარტო ფილიაზე არ მითქვამს, 18-დან 16 წააგოო.

**- რატომ სთხოვთ პასუხს ფილიას სხვის გამო?**

- ჩემთვის მთავარი შედეგია. ფულს ვიხდი, ვაფინანსებ და კლუბის 100-წლიან იუბილეზე გუნდი ლიგიდან გავარდა. ათი თამაშიდან სამს რომ მოიგებ, ეს კი არაა მაგარი, არამედ ექვს-შვიდს რომ მოიგებ. თქვენ კი მეუბნებით, ფილია მაგარიაო. რა კუთხითაა მაგარი, პროფესიონალია?

**- რა თქმა უნდა! ამაზე თქვენთან დავას არ ვაპირებ.**

- მე ვარ ქალაქის მერი, ფეხბურთის და გუნდის გულშემატკივარი, ჩემთვის მთავარი შედეგია. გუნდი გადავიდეს უმაღლეს ლიგაში.

**- გასაგებია, წარმატებებს გისურვებთ.**

- დამამთავრებინეთ. თუ ვინმეს რამე პრეტენზია აქვს, ოჯახზე არ უნდა გადადიოდეს, ეს არის უსინდისობა. მით უფრო, რომ არასდროს არავისთვის არაფერი მითხოვია. წარმოიდგინეთ, ბავშვი სერია B-ში თამაშობდა და აქ 32 თამაშში ერთხელაც არ ათამაშეს. მთელი სეზონის მანძილზე შემეძლო მწვრთნელი შემეცვალა, თუ ამის გამო ვთხოვდი პასუხს.

**მათე გურული**
ფოთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლევან ყენია გერმანულ პრესაში

# ყენიას ვარამი და სიხარული

დიუსელდორფის „ფორტუნამ" შვეიცარიული ჩელენჯლიგის „ბილი" 4:2 დაამარცხა. ჩვენთვის ეს ამბავი იმად არის საინტერესო, რომ „ფორტუნას" ახალწვეულმა **ლევან ყენიამ** ეფექტური გოლი გაიტანა.

ყენიამ მეორე ტაიმის დასაწყისში გაიბრწყინა, საგოლე გადაცემით ჩვენებური ავსტრიელმა **კრისტიან გარტნერმა** დააჯილდოვა. სამი წუთის შემდეგ კი უკვე ყენიამ შეასრულა საგოლე პასი **ბენ ჰალორანის** მიმართულებით.

ყენიაზე უკვე წერენ გერმანულ პრესაში. „ფორტუნას" ახალწვეულის სიხარული და ვარამი - ახლახან ასეთი სათაურით გამოქვეყნდა წერილი გერმანულ ვებგვერდ derwesten.de -ზე, რასაც მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

„ფორტუნას" ახალწვეული საქართველოდან განიხილება როგორც იშვიათი ტალანტი - სამი ოპერაცია ქუსლზე, სამ წელი სრულფასოვანი ვარჯიშის გარეშე, რის გამოც ის ჩამოშორდა **ფელიქს მაგათის** განწრთნილ „შალკეს" და ეროვნულ ნაკრებს. „შალკეს" ყოფილი მწვრთნელის, **მაიკ ბიუსკენსისთვის** ყენია ახლა არის გადამწყვეტი ფაქტორი, რათა შეცვალოს „ფორტუნას" თამაში.

როცა „კაიზერსლაუტერნის" ყოფილი თავდამსხმელი **კლაუს ტოპმიოლერი** საქართველოს ეროვნულ გუნდს თავკაცობდა, ყენია მისი საყვარელი შეგირდი იყო. *„როცა ყენია ჯადოქრულად თამაშობს, ეს კარგ ლექსს შეედრება,"* - დიუსელდორფის „ფორტუნას" პლეიმეიკერი 16 წლის იყო, ტოპმიოლერმა მასზე ეს რომ თქვა.

მანამდე, 14 წლის ყენია „ბარსელონაში" სამი კვირით იყო სტაჟირებაზე. *„მაშინ ბავშვი ვიყავი. სამწუხაროდ, საქართველო ახლაც არ არის ევროკავშირის წევრი,"* - ამბობს ყენია და ამით განმარტავს იმას, „შალკემდე" რატომ ვერ ჩაირიცხა ვალენსიის „ლევანტეში".

დიდი კარიერა თითქოს ახლოს იყო. „შალკეში" გადასულმა ყენიამ რურის დერბიშიც ითამაშა „დორტმუნდის" წინააღმდეგ. ყენიამ მაშინ ტაში დაიმსახურა, თუმცა მომდევნო, 2009 წელს მისი საქმე უკვე დაღმა წავიდა.

ორწელიწადნახევრიანი პაუზა, არც თუ სასიამოვნო ტრანსფერი ლვოვის „კარპატიში", რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი მომავალი. *„არ იყო გარკვეული, დავრჩებოდი თუ არა პროფესიულ ფეხბურთში"* - ამბობს ყენია.

ყენია „ფორტუნაში" მივიდა, ეს იყო ხანგრძლივი ბრძოლის შედეგი, რის შედეგადაც ის ისევ დაუბრუნდა ფეხბურთს. *„ბევრი დრო დავკარგე, მაგრამ ჩემი დრო ჯერ არ არის ამოწურული"* - ამბობს 22 წლის ქართველი.

როცა 2011 წელს მაგათმა „შალკე" თურქულ ბელეკში წაიყვანა შეკრებაზე, ყენიას ისევ აწუხებდა კოჭის ტკივილი. „შალკეს" ექიმმა ასეთი დასკვნა დადო - *ქართველს არაფერი არ აქვს მოტეხილი. „სარეაბილიტაციო პროცესი ახალი დაწყებული მქონდა და მოედანზე დაბრუნება ჩემთვის ძალიან ადრე იყო, ეს შეცდომა ძვირად დამიჯდა,"* - დასძენს ყენია.

ლვოვის „კარპატიმ" უკრაინის ჩემპიონატი მე-14 ადგილით დაასრულა და 19 ფეხბურთელს, მათ შორის ლევან ყენიას, კარისკენ მიუთითა მიუხედავად მოქმედი კონტრაქტისა.

*„სიტუაცია ცოტა არ იყოს, ქაოსში გადაიზარდა. იძულებული ვიყავი ინდივიდუალურად მევარჯიშა, დავბროდი, რაც თითქმის არაფრის მომტანი არ იყო,"* - ამბობს ყენია.

**დავით თავართქილაძე**

# ლევან ყენია: ფორტუნას ახალი ათიანი

**გაზეთმა „ექსპრესმა" მცირე ინტერვიუ გამოაქვეყნა დიუსელდორფის „ფორტუნას" ახალწვეულ ლევან ყენიასთან.**

„22 წლის ლევან ყენიას ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ მომავალს იმედის თვალით უყუროს: ძველი, კარგად ნაცნობი მწვრთნელი მაიკ ბიუსკენსი, რომელიც მას „შალკეში" წვრთნიდა, ახალი კლუბი მაღალი მიზნებით და „ფორტუნას" ყველაზე პრესტიჟული 10-ნომრიანი მაისურა.

ჯერ კიდევ 18 წლის ასაკში ყენია ბუნდესლიგის ფეხბურთელი იყო! თუმცა მძიმე ტრავმამ ის უკან დახია და დიდი ხნით ჩამოაშორა ფეხბურთს. ლვოვის „კარპატის" ყოფილი ფეხბურთელი ახლა თავს „ფორტუნაში" იმკვიდრებს:

*„თავიდან ვარჯიშზე ძალიან მიჭირდა, ახლა ყველაფერი რიგზეა",* - ამბობს ყენია.

### დიუსელდორფში ბუსკენსის გამო

*„ის იყო გადამწყვეტი ფაქტორი. მაიკს დიდი ხანია, ვიცნობ და ვიცი, რომ მას შემტევი ფეხბურთი უყვარს". ქალაქი ჩემთვის ნაცნობია, ხშირად ვყოფილვარ მაშინ, როცა აღდგენით პროცესს გავდიოდი, „ფორტუნაც" მომწონდა".*



### ოჯახთან ერთად

ლევანს თან ახლავს მისი მეუღლე სლავკა და ქალიშვილი 13 თვის ლიკა. თუმცა ოჯახის სხვა წევრებიც „აქ არიან" - ლევანმა ორი ტატუ უძღვნა მშობლებს და მათი სახელები ამოისვირინგა - „გოჩა" და „ნინო".

### ტატუები

ჯამში ქართველს 6 ტატუ აქვს, მშობლების სახელებს ის იმით ხსნის, რომ ოჯახში ერთადერთი შვილი იყო. *„ყველა ტატუ ადრე გავიკეთე, ახლა ეს უკვე აღარ მიტაცებს",* - ამბობს ქართველი.

### მიზანი

მისი მიზანი მხოლოდ წინსვლაა კარიერაში: *„ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● პსჟ



ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ედინსონ კავანი თანაგუნდელები ხდებიან

# სამშაბათს კავანი პსჟ-ს ფეხბურთელი გახდება

## 5-წლიანი კონტრაქტი, მხოლოდ ხელფასი 10 მილიონი ევრო

ფრანგული პრესის ცნობით, ურუგვაელი **ედინსონ კავანის** პრეზენტაცია „პარი სენ-ჟერმენში" 9 ივლისს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ უკვე იუწყებოდნენ, რომ კავანის ტრანსფერზე „ნაპოლიმ" და პსჟ-მ ყველაფერი მოილაპარაკეს.

ურუგვაელი ლიგა 1-ის ისტორიაში ყველაზე ძვირფასი შენაძენი იქნება, მასში პარიზული კლუბი 64 მილიონ ევროს გადაიხდის.

იტალიის ჩემპიონატის ბომბარდირის ხელფასი პსჟ-ში ბონუსების და საპრიზოების გათვალისწინების გარეშე 10 მილიონი ევრო იქნება. 26 წლის ფეხბურთელი 5-წლიან ხელშეკრულებას მოაწერს ხელს. შეგახსენებთ, რომ პსჟ-ს ახალმა თავკაცმა **ლორან ბლანმა** უკვე განაცხადა საჯაროდ, რომ პარიზულ კლუბში კავანის მისვლას მხოლოდ მიესალმება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ინციდენტი

# გასკოინი ყოფილ ცოლს და რკინიგზის სადგურის მცველს დაესხა თავს

46 წლის **პოლ გასკოინის** გამოსწორება არადა არ იქნა, ინგლისელი ფეხბურთელი, რომელიც ალკოჰოლიზმის მსხვერპლია, ახალ შარში გაეხვია.

სტივენეიჯის სარკინიგზო სადგურზე ის თავს დაესხა ყოფილ მეუღლე **შერილს** და კრინიგზის სადგურის მცველს. ეს ამბავი საღამოს 11 საათზე 4 ივლისს მომხდარა, რა თქმა უნდა, პოლი ნასვამი იმყოფებოდა.

ყოფილი ფეხბურთელი დაიჭირეს და 12 საათი მან განყოფილებაში გაატარა, შემდეგ კი ისე გაუშვეს ბრალდება არ წარუდგენიათ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



პოლ გასკოინი

● ტრანსფერები

# წვრილ-წვრილი ტრანსფერები და ოპერაციები ლა ლიგაში

## ატლეტიკოს ახალი იმედი ლეო

„სევილიამ" ესპანურ ელიტაში გადასულ „ელჩეში" ორი ფეხბურთელი გაუშვა იჯარით. ესენია: 22 წლის ბოსნიელი ნახევარმცველი **მიროსლავ სტევანოვიჩი** და 29 წლის ესპანელი **მანუ დელ მორალი**. ვალენსიური კლუბი 24-წლიანი შესვენების შემდეგ გადავიდა ლა ლიგაში. დელ მორალმა გასულ სეზონში 22 მატჩში მიიღო მონაწილეობა, სტევანოვიჩმა მხოლოდ შვიდში.

■ ■ ■

ისევ „სევილია" - ანდალუსიურ კლუბთან საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა მოსკოვის „სპარტაკის" 29 წლის მცველმა **ნიკოლას პარეხამ**. მან წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება, მომდევნო სეზონს პარეხა „სევილიაში" გაატარებს. ხელშეკრულების მიხედვით, „სევილიას" სეზონის ბოლოს ესპანელის გამოსყიდვა შეუძლია.

*„ბედნიერი ვარ, რომ დიდებულ კლუბში მოვხვდი. მოლაპარაკება ძალზე რთული გამოდგა, მაგრამ მადლობა ღმერთს, უკვე „სევილიაში" ვარ",* - განაცხადა პარეხამ, რომელიც 2010 წელს „ესპანიოლიდან" გადავიდა „სპარტაკში". თეთრ-წითელ გუნდში პარეხამ 60 მატჩი ითამაშა და 3 გოლი გაიტანა.

■ ■ ■

„ბარსელონას" ერთბაშად ორმა ფეხბურთელმა გაიკეთა ნუშისებრი ჯირკვალის ოპერაცია - **ნეიმარსა** და **ჟორდი ალბას** ტონზილიტის მწვავე ფორმა აწუხებდათ. ექიმთა მტკიცებით, ოპერაცია ორივემ ბრწყინვალედ გადაიტანა. ბრაზილიელის და ესპანელის აღდგენითი მკურნალობა 10 დღეს წაიღებს. შეგახსენებთ, რომ ნეიმარი მთელი ცხოვრება უჩიოდა ყელის ტკივილს.

■ ■ ■

„მალაგას" ოფიციალურმა საიტმა გამოაცხადა, რომ კლუბმა 21 წლის დივუარელი **ბობლი ანდერსონი** შეიძინა. აფრიკელი ნახევარმცველი აქამდე მაროკოს „კასაბლანკაში" გამოდიოდა (ბოლო სეზონი: 30 მატჩი, 8 გოლი).

*„მალაგაში" თამაშით პროგრესს მივაღწევ. მინდა, ყველამ ნახოს, რა შემიძლია. ბავშვობიდან მიყვარდა ესპანეთის ჩემპიონატი. მიხარია, რომ დიდ ფეხბურთელებთან ერთად დიდი ფეხბურთელების წინააღმდეგ მომიწევს თამაში",* - განაცხადა ანდერსონმა.

■ ■ ■

„რეალ სოსიედადმა" მცველი **ხოსე ანხელი** შეინარჩუნა. 23 წლის ფეხბურთელი „რომას" საკუთრებაა და ბასკურ გუნდში იჯარით თამაშობს. ამ დღეებში გუნდები ხელახალ იჯარაზე შეთანხმდნენ. გასულ სეზონში მან 11 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

შეგახსენებთ, რომ „რომაში" ხოსე ანხელი **ლუის ენრიკემ** 2011 წლის ზაფხულში გადაიყვანა. მისი წასვლის შემდეგ კი ესპანელი მცველი „რეალ სოსიედადში" გაანათხოვრეს.

■ ■ ■

ის, რაზეც საინფორმაციო წყაროები ბოლო დროს წერდნენ, ასრულდა - **რაფაელ ალკანტარამ** (რაფინია) „ბარსელონასთან" ახალი ხელშეკრულება გააფორმა. **ტიაგო ალკანტარას** უმცროსმა ძმამ 2016 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი.

*„13 წლის ასაკიდან „ბარსელონაში" ვარ და ერთი სული მაქვს, როდის დავმკვიდრდები აქ. თუმცა სათამაშო პრაქტიკისთვის, რომელიმე კლუბში იჯარით წასვლას არ გამოვრიცხავ",* - განაცხადა რაფინიამ. ასეთი კლუბი კი ვიგოს „სელტაა", რომელსაც ლუის ენრიკე წვრთნის.

■ ■ ■

„ვილიარეალმა" მცველი **ბოიან იოკიჩი** გაიფორმა. 27 წლის სლოვენიელმა ვალენსიურ კლუბთან, რომელიც ელიტაში დაბრუნდა, 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ის ესპანეთში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

გასულ სეზონში იოკიჩმა „კიევოში" 20 მატჩი ითამაშა. იოკიჩი შესაძლოა, 2010 წლის მუნდიალიდან გახსოვდეთ, ის სლოვენიის ნაკრებში გამოდიოდა.




ლეო ბაპტიშტაო „ატლეტიკოში" წარადგინეს

■ ■ ■

„ვილიარეალი" კიდევ ერთი ფეხბურთელით გაძლიერდა - „მალიორკას" ნახევარმცველი **ტომას პინა** ვალენსიურ კლუბში გააგრძელებს კარიერას. პინამ 5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 25 წლის ფეხბურთელმა 36 მატჩში მიიღო მონაწილეობა გასულ სეზონში, მაგრამ „მალიორკა" გავარდნისგან ვერ იხსნა.

■ ■ ■

მადრიდის „ატლეტიკომ" ოფიციალურად წარადგინა ახალი შენაძენი - 20 წლის ბრაზილიელი ფორვარდი **ლეო ბაპტიშტაო კარილიო**. „რაიო ვალეკანოს" ყოფილი ფეხბურთელი მომდევნო 5 სეზონს „ატლეტიკოში" გაატარებს.

*„დღეს მნიშვნელოვანი დღეა ჩემს ცხოვრებაში. ყოველთვის მინდოდა დიდ გუნდში მეთამაშა და აი, ჩემი ოცნებაც ახდა",* - განაცხადა ლეომ, რომელიც უნივერსალია - შეუძლია თამაში, როგორც შეტევის ფლანგებზე, ასევე ცენტრში ან სულაც ფორვარდთა უკან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● მსოფლიოს ჩემპიონატი. U-20.

# ქვარტფინალები ცნობილია

**საფრანგეთი-უზბეკეთი 4:0**

გოლები: 1:0 სანოგო (31), 2:0 პოგბა (35), 3:0 ტოვენი (43-პენ), 4:0 ზუმა (64)

გაძევება: შამშიტდინოვი (68. უზბეკეთი)

**ურუგვაი-ესპანეთი 1:0 (დ.დ.)**

გოლი: 1:0 ავენატი (103)

**ერაყი-ს. კორეა 2:2 (5:4 პენ)**

გოლები: 1:0 ფაესი (21-პენ), 1:1 კვონი (25), 2:1 შაკორი (42), 2:2 ლი (50), 3:2 შაკორი (118), 3:3 იუნი (120)

**განა-ჩილე 4:3 (დ.დ.)**

გოლები: 1:0 ოდიერი (11), 1:1 კასტილიო (23), 1:2 ენრიკეს იტურა (27), 2:2 ასიფუა (72), 2:3 ენრიკეს იტურა (98), 3:3 სალიფუ (113), 4:3 ასიფუა (121)

**ნახევარფინალი**

საფრანგეთი-განა

ერაყი-ურუგვაი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დორტმუნდის ბორუსია

# მართლა ასეთი მაგარია მხითარიანი?

## მან დორტმუნდში გიოტცე უნდა შეცვალოს



ჰენრიხ მხითარიანი დორტმუნდის ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული შენაძენია

**ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა დორტმუნდის „ბორუსიას“ ხელმძღვანელები იმდენი აკრიტიკეს, ტრანსფერებში ფულის დახარჯვა ენანებათო, რომ გერმანიის ვიცე-ჩემპიონმა და ჩემპიონთა ლიგის ფინალისტმა ერთ კვირაში ორი ძვირადღირებული ტრანსფერი სრულყო და ახლა გერმანული კლუბებიდან ტრანსფერებში ყველაზე მეტი ფული აქვს დახარჯული. „ბორუსიას“ ბოლო და ყველაზე მსუყე ტრანსფერზე შაბათის ნომრის პირველ გვერდზეც ვწერდით: საბოლოოდ დაზუსტებული ინფორმაციით, „დორტმუნდმა“ დონეცკის „შახტარს“ 24 წლის სომეხი ჰენრიხ მხითარიანის სანაცვლოდ 24 მილიონი ევრო გადაუხადა.**

**საერთო ჯამში, „ბორუსიამ“ უკვე 45 მილიონი ევრო დახარჯა და როგორც იცით, „დორტმუნდის“ გენერალურ მენეჯერ ჰანს-იოახიმ ვატცკეს ნათქვამი ჰქონდა, ახალ ფეხბურთელებისთვის 50 მილიონი გვაქვს გამზადებულიო. გამოდის, რომ „შავ-ყვითლებისგან“ მინიმუმ ერთ დაბალი კალიბრის ტრანსფერს კიდევ უნდა ველოდოთ. რაც შეეხება უკვე დახარჯულს: 45 მილიონი ბევრია, მაგრამ ამ თანხის სანაცვლოდ „ბორუსიამ“ მხოლოდ სამი ახალი მოთამაშე მიიღო: 25 წლის ცენტრალური მცველი სოკრატისი (8 მილიონად, ბრემენის „ვერდერიდან“), 24 წლის თავდამსხმელი პიერ-ემერიკ ობამეიანი (13 მილიონად, „სენტ ეტიენიდან“) და ახლა შემტევი ნახევარმცველი მხითარიანიც (24 მილიონად, „შახტარიდან“).**

### ერთი მილიონი ამოროზომდე

ალსანიშნავია, რომ სომეხ ვარსკვლავს „დორტმუნდის“ ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელობამდე ძალიან ცოტა დააკლდა - ასეთად კვლავ 2001 წელს, 25 მილიონად ნაყიდი ბრაზილიელი თავდამსხმელი **მარსიო ამოროზო** რჩება. მხითარიანის მისია დორტმუნდში **მარიო გიოტცეს** შეცვლაა - როგორც იცით, ამ უკანასკნელმა მიუნხენის „ბაიერნს“ მიაშურა.

ამ ყველაფრის ფონზე, ჩვენს გერმანელ ჟურნალისტებს აბსოლუტურად ლოგიკური და ლეგიტიმური კითხვა გაუჩნდათ: არის კი მხითარიანი მართლა ისეთი მაგარი ფეხბურთელი, რომ მასში 24 მილიონის გადახდა ღირდა და შეცვლის უნიჭიერესი სომეხი გიოტცეს სრულფასოვნად? როგორც ჩანს, „ბორუსიას“ თავკაცი **იურგენ კლოპი** მხითარიანის შესაძლებლობებში ასი პროცენტით დარწმუნებულია - წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოსებს ამდენ ფულს არ გადაახდევინებდა, „ბორუსიას“ ამდენი თვით **მარკო როისშიც** კი არ გადაუხდია.

### 25 გოლი 29 მატჩში

მხითარიანი დორტმუნდში იდეალური სტატისტიკითა და სტატუსით გადადის: უკრაინის ჩემპიონატის 29 მატჩში მან 25 გოლი გაიტანა და 10 საგოლე გადაცემაც მიითვალა. მართალია, უკრაინის ჩემპიონატი ბუნდესლიგასთან კლასითა და ხარისხით ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ დორტმუნდელებს ამ ტრანსფერზე ფიქრისას მხოლოდ უკრაინული მატჩებით არ უხელმძღვანელიათ. გავახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ბორუსია“ სწორედ „შახტარს“ შეხვდა და იმ დუელების შემდეგ ყველა დორტმუნდელი მხითარიანს აქებდა, კლოპი კი მისი სისწრაფითა და ტექნიკით იყო აღფრთოვანებული.

მხითარიანი ერევნელია და საფეხბურთო ოჯახიდანაა. მამამისი, **ჰამლეტიც** ფეხბურთელი გახლდათ და ტვინის სიმსივნით გარდაიცვალა - მაშინ ჰენრიხი სულ რაღაც 7 წლის გახლდათ.

*„ყოველთვის მინდოდა, რომ მამაჩემის ვარჯიშებზე მევლო და როცა არ მივყავდი, ვტიროდი ხოლმე. ყოველთვის მინდოდა, რომ ფეხბურთელი გამოვსულიყავი და ამაში მთელი ოჯახი ხელს მიწყობდა,“* - ამბობს მხითარიანი.

ჰენრიხის დედა, **მარინა**, სომხეთის ფეხბურთის ფედერაციაში, ეროვნული ნაკრების განყოფილების უფროსია. მისი და, **მონიკა** კი უეფაში მუშაობს და არც მეტი, არც ნაკლები, პრეზიდენტ **მიშელ პლატინის** ასისტენტი და თარჯიმანია.

მხითარიანს ბავშვობის გარკვეული ნაწილი სწორედ საფრანგეთში აქვს გატარებული და სომხურის გარდა, იდეალურად საუბრობს ინგლისურ, ფრანგულ, პორტუგალიურ და რუსულ ენებზე. შესაბამისად, ფაქტია, რომ მხითარიანს არც გერმანულის სწავლა უნდა გაუჭირდეს.

### ლუჩესკუ: ჰენრიხი ბუნდესლიგას მალე გაუშინაურდება

რამდენად გაუჭირდება და გაუგრძელდება მხითარიანს გერმანულ ფეხბურთთან შეგუება? ამ კითხვაზე „შახტარის“ თავკაცს **მირჩა ლუჩესკუს** ასეთი პასუხი აქვს: *„მხითარიანის საფეხბურთო ინტელექტი მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ჰენრიხი ბუნდესლიგას ალღოს ძალიან სწრაფად აუღებს. მისი უდიდესი და უმთავრესი პლუსი ისაა, რომ თამაშის წაკითხვა შეუძლია. ამასთან, მხითარიანი ძლიერი, ტექნიკური და სწრაფი ფეხბურთელია. მასთან მუშაობა ძალიან მსიამოვნებდა!“* - აცხადებს 67 წლის სპეციალისტი.

სომხეთში მხითარიანი უკვე ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ფეხბურთელად მიიჩნევა. *„ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალება ბევრ სომეხს როდი ეძლევა. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ ბავშვებისთვის და დამწყები ფეხბურთელებისთვის მისაბაძი მაგალითი ვიყო,“* - აცხადებს მხითარიანი, რომელსაც სომხეთში ზინედინ ზიდანს ადარებენ.

### კლოპი უკვე 4-3-3-ზეც ფიქრობს

იურგენ კლოპის საყვარელი ტაქტიკა 4-2-3-1 გახლავთ, მაგრამ „ბორუსიას“ 46 წლის დამრიგებელს ვარირება უყვარს და სქემას უშუალოდ თამაშის დროსაც ხშირად ცვლის ხოლმე. ხსენებულ სქემაში მხითარიანს ნახევარდაცვის წინა ხაზის ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში, მაგრამ თავს ყველაზე უკეთ ცენტრში, თავდამსხმელის უკან გრძნობს - ზუსტად ისე, როგორც გიოტცე.

*„ახლა, როცა ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილია, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ტაქტიკურად გაცილებით მოქნილები გავხდით და შეგვიძლია, 4-3-3-იც თამამად ვითამაშოთ, მაგრამ ჩვენ ყველა შეხვედრას მაინც ინდივიდუალურად მივუდგებით და სქემას მეტოქიდან გამომდინარე შევარჩევთ,“* - ამბობს კლოპი.

ერთი სიტყვით, „დორტმუნდის“ ბოსმა ვატცკემ დანაპირები შეასრულა და წინა სეზონში ნაშოვნი ფულის დიდი ნაწილი უკვე დახარჯა. ახლა მთავარია, რომ სოკრატისმა, ობამეიანმა და განსაკუთრებით მხითარიანმა მათზე გაცემული ავანსები გაამართლონ. ფაქტი ისაა, რომ „ბორუსია“ მომავალ სეზონში ისევ ძალიან საინტერესო გუნდი იქნება.



სოკრატის პაპასტატოპულოსი და პიერ-ემერიკ ობამეიანი

ბაიერნი

# პეპმა 4-1-4-1 ამოიჩემა

## შვაინშტაიგერმა შეკრება დატოვა, რობენი გუნდს შეუერთდა

„ბაიერნმა“ მორიგი ტესტ-მატჩი 13:0 მოიგო, რაც **ხოსეპ გვარდიოლასთვის** ერთობ სასიხარულო ამბავია, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით იმაზე, რომ **ბასტიან შვაინშტაიგერს** ტრავმა გაუმიზეზდა და შეკრება დატოვა. სამაგიეროდ, გუნდს **არიენ რობენი** შეუერთდა.

როგორც იცით, ბასტიან შვაინშტაიგერმა მარჯვენა ფეხზე ოპერაცია ივნისში გაიკეთა და წესით, სრული დატვირთვით ვარჯიში ახლა უნდა დაეწყო, მაგრამ მისი გამოჯანმრთელების პროცესი გაიწელა. „ბაიერნის“ მთავარი ექიმის, **ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტის** თქმით, 28 წლის ნახევარმცველი გუნდთან ერთად ვარჯიშის დაწყებას მინიმუმ ერთ კვირაში შეძლებს.

სამაგიეროდ, „ბაიერნს“ არიენ რობენი შეუერთდა. 29 წლის ჰოლანდიელ გარემარბს შვებულება იმის გამო გაუხანგრძლივეს, რომ ივნისის დასაწყისში ჰოლანდიის ნაკრებში გახლდათ გამოძახებული. რობენმა ხოსეპ გვარდიოლას ხელმძღვანელობით პირველად შაბათს ივარჯიშა და მატჩის შემდეგ ასეთი განცხადება გააკეთა: *„პეპი უდიდესი მწვრთნელია და ვარჯიშის დროს პროცესში მაქსიმალურადაა ჩართული. ფეხბურთელებს ბევრს ესაუბრება. მას გუნდის მართვის ძალიან საინტერესო სტილი აქვს.“*

### ფლანგის მცველები შეტევაში

შესავალში ხსენებულ ტესტ-მატჩში, რომელიც „ბაიერნმა“ „პაულანერის“ ნაკრებთან გამართა, ყველაზე შესამჩნევი ის გახლდათ, რომ ფლანგის მცველები შეტევაში უდიდესი მონდომებით ერთვებოდნენ და მეტოქის ნახევარზე დროის უჩვეულოდ დიდი ნაწილი გაატარეს. გვარდიოლას ვარჯიშებიდან და ტესტ-მატჩებიდან გამოიკვეთა, რომ პეპი უპირატესობას ერთი კლასიკური საყრდენი ნახევარმცველით თამაშს ანიჭებს. ამ მატჩში გვარდიოლამ „ექვსიანის“ პოზიციაზე 20 წლის **რიკო შტრიდერი** გაამწესა, ზოგადად კი ტოპ-კანდიდატები შვაინშტაიგერი (ტრავმირებულია) და **ხავი მარტინესი** (ჯერაც შვებულებაშია) არიან.

მოსაზრებები იმის შესახებ, რომ გვარდიოლამ „ბაიერნი“ შესაძლოა კლასიკური ცენტრფორვარდის გარეშე ათამაშოს, ჯერჯერობით არ დასტურდება. პეპმა **მარიო მანჯუკიჩი** ძირითად შემადგენლობაში გაამწესა, თუმცა ხორვატმა შანსები ვერ გამოიყენა. პირველ ტაიმში გოლები **ემრე ჩანმა** (რომელიც პეპმა ყველასათვის მოულოდნელად, დაცვის ცენტრში ათამაშა) და ახალგაზრდა გარემარბმა **ოლივერ მარკუტცმა** გაიტანეს.

მეორე ტაიმში გვარდიოლამ მთელი შემადგენლობა შეცვალა, ერთადერთი საყრდენის როლი კი **პიერ-ემილ ჰოიბერგს** დააკისრა. სამ-სამი გოლი **კლაუდიო პისარომ, ჯერდან შაჩირიმ** და **ალესანდრო შიოპფმა** გაიტანეს, თითოჯერ კი ჰოიბერგმა და **ვლადიმირ რანკოვიჩმა** იხეირეს. **მარიო გომესს** არ უთამაშია. ხვალ „ბაიერნი“ იტალიურ „ბრეშას“ შეხვდება - გუნდს, რომელშიც გვარდიოლა 2001-დან 2003 წლამდე თამაშობდა.



ანგარიში ემრე ჩანმა (შუაში) გახსნა

ამბები

### კავანის გომესი შეცვლის?

იტალიური პრესის ინფორმაციით, 27 წლის **მარიო გომესისთვის** ბრძოლაში „ნაპოლი“ უკვე სერიოზულად ჩაება. „გაძეტა დელო სპორტი“ შაბათს წერდა, რომ ნეაპოლელთა პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა „ბაიერნის“ ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებები დაიწყო და მზადაა, რეკორდმაისტერს 20 მილიონი ევრო გადაუხადოს. როგორც იცით, გომესის ტრანსფერი „ფიორენტინაში“ სწორედ იმიტომ არ შედგა, რომ ფლორენციელები ბავარიელებს 20 მილიონზე გაცილებით ნაკლებს სთავაზობდნენ.

„ნაპოლის“ კი ფული არ უჭირს და გომესი **ედინსონ კავანის** შემცვლელად სჭირდება, რომელიც დღეს-ხვალ პსჟ-ს მიაშურებს. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, „ნაპოლი“ 26 წლის კავანის სანაცვლოდ 63 მილიონ ევროს მიიღებს.

### იტალიაში ფეხბურთელები დასაჯეს

მანიპულირებული მატჩების სკანდალის კვალდაკვალ იტალიაში რამდენიმე ფეხბურთელი დასაჯეს. „ტორინოს“ თავდამსხმელ **პაულო ვიტორ დე სოუზა ბარეტოს** და „ჯენოას“ მცველ **ჯოვანი მარკეზეს** 3 თვითა და 10 დღით დისკვალიფიკაცია მიესაჯათ. ამასთან, მათ 10-10 ათასი ევროს გადახდაც მოუწევთ და ეს ყველაფერი იმის გამო, რომ 2009 წლის მაისში, სერია B-ს მატჩი „სალერნიტანასა“ და „ბარის“ შორის მანიპულირებული იყო, ამის შესახებ იცოდნენ და პოლიციას არ შეატყობინეს. პროკურატურამ „კატანიას“ ფეხბურთელ **დავიდე ლანძაფამესთვის** 4-წლიანი დისკვალიფიკაცია მოითხოვა, მაგრამ საბოლოოდ ფეხბურთიდან 16 თვით მოკვეთეს და 40 000 ევროს გადახდა დააკისრეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული

# ჩაბი ალონსო, უკან ლივერპულში?

ზაფხულზე „ლივერპულის" რამდენიმე ფეხბურთელი მკურნალობდა ტრავმას. მათ შორის იყვნენ გუნდის წამყვანი ფეხბურთელები - **სტივენ ჯერარდი, მარტიკ კელი, დენიელ სტარიჯი** და **ჯო ალენი**. ამას დაუმატეთ **რაჰემ სტერლინგი**, ვინც საწვრთნელ პროცესს სხვებზე ადრე შეუდგა, რათა გაცდენილი დრო აენაზღაურებინა. აი, რას ამბობს თითოეულ მათგანზე „წითლების" ფიზიკური მომზადების მწვრთნელი **გლენ ოდრისკოლი**: *„სტარიჯი ერთადერთია, ვინც ჯერ კიდევ ინდივიდუალურად ვარჯიშობს, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მისი რეაბილიტაციის პროცესი იმაზე სწრაფად მიდის, ვიდრე დაგეგმილი იყო. გამორიცხული არ არის, რომ მან სეზონის დაწყებამდე მოახერხოს კონდიციების აღდგენა. ჯერარდი უკვე სრული დატვირთვით ახერხებს ვარჯიშს. მას უკვე ყველაფრის ნება აქვს ჩვენგან მიცემული. კელიც დაგვიბრუნდა. მასზეც შეიძლება თქმა, რომ პრობლემები უკან მოიტოვა. სტერლინგმა სხვებზე ადრე დაიწყო ვარჯიში და შესაბამისად, ამ ეტაპზე სხვებზე უკეთაც კი გამოიყურება. ალენმა კი რეაბილიტაცია დაასრულა და მალე მასაც სრული პროგრამით შეეძლება მომზადება. ის ძალიან მონდომებულია".*


ჩაბი ალონსო დღემდე რჩება „ლივერპულის" გულშემატკივართა ერთ-ერთ საყვარელ ფეხბურთელად

## დიდი დაბრუნება ენფილდზე?

კარიერის საუკეთესო წლები **ჩაბი ალონსომ** „ლივერპულში" გაატარა. „ენფილდზე" ის 2004 წლის ზაფხულზე მივიდა. სადებიუტო სეზონი ისტორიული გამოდგა. **რაფა ბენიტესის** გუნდმა ჩემპიონთა ლიგის დრამატულ ფინალში „მილანი" დაამარცხა. 2009 წელს ჩაბი „რეალში" გადავიდა სათამაშოდ და მას მერე სამეფო კლუბის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევა. 2014 წლის ზაფხულზე მას მადრიდელებთან ხელშეკრულება უმთავრდება, მაგრამ ცნობილია, რომ ის თანამშრომლობის გაგრძელებას არ აპირებს. ასე რომ, გამორიცხული არ არის, კლუბმა წამყვანი მოთამაშე ტრანსფერზე დააყენოს. 31 წლის საყრდენის გადაბირებას **ბრენდან როჯერსი** გეგმავს. ჩრდილოირლანდიელი სპეციალისტი უკვე ელაპარაკა ხელმძღვანელობას და საჭირო სახსრების გამოყოფა სთხოვა. მიუხედავად ასაკისა, „რეალმა" ვეტერანი შესაძლოა მაინც ძვირად დააფასოს. ლაპარაკია დაახლოებით 12 მილიონ ევროზე. გეტყვით იმასაც, რომ კაპიტანი სტივ ჯერარდი გარიგებას მიესალმება. მისი თქმით, ნიჭიერ ახალგაზრდებთან ერთად „ლივერპულს" გამოცდილი ფეხბურთელებიც გამოადგება.

ტოტენჰემი

# ახალწვეულის პირველი სიტყვა

ბრაზილიის ნაკრების 24 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **პაულინიო** ლონდონს პარასკევს ეწვია, მეორე დღეს „დეზების" ბაზაზე სამედიცინო შემოწმება გაიარა და კლუბთან 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. შაბათს მან უკვე ტოტენჰემელის რანგში საკლუბო ვებგვერდს პირველი მცირე ინტერვიუ მისცა, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

- პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადავუხადო „ტოტენჰემს" იმ ნდობისთვის, რაც გამომიცხადეს. აღფრთოვანებული ვარ პერსპექტივით, რაც ლონდონში მელოდება. ჩემს კარიერაში ეს უზარმაზარი წინ გადადგმული ნაბიჯია. ამაყი ვარ, რომ ასეთ სახელოვან კლუბში მოვხვდი. გააზრებული მაქვს, თუ რამხელა გამოწვევის წინაშე ვდგავარ, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ტვირთს გავუძლებ და ჩემს თანაგუნდელებს მაქსიმალურად დავეხმარები წარმატების მიღწევაში.

საწვრთნელი ცენტრი უბრალოდ საოცრებაა. ნანახისგან ჯერ კიდევ შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. „ტოტენჰემის" ფეხბურთელებისთვის აქ საოცნებო პირობებია შექმნილი. ვაპირებ, რომ ჩემს საქმეზე გავაკეთო კონცენტრაცია და გარშემო შექმნილი კომფორტი სრულად გამოვიყენო. ბრაზილიაში ხშირად ვუყურებდით პრემიერლიგის შეხვედრებს. მათ შორის „ტოტენჰემის" მონაწილეობითაც. ასე რომ, ვიცი, რა დონის მოთამაშეებთან მომიწევს კონკურენციის გაძლება. კარგია, რომ გუნდს ჩემ გარდა ბრაზილიელი კიდევ ჰყავს. სანდროსთან და სხვა თანაგუნდელებთან შეხვედრას მოუთმენლად ველოდები.



პაულინიო ტოტენჰემის ბაზაზე შექმნილი პირობებით გაოცებულია

ინტერვიუ.მარკო ვან გინკელი

# ნაბიჯი წინ



მარკო ვან გინკელს თამაშის უფლებისთვის მასზე ბევრად უფრო გამოცდილ ფეხბურთელებთან მოუწევს ბრძოლა

შაბათს „ჩელსის" ოფიციალურმა ვებგვერდმა „სტემფორდ ბრიჯზე" 20 წლის ჰოლანდიელი ტალანტის, **მარკო ვან გინკელის** ტრანსფერი დაადასტურა. „ვიტესიდან" უნიჭიერესი შუახაზელის გადაბირება ლონდონელებს 8,3 მილიონი ევრო დაუჯდათ. ფეხბურთელმა „ჩელსის" ვებგვერდს ინტერვიუ მისცა, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

**- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. როგორია პირველი შთაბეჭდილება?**

- ყველაფერი მშვენიერია. ბედნიერი ვარ, რომ უმაღლესი დონის ფეხბურთელებთან ერთად ასეთ ძლიერ კლუბში უნდა ვითამაშო. ჩემს ახალ თანაგუნდელებზე ბევრი რამ მსმენია, მაგრამ მათთან გაცნობას მაინც მოუთმენლად ველოდები.

**- გულშემატკივრისთვის საკუთარ თავზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- ჩემი მოქმედების არეალი საჯარიმოდან საჯარიმომდეა. შემიძლია სწრაფად და დაუღალავად სირბილი. კარგად ვთამაშობ დაცვაში. ერთი სიტყვით, მგონია, რომ გუნდური მოთამაშე ვარ.

**- ჰოლანდიაში წლის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ დაგასახელეს.**

- დიახ, კარგი სეზონი გამომივიდა, რისი წყალობითაც დავიმსახურე პრიზი, რომლითაც ძალიან ვამაყობ. ცხრილში საბოლოოდ მე-4 ადგილი დავიკავეთ, ეს კი „ვიტესისთვის" დიდი მიღწევა იყო. დიდი ხნის წინ ჩავიფიქრე კარიერაში კიდევ ერთი ნაბიჯით დაწინაურება. „ჩელსი" ამისთვის საუკეთესო ვარიანტია.

**- ჟოზე მოურინიოს თუ ელაპარაკეთ?**

- დიახ, მწვრთნელს უკვე ვესაუბრე. მან თბილი სიტყვები არ დაიშურა ჩემთვის. როცა ასეთი დონის სპეციალისტი გაქებს, მართლა შეიძლება ამის მერე თავი უფრო ამაყად იგრძნო. მასთან მუშაობით ბედნიერი ვიქნები.

**- თქვენი პირადი მიზანი რა იქნება?**

- მინდა, რაც შეიძლება ბევრი ვისწავლო და განვვითარდე. მინდა, უფრო ხშირად ვითამაშო, ვიდრე სკამზე ვიჯდე. ამის დიდი იმედი მაქვს. ვისურვებდი, რომ გუნდისთვის მნიშვნელოვან მოთამაშედ ვქცეულიყავი.

**- პირველ საწვრთნელ დღეს მოუთმენლად ელოდებით?**

- დიახ, ველოდები და მინდა ვთქვა, რომ სულაც არ მეშინია. ისეთი ფეხბურთელების გვერდით ვარჯიში, როგორებიც არიან ლამპარდი და ტერი, ძალიან ბევრს ნიშნავს. „ვიტესში" გატარებული 3 წლის შემდეგ „ჩელსიში" გადასვლა სერიოზული ნაბიჯია. დარწმუნებული ვარ, უზარმაზარ გამოცდილებას მივიღებ.

**- იწყება უმნიშვნელოვანესი წელიწადი, რომლის დასრულების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატი გელით.**

- ბრაზილიაში წასვლა ბევრს უნდა, მაგრამ, როგორც ლუი ვან გაალმა თქვა, ამისთვის უმაღლეს დონეზე თამაშია საჭირო. პრემიერლიგა ერედივიზიეზე ბევრად უფრო ძლიერი ჩემპიონატია. შესაბამისად, ბევრად უფრო მეტი რამ უნდა ვისწავლო და დავიხვეწო. აქ სწორედ ამ მიზნით მოვედი.

ამბები

## ფლეტჩერი და მორიგი კითხვის ნიშნები


ფლეტჩერი

„მანჩესტერ იუნაიტედის" 29 წლის შოტლანდიელი საყრდენი ნახევარმცველი **დარენ ფლეტჩერი** ჯანმრთელობის პრობლემების გამო უკვე მესამედ გახდა იძულებული, კარიერაში პაუზა აეღო. შეგახსენებთ, რომ მას საჭმლის მომნელებელი სისტემის უიშვიათესი ვირუსი აწუხებს. დარენს მესამე ოპერაცია ჩაუტარდა და ექიმებს მხოლოდ რამდენიმე დღეში შეეძლებათ საბოლოო პასუხის თქმა, მოახერხებს თუ არა ოდესმე ის კარიერის ჩვეულ რეჟიმში წარმართვას. ფლეტჩერმა სარეაბილიტაციო პერიოდი უკვე დაიწყო. აი, რას ამბობს ფეხბურთელი: *„ჩემთვის ეს ურთულესი ბრძოლა იყო. თუკი ივნისის ბოლოს გაკეთებულმა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ისევ მომეცემა თამაშის საშუალება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო წლების კოშმარს წერტილი დაესმება. როგორც პროფესიონალ ფეხბურთელს მხოლოდ ის მინდა, რომ კარიერა გავაგრძელო".*

## ვენგერი კონტრაქტს აგრძელებს

„სანის" მტკიცებით, „არსენალმა" **არსენ ვენგერთან** კონტრაქტის გაგრძელებაზე მოლაპარაკებები წამოიწყო. რა პირობებს სთავაზობენ „მეთოფეები" 63 წლის ფრანგს, ჩვენთვის უცნობია, თუმცა ბრიტანელი ჟურნალისტები ირწმუნებიან, რომ მხარეები საკითხის დახურვას უახლოეს პერიოდში გეგმავენ. მოქმედი ხელშეკრულება ვენგერს ერთი წლის თავზე უმთავრდება. შეგახსენებთ, რომ მუსიე არსენი ჩრდილოლონდონელთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე 17 წლის წინ, 1996 წლის 30 სექტემბერს უბადრუკი **ბრიუს რიოჩის** ნაცვლად დანიშნეს. მართალია, მას სარფიანი წინადადებები არაერთხელ მიუღია უფრო მდიდარი კლუბებისგან, მაგრამ მისივე თქმით, „არსენალიდან" წასვლაზე არასდროს უფიქრია.


არსენ ვენგერი

## გუზანი ვილა პარკზე ოთხი წლით

„ასტონ ვილას" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ბირმინგემულმა კლუბმა 28 წლის ამერიკელ **ბრედ გუზანს** კონტრაქტი 2017 წლის ივნისის ბოლომდე გაუგრძელა. პოლონური ფესვების მქონე ფეხბურთელი ბირმინგემელთა შორის 2008 წლიდან ირიცხება, თუმცა ძირითადში ადგილის დამკვიდრება მხოლოდ 2012/13 წლების სეზონში მოახერხა. გეტყვით იმასაც, რომ გუზანმა წინა კონტრაქტს ხელი შარშან ივლისში მოაწერა. „ასტონ ვილაში" თამაში ჩემთვის დიდი პატივია. კლუბში დარჩენას კიდევ დიდხანს ვგეგმავ," - განაცხადა ამერიკელმა გოლკიპერმა.

## ქალბატონიდან შავ კატებში

„იუვენტუსმა" „სანდერლენდისგან" მეორედ მიიღო ოფიციალური წინადადება 28 წლის შემტევი ნახევარმცველის **ემანუელე ჯაკერინის** შესახებ. **ლუჩანო სპალეტი** ემანუელეს „სკუადრა აძურაში" რეგულარულად ათამაშებს. საპირისპირო სურათია **ანტონიო კონტეს** შემთხვევაში. ფეხბურთელმა „ბებერი ქალბატონის" თავკაცის ნდობა ვერა მოიპოვა. შესაბამისად, ძირითადში ადგილს იშვიათად თუ იმსახურებს. **პაოლო დი კანიო** მზადაა არის, ტურინს პირადად ეწვიოს და მოლაპარაკებებს უხელმძღვანელოს. ტაინსაიდური კლუბი ფეხბურთელის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს იხდის. „იუვეს" პასუხი ჯერჯერობით უცნობია.

## ბეგოვიჩი რჩება


ასმირ ბეგოვიჩი

2013 წლის იანვარში, როცა „სტოკ სიტიმ" „ბირმინგემისგან" ინგლისის ნაკრების ნევრი **ჯეკ ბატლენდი** შეიძინა და 5-თვიანი იჯარით იქვე დატოვა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს სეზონის დასრულების შემდეგ **ასმირ ბეგოვიჩის** გაყიდვაზე თანხმობას ნიშნავდა. 25 წლის ბოსნიელის სავარაუდო მყიდველთა შორის პრემიერლიგის საუკეთესო კლუბები სახელდებოდნენ, მაგრამ... „დეილი მეილის" მტკიცებით, „სტოკის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ჰიუზმა** მეკარის ტრანსფერს ვეტო დაადო. რაც იმას ნიშნავს, რომ ბოსნიელი რჩება. მოითხოვს თუ არა ბატლენდი პრაქტიკისთვის სხვა კლუბში გაშვებას, ამას უახლოეს დღეებში შევიტყობთ. სხვა შემთხვევაში მას მთელი სეზონის სათადარიგოთა სკამზე გატარება მოუწევს.

## რეკიკი სამშობლოში

„ეინდჰოვენი" მზად არის, „მანჩესტერ სიტისგან" 18 წლის მარცხენა მცველის **კარიმ რეკიკის** ერთწლიან იჯარაზე დაიწყოს მოლაპარაკება. თინეიჯერი ჰოლანდიელი „ეტიჰადზე" ორი წლის წინ „ფეიენოორდიდან" გადავიდა. ობიექტური მიზეზების გამო მას „ქალაქელთა" ძირითადში კი არა, სათადარიგოთა სკამზე მოხვედრაც კი უჭირდა. **რობერტო მანჩინიმ** ის ორჯერ მიავლინა ხანმოკლე საიჯარო ხელშეკრულებებით ჯერ „პორტსმუთში", მერე „ბლექბერნში". **მანუელ პელეგრინის** დამოკიდებულება ახალგაზრდა უკანახაზელის მიმართ უცნობია.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი



ჟერემი ტულალანი „მონაკოში“ პრეზენტაციაზე

# ტულალანი მონაკოელია

## მონაკომ იტალიელებთან გაილაღა

„მონაკომ“ „მალაგადან“ **ჟერემი ტულალანი** შეიძინა და 29 წლის ფეხბურთელთან 2-წლიანი კონტრაქტი, ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით, გააფორმა. ტრანსფერის ღირებულება არ გახმაურებულა. ტულალანის და სხვა ახალწვეულების წარდგენა დღეს, 8 ივლისს იგეგმება. საყრდენი ნახევარმცველი „მონაკოს“ რიგით მე-8 ახალწვეულია. შეგახსენებთ, მანამდე საგრაფოს წარმომადგენლებმა **რადამელ ფალკაო, ჯეიმს როდრიგესი, ჟოაო მოუტინიო, რიკარდო კარვალიო, ნიკოლა ისიმატ-მირენი** და ახალგაზრდები, 19 წლის **გაეტანო მონაკელო** და 17 წლის **ანტონი მარტიალი** შეიძინეს.

*„ჟერემი ტულალანის შეძენით ძალიან ბედნიერები ვართ. მისი ოსტატობა, ევროპული და საერთაშორისო გამოცდილება კლუბს დიდ დახმარებას გაუწევს,“* - განაცხადა „მონაკოს“ სპორტულმა დირექტორმა **ვადიმ ვასილიევმა**.

საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი (36 თამაში, 0 გოლი) ლიგა 1-ს ორწლიანი პაუზის შემდეგ უბრუნდება. შეგახსენებთ, რომ მალაგაში, 2011 წელს, ტულალანი „ლიონიდან“ გადავიდა, სადაც 5 სეზონი გაატარა, კარიერას კი ჟერემი „ნანტში“ იწყებდა, სადაც 2001-06 წლებში თამაშობდა.

ამასობაში, „მონაკომ“ პირველი ამხანაგური მატჩი გამართა და პერუჯას რეგიონის კლუბ „კასკიას“ 11:0 მოუგო. გოლები რიკარდო კარვალიომ (მე-9 წუთი), **მუნირ ობადიმ** (39), **ვალერი ჟერმენმა** (44), გაეტანო მონაკელომ (53), **იბრაჰიმა ტურემ** (55, 58, 69), **ტერენს მაკენგომ** (60), **ლუკას ოკამპოსმა** (62, 80) და **ჟესი პიმ** (64) გაიტანეს. „მონაკომ“ შემდეგ შემადგენლობით ითამაშა:

**I ტაიმი:** რომა - რაჯი, ისიმატ-მირენი, კარვალიო, ფოჟო - უამარი, ობადი, სალი, ოკამპოსი - მარტიალი, ჟერმენი.

**II ტაიმი:** კაილარი (მარავალი) - სისაკო, კაგელმახერი, ვოლფი, ტისერანი - ი. პოულსენი, პი, მონაკელო, ოკამპოსი - მაკენგო, ი. ტურე.

სან პაულო

# სან პაულო მწვრთნელის გარეშე დარჩა

„სან პაულოს“ დამრიგებელი **ნეი ფრანკო**, რეკოპა სუდამერიკანაზე, პირველ შეხვედრაში „კორინთიანსთან“ განცდილი მარცხის შემდეგ, დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს.



ნეი ფრანკო

46 წლის სპეციალისტი „სან პაულოს“ დამრიგებლად 2012 წელს დაინიშნა და პირველივე სეზონში კლუბს კოპა სუდამერიკანა მოაგებინა, თუმცა ამის გარდა ბრაზილიის 6-გზის ჩემპიონს არაფრისთვის მიუღწევია. ბოლო პერიოდში, ნეი ფრანკოს ფეხბურთელებთან ურთიერთობა გაუფუჭდა, რადგან გუნდის არადამაჯერებელ ასპარეზობას მწვრთნელი სწორედ მოთამაშეებს აბრალებდა. ცუდი შედეგების და ტაქტიკური სქემის ხშირი ცვლის გამო, ფრანკომ დირექტორატის მხარდაჭერა დაკარგა და საბოლოოდ, ერთწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, მას კარისკენ მიუთითეს.

ბრაზილიელი ჟურნალისტების აზრით, „სან პაულოს“ ახალი მთავარი მწვრთნელი **მურისი რამალიო** უნდა გახდეს, რომელიც კლუბს ორჯერ, 1994-97 და 2006-09 წლებში ხელმძღვანელობდა და მასთან ერთად ზედიზედ სამჯერ (2006, 2007, 2008) ბრაზილიის ჩემპიონატი მოიგო. 2010-11 წლებში რამალიო „ფლუმინენსეს“ დამრიგებელი გახლდათ და რიოს კლუბი 26-წლიანი პაუზის შემდეგ (2010) გააჩემპიონა, რის შემდეგაც 57 წლის მწვრთნელი სათავეში „სანტოსს“ ჩაუდგა და ნეიმარის დახმარებით, პელეს კლუბს, 48-წლიანი პაუზის მერე, ლიბერტადორესის თასი (2011) მოაგებინა.

რამალიომ „სანტოსი“ რამდენიმე კვირის წინ, ნეიმარის გაყიდვის შემდეგ დატოვა და გასაკვირი ნამდვილად არაა, რომ ასეთი ტიტულოვანი სპეციალისტით ბევრი კლუბია დაინტერესებული.

ამბები

## ბრაზილიაში მსაჯმა ფეხბურთელი მოკლა, შემდეგ კი მას თავი მოკვეთეს

ბრაზილიაში, მოყვარულთა თამაშის დროს, შეხვედრის არბიტრმა ერთ-ერთი ფეხბურთელი მოკლა, რის შემდეგაც, მატჩზე დამსწრე მაყურებლებმა მსაჯი „ლინჩის წესით“ გაასამართლეს და მას თავი მოკვეთეს.

ბრაზილიელი ჟურნალისტების ცნობით, ქალაქ მარანაოში, მოყვარულთა თამაშის დროს, 20 წლის არბიტრმა **ოტავიო ჟორდაო და სილვამ**, 30 წლის ფეხბურთელი, **ჟოსენიტ დოს სანტოს აბრეუ**, თამაშის დროს დანის დარტყმით მოკლა. ფეხბურთელი მსაჯის გადაწყვეტილებით დარჩა უკმაყოფილო და კამათის შემდეგ მან ჟორდაო და სილვას ხელი გაარტყა, რასაც მსაჯმა დანის დარტყმით უპასუხა. ამ ყველაფრის შემყურე, მატჩზე დამსწრე გულშემატკივრები სტადიონზე შეიჭრნენ. თვითმხილველთა თქმით, ჟორდაო და სილვა გაკოჭეს, სმეცეს, ქვებით ჩაქოლეს, შემდეგ კი მას თავი მოკვეთეს და მოედნის ცენტრში დარგეს!

ინციდენტის შემდეგ ერთი პიროვნება დააკავეს, რომელიც არბიტრზე თავდასხმას აღიარებს, მაგრამ მის მკვლელობას უარყოფს. პოლიციელები კიდევ ორ ეჭვმიტანილს ეძებენ და გარდა ამისა, მობილური ტელეფონით გადაღებულ ვიდეო მასალას სწავლობენ.

## კორინთიანსმა სილვინიო დაასაქმა

„არსენალის“ და „ბარსელონას“ ყოფილი ფეხბურთელი **სილვინიო** „კორინთიანსის“ მთავარი მწვრთნელის, **ტიტეს** ასისტენტად დაინიშნა. 39 წლის ყოფილმა ფეხბურთელმა ამ თანამდებობაზე ჟერალდო დელამორე შეცვალა, რომელმაც დამოუკიდებლად მუშაობა გადაწყვიტა.

სილვინიომ, რომელიც ფეხბურთელის კარიერას სწორედ „კორინთიანსში“ იწყებდა, პრესკონფერენციაზე შემდეგი რამ განაცხადა: *„ევროპაში ათ წელზე დიდხანს ვთამაშობდი და სამწუხარო იქნებოდა, იქ დაგროვილი გამოცდილება მწვრთნელობაში რომ არ გამომეყენებინა. რა თქმა უნდა, მსურს, რომ ერთ დღეს რომელიმე გუნდი დამოუკიდებლად გავწვრთნა, მაგრამ ამისკენ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიარო და ჯერ ცოდნა გავიღრმავო.“*

„კორინთიანსამდე“ სილვინიო მთავარი მწვრთნელის ასისტენტად „კრუზეიროში“, „ნაუტიკოსა“ და „სპორტ რესიფეში“ მუშაობდა.

## ბოიანი აიაქსში გადავიდა

ერთ დროს უნიჭიერეს ფეხბურთელად მიჩნეული **ბოიან კრკიჩი** მომავალ სეზონს ამსტერდამის „აიაქსში“ გაატარებს, სადაც ის „ბარსელონამ“ ერთი წლით გაანათხოვრა. წინა სეზონის დასრულების შემდეგ, ჰოლანდიის ჩემპიონი **რაიან ბაბელმა** („კასიმფაშა“), **მირალემ სულეიმანიმ** („ბენფიკა“) და **ისააკ კუენკამ** („ბარსელონას“ დაუბრუნდა) დატოვეს, შესაბამისად, „აიაქსს“ ახალი ფორვარდი სჭირდებოდა. 22 წლის ბოიანმა ბოლო ორი სეზონი იტალიაში გაატარა, მაგრამ თავის გამოჩენა ვერც „რომაში“ შეძლო და ვერც „მილანში“.

*„ის მაღალი დონის ფორვარდია, რომელმაც იცის, თუ რას ნიშნავს უმაღლეს დონეზე თამაში. ბოიანი უფრო ვიქტორ ფიშერის სტილის ფორვარდია და ისააკ კუენკას მსგავსად ფლანგის შემტევი არ გახლავთ, მაგრამ გუნდში მისი აყვანა მაინც ძალიან მინდოდა,“* - განაცხადა ამსტერდამელთა მთავარმა მწვრთნელმა **ფრანკ დე ბურმა**.

სულ სერია A-ში ბოიანმა 52 თამაში ჩაატარა და 10 გოლი (7 „რომაში“, 3 „მილანში“) გაიტანა. სურვილის შემთხვევაში, „აიაქსს“ საიჯარო ხელშეკრულების კიდევ ერთი წლით გაგრძელება შეეძლება.

## კიაერი „ლილში“ გადავიდა

როგორც უკვე ვწერდით, „ლილი“ **სიმონ კიაერის** შეძენით იყო დაინტერესებული. შაბათს ყველაფერი მოგვარდა და დანიელი მოთამაშე ოფიციალურად გახდა 2011 წლის საფრანგეთის ჩემპიონის წევრი. 24 წლის კიაერმა ახალ გუნდთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, „ვოლფსბურგი“ კი 2 მილიონ ევროს მიიღებს.

*„ვფიქრობ, ტრანსფერისთვის იდეალური დრო შევარჩიე. მოხარული ვარ, რომ ასეთ ძლიერ და ამბიციურ კლუბში ჩავირიცხე,“* - განაცხადა კიაერმა პრეზენტაციაზე.

## რაფაელი ნაპოლიში გადადის

„სანტოსის“ ნიჭიერი მეკარე, 23 წლის **რაფაელ კაბრალი** კარიერას „ნაპოლიში“ გააგრძელებს. „სანტოსის“ მწვრთნელის, **კლაუდინეი ოლივეირას** თქმით, გუნდები ყველაფერზე შეთანხმდნენ და ახლა ჯერი რაფაელზეა.

*„ჩვენ ვიცით, რომ ის წავა. რაფაელი „სანტოსის“ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. კონტრაქტს მხოლოდ მისი ხელმოწერა აკლია და ამის გამო, მას მომდევნო შეხვედრაში არ ვათამაშებ, რადგან გარისკვა არ ღირს,“* - განაცხადა ოლივეირამ.

ბრაზილიური კლუბი 5 მილიონ ევროს მიიღებს. კიპერის შეძენით დაინტერესებული იყო „რომაც“, მაგრამ დედაქალაქურ კლუბს „ნაპოლიმ“ აჯობა.

ჟურნალისტების ცნობით, ნეაპოლური კლუბი „ქუინზ პარკიდან“ **ჟულიო სეზარის** შეძენასაც ცდილობს. მედიის წარმომადგენელთა აზრით, ბრაზილიის ნაკრების მეკარე რაფაელს აპენინებზე ადაპტაციაში დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ ინგლისში წასვლამდე, ჟულიო სეზარმა იტალიაში, კერძოდ მილანის „ინტერში“, 7 წელი გაატარა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

Auto Bild
საქართველო
გაყიდვაშია ივლისის ნომერი
N 1 საავტომობილო ჟურნალი მსოფლიოში

ტრანსფერი

# ფაჩულიას კი მილუოკის





ფაჩულია 2004 წელს მილუოკიში თამაშობდა

„მშვიდობით ატლანტა“ - შაბათ დილას „ფეისბუქზე“ დაწერა **ზაზა ფაჩულიამ**. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი სოციალურ ქსელებს ყოველთვის სერიოზულად ეკიდება, იოლი მისახვედრი იყო, რომ ქალაქ ატლანტასთან დამშვიდობება „ჰოქსის“ დატოვებას ნიშნავდა.

ქართველ ცენტრს „სან ანტონიო“, „მილუოკი“ და „პორტლენდი“ ეპატიჟებოდნენ. მისი მომავალი ნავსაყუდელიც სწორედ ამ სამ გუნდში უნდა გვეძებნა. თუმცა შაბათსვე ზაზას ტრანსფერზე არსად არაფერი დაწერილა. კვირას კი ყველა ამერიკული სპორტული გამოცემის ვებ-გვერდზე ფაჩულიას გვარი სათაურში მოხვდა. მოკლე შინაარსი „მილუოკი ჟურნალ სენტინელის“ მსგავსი იყო - „ზაზა ფაჩულია 15-მილიონიან, სამწლიან კონტრაქტზე „მილუოკის“ შეუთანხმდა“.

ზოგან თანხა ასე წერია: 15+ მილიონი, ზოგგან მხოლოდ რიცხვი 15 არის ნახსენები. სარწმუნო წყაროს ცნობით კი კონტრაქტის ზუსტი ციფრი 15.6 მილიონია. სწორედ ამდენ დოლარს მიიღებს ფაჩულია „მილუოკიში“ გასატარებელ მომდევნო სამ წელიწადში.

შეგახსენებთ, რომ ატლანტასთან 2005 წელს გაფორმებული ოთხწლიანი კონტრაქტი 16 მილიონიანი იყო, 2009 წელს იმავე „ატლანტასთან“ (ოთხწლიანი) გაფორმებული - 19-მილიონიანი.

ცხადია, თანხასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არანაკლებ საყურადღებოა ხელშეკრულების ხანგრძლივობა. მაგალითად, 2003 წელს **ვლადიმერ სტეფანიას** „მაიამი ჰიტის“ ხელმძღვანელი **პატ რაილი** ერთწლიან, 2 მილიონიან ხელშეკრულებას სთავაზობდა. ვოვამ ორწლიანი ითხოვა და შეთანხმება არ შედგა. როცა NBA-ს გუნდთან მოკლევადიან, ანუ ერთწლიან ხელშეკრულებას აფორმებ, მომავალ ზაფხულზე ფიქრი გიწევს - ახალი გუნდის ძიებაზე მალევე უნდა იზრუნო. სატრანსფერო წელი კი ნებისმიერი კალათბურთელისთვის დამატებითი სანერვიულოა. 29 წლის ზაზა ფაჩულიასთვის 3-წლიანი კონტრაქტი მომდევნო წლებში მშვიდად მუშაობის გარანტად იქცევა.

როგორც ამერიკული პრესა იუწყება, ფაჩულია „მილუოკისთან“ კონტრაქტს 10 ივლისის შემდეგ გააფორმებს, რადგან ოფიციალურად სწორედ ამ დღეს იხსნება „ტრანსფერების სეზონი“.

## რატომ „მილუოკი“?

როგორც ზემოთ დავწერეთ, ზაზას გადაბირება „სან ანტონიოსაც“ სურდა. ფაჩულიას საჩემპიონო გუნდში თამაში ამერიკაში წასვლის დღიდან სურდა. მაგრამ გავიხსენოთ 2009 წელი: როცა მას სანანტონიოელებმა ხელმოსაწერად გამზადებული ხელშეკრულება გაუგზავნეს, ზაზამ „ატლანტაში“ დარჩენა ამჯობინა, რადგან ჯორჯიელებმა უკეთესი პირობები შესთავაზეს.

ზუსტად რა მოხდა წლეულს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ლოგიკურია, რომ მათგან, ვისაც ქართველი ცენტრის გადაბირება სურდა, ყველაზე მომგებიანი (ფულისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით) ხელშეკრულება „მილუოკილებმა“ შესთავაზეს. იმდენად უკეთესი, რომ ფაჩულიამ ვიცე-ჩემპიონ „სან ანტონიოზე“ უარი თქვა.

იყო კიდევ ორი ნიუანსი, რასაც ჩვენი ნაკრების კაპიტანი ანგარიშს აუცილებლად გაუწევდა: მწვრთნელი და ისტორია.

დავიწყოთ მწვრთნელით. „ატლანტა ჰოქსში“ ბოლო ორ სეზონში მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ლარი დრიუ** მოღვაწეობდა. სწორედ მის ხელში გაიხსნა ფაჩულია ბოლომდე - შავი სამუშაოს პარალელურად შეტევაში თავისუფლად მოქმედება ევალებოდა. დაგვიანებით, მაგრამ პირველად სწორედ დრიუს მწვრთნელობისას უჩვენა, რომ შორი დისტანციიდან სროლაც შეუძლია და თამაშის საკუთარ თავზე აღებაც. თუმცა, ზაზა მაინც გუნდზე ფიქრობდა და ამიტომაც იყო, ამერიკელი ჟურნალისტები რომ წერდნენ - ველარ გაგვიგია, ფაჩულია გამთამაშებელია თუ ცენტრიო („ბრუკლინთან“ კარიერის რეკორდი დაამყარა - 8 შედეგიანი გადაცემა მიითვალა).

მაისში, „ლელოს“ რედაქციაში სტუმრობისას ფაჩულიამ ხაზი გაუსვა მწვრთნელის, ლარი დრიუს ნდობას და შეგვახსენა, რომ იგი გაზაფხულზე „ატლანტადან“ „მილუოკიში“ გადავიდა. ამ და ზემოთ ნახსენები ფაქტორების გათვალისწინებით გასაკვირი არ არის, რატომ დათანხმდა იგი „ბაქსის“ შეთავაზებას.

ისტორია. 2004 წელს, სადებიუტო სეზონში ფაჩულია „ორლანდოს“ „მილუოკის“ დამარცხებაში (106:99) დაეხმარა, 11 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა. სწორედ ამ მატჩის შემდეგ დაადგა მას თვალი „ბაქსის“ მენეჯერმა და მომდევნო სეზონში თავისთან უხმო. 2004-05 წლებში ფაჩულია მილუოკელთა იისფერი მაისურით კიდევ უკეთ ათამაშდა და იქაურობით (განსაკუთრებით ქომაგებით) კმაყოფილი იყო.

ასე რომ, ზაზა წლეულს ნაცნობ ადგილას, ნაცნობ სიტუაციაში მივიდა და აკლიმატიზაციის პრობლემა ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს.

## პერსპექტივა

რატომღაც დარწმუნებული ვარ, ფაჩულია „სპურსში“ რომ გადასულიყო, სათამაშო დროც საკმარისად ექნებოდა და ფუნქციებიც. თუმცა ჩანს ისიც, რომ „მილუოკიში“ საინტერესო პერსპექტივით მიდის. ძნელი სათქმელია, „ხარირმები“ სეზონის დაწყებამდე წინა ხაზში კიდევ ვის დაიმატებენ, მაგრამ ერთი რამ ცხადია - ამჟამინდელ შემადგენლობაში ყველაზე გამოცდილი ცენტრი ფაჩულიაა. შესაძლოა, სწორედ ეს იყო ზაზას თანხმობის ერთ-ერთი მიზეზთაგანი.

**გუსტავო ეიონი, ლარი სენდერსი, დრიუ გუდენი, ეკპე უდო...** მათ შორის სენდერსი უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც გასული სეზონის ბოლოს სასტარტო ცენტრი იყო. ლარი 211 სმ სიმაღლისაა, თუმცა ფაჩულიაზე გაცილებით მსუბუქია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველი სწორედ მასთან გაიყოფს სათამაშო დროს, თუმცა ლარი დრიუს ორივეს ერთდროულად მოედანზე გაყვანაც შეეძლება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტანმაღალი თურქი ფორვარდი **ერსან ილიასოვაც** „მილუოკის“ ღირსებას იცავს, ურიგო წინა ხაზი არ ჩანს.

დანარჩენს მომავალი სეზონი გვიჩვენებს. მანამდე კონტრაქტია ოფიციალურად გასაფორმებელი.

**ვაჟა სიმონიშვილი**






● ტყვიის სროლა. ესპანეთის ტურნირი

# სალუქვაძის ვერცხლი



ოლიმპიურმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ** სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა ესპანურ გრანადაში მიმდინარე მსოფლიოს თასზე. არადა, გამარჯვებაც თავისუფლად შეეძლო, ფინალში ბოლო სერიაში უჩვეულოდ ცუდად რომ არ ესროლა - ხუთივე ცდა გააფუჭა. მსგავსი ჩავარდნა მოუვიდა მეხუთე სერიაშიც. მის კონკურენტს, ჩინელ **ჯინჯინ ჭანს** კი ასეთი ლაფსუსი მხოლოდ ერთხელ ჰქონდა და 9:7 მოიგო.

შესარჩევ ეტაპზე ჩვენებური მეოთხე იყო - თავიდან ყოჩაღად დაიწყო და პირველი ნახევრის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონ სერბ **ზორანა არუნოვიჩთან** ერთად 295 ქულით დაწინაურდა. ამ დროს მართლაც შესაშური შედეგები ჰქონდა - 98, 98 და 99 ქულა, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორეში ოდნავ მოუკლო მაჩვენებლებს - 96, 98 და 97. საბოლოოდ ჯამში 586 ქულა დააგროვა, რაც მეოთხე მაჩვენებელი აღმოჩნდა. საკვალიფიკაციო ეტაპი არუნოვიჩმა მოიგო 590 ქულით, მეორე ზემოხსენებული ჭანი იყო 589-ით, მესამე - 587-იანი გერმანელთა მონღოლი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი **მუნკბაირ დორჯსურენი**. თუმცა, ახალი წესებიდან გამომდინარე, ამ განლაგებას ნახევარფინალში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან იქ საკვალიფიკაციოს შედეგები აღარ გადაჰყვებათ და ყველაფერი ნულიდან იწყება.

ნახევარფინალში პირველ წრეში ყველაზე უკეთ სალუქვაძე და ჭანი გაისარჯნენ - 15-15 ქულა დააგროვეს და ოქროს მედლისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს. ამ დუეტს თითო ქულით ჩამორჩნენ არუნოვიჩი და დორჯსურენი, რომლებიც ბრინჯაოსთვის შეიბნენ. მთავარ ფინალში რაც მოხდა, უკვე გითხარით, მესამე ადგილისთვის პაექრობაში კი არუნოვიჩმა გერმანელს 8:0 აჯობა.

50-მეტრიან დისტანციაზე იასპარეზა **ლევან ქადაგიძემაც**, რომელიც 534 ქულით 54-ზე გავიდა.

ორშაბათს სალუქვაძე პნევმატური პისტოლეტიდან ისვრის, ქადაგიძე კი ამ დისტანციაზე 10 ივლისს იასპარეზებს. იმავე დღეს გამოვლენ მრგვალ სტენდზე მსროლელებიც.

**ირაკლი თავაძე**

● მკლავჭიდი

# თბილისმა საქართველოს მოუყარა თავი

წლეულს სექტემბერში მკლავჭიდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც ქართველი ათლეტებიც იასპარეზებენ. შეჯიბრებისთვის ნაკრების ძირითადი ბირთვის დაკომპლექტებას და მომზადებას ისახავდა მიზნად მკლავჭიდელთა თბილისის ღია ჩემპიონატი, რომელმაც მთელ საქართველოს მოუყარა თავი. როგორც ეროვნული ფედერაციის თავკაცმა **ერეკლე გურჩიანმა** გვითხრა, სპორტის ამ სახეობას დაუბრუნდნენ სხვადასხვა დროს მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები - **ვეფხია სამხარაძე, ნიკო მათიაშვილი, რაჯი ღალიტაშვილი, არსენა შოშიაშვილი, ვანო კბილაშვილი** და სხვები, რომლებიც კარგა ხანს იყვნენ ჩამოშორებული დიდ სარბიელს. ისინი ნელ-ნელა უბრუნდებიან სპორტულ ფორმას, რაც თბილისის ღია პირველობამაც დაადასტურა - ბევრი მათგანი კვარცხლბეკზე ავიდა, არადა, ტურნირში ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის მედალოსნებიც მონაწილეობდნენ. რჩეულთაგან საპატიო მიზეზით მხოლოდ მსოფლიოს და ევროპის არაერთგზის ჩემპიონ **გენადი კვიკვინიას** არ უასპარეზია. სამაგიეროდ, ძალები მოსინჯეს ჭაბუკებში მსოფლიოს ჩემპიონმა **გურამ აბულაშვილმა** და ევროპის ჩემპიონმა **ვალერი მელაძემ**, კონტინენტის ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებმა - **ვილენ გაბრავამ, კობა მამამთავრიშვილმა, რევაზ საგინაშვილმა, რაჩო გახარიამ, რეზო ლუტიძემ,** რომლებმაც ღია პირველობაზე ღირსეული გამოსვლით ეროვნულ ნაკრებში ადგილი განიმტკიცეს.

ახლა კი ორდღიანი ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით თბილისის ჩემპიონებისა და პრიზიორების ვინაობას გაუწყებთ:

**18-წლამდელები. 65 კგ. მარცხენა მკლავით.** 1. გურამ აბულაშვილი (ახმეტა), 2. მერაბ ბროიანი (თბილისი), 3. თომა თენეიშვილი (ოზურგეთი). **მარჯვენა.** 1. გურამ აბულაშვილი, 1. თომა თენეიშვილი. 3. ზურაბ იმერლიშვილი (თბილისი).

**75 კგ. მარცხენა.** 1. თამაზ კონცელიძე (აჭარა,) 2. გიორგი გოგიჩაიშვილი (მარტყოფი), 3. ზაზა ოქროცვარიძე (ახმეტა). **მარჯვენა.** 1. ზაზა ოქროცვარიძე, 2. თამაზ კონცელიძე, 3. თორნიკე ქოროღლიშვილი (თბილისი).

**85 კგ. 1. მარცხენა.** 1. ელჩინ მინატოვი (თბილისი), 2. ვალერი მელაძე (მცხეთა), 3. ვახტანგ ტიგინაშვილი (თიანეთი). **მარჯვენა.** 1. ელჩინ მინატოვი, 2. ვალერი მელაძე, 3. ბექა დემეტრაძე (თბილისი).

**უფროსები. 65 კგ. 1. მარცხენა.** 1. ვილენ გაბრავა (ხობი), 2. ნიკოლოზ წერეთელი (თბილისი), 3. გელა არაბული (ახმეტა). **მარჯვენა.** 1. ნიკოლოზ წერეთელი, 2. რევაზ გოგიაშვილი (ყვარელი), 3. ზურაბ იმერლიშვილი (თბილისი).

**75 კგ. 1. მარცხენა.** 1. ოთარ თავართქილაძე (აჭარა), 2. ვეფხია სამხარაძე (საჩხერე), 3. გიორგი ქოროღლიშვილი (თბილისი). **მარჯვენა.** 1. ვეფხია სამხარაძე, 2. კობა მამამთავრიშვილი (წყნეთი), 3. იაროსლავ ფალიანი (მესტია).

**85 კგ. 1. მარცხენა.** 1. გიორგი ალბუთაშვილი (თბილისი), 2 მალხაზ ხვედელიძე (საჩხერე), 3. ნიკო მათიაშვილი (მარტყოფი). **მარჯვენა.** 1. ნიკო მათიაშვილი, 2. მალხაზ ხვედელიძე, 3. ვახტან ბერიძე (თბილისი).

**100 კგ. მარჯვენა.** 1. ირაკლი გათენაძე (ქუთაისი), 2. ვანო კბილაშვილი (თბილისი), 3. არსენა შოშიაშვილი (მარტყოფი).

**მძიმე. მარცხენა.** 1. რევაზ საგინაშვილი, 2. რაჩო გახარია (ორივე - თბილისი), 3. გურამ ფაშურიშვილი (თიანეთი). **მარჯვენა.** 1. რეზო ლუტიძე, 2. რევაზ საგინაშვილი (ორივე - თბილისი), 3. რაჯი ღალიტაშვილი (თეთრიწყარო).

**აბსოლუტური. მარჯვენა.** 1. რეზო ლუტიძე, 2. რევაზ საგინაშვილი, 3. გიორგი ფალიაშვილი (სამივე - თბილისი).

**გოგონები. +65. მარცხენა.** 1. მარინე ფუტკარაძე, 2. მზია გვიანაძე, 3. დარინე ცეცხლაძე. **მარჯვენა.** 1. მარინე ფუტკარაძე, 2. დარინე ცეცხლაძე, 3. ნინო მახარაძე (ყველა - აჭარა).



**ვაჟა დანელია**

● თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებში

# პეტრიაშვილი ისევ ჩემპიონია

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდა ქართველებმა 1 ოქროთი და 2 ბრინჯაოთი დაასრულეს გამოსვლა სკოპიეში, თანატოლთა ევროპის ჩემპიონატზე. მოლოდინისამებრ, კონტინენტის ჩემპიონი გორელი მძიმეწონოსანი **გენო პეტრიაშვილი** გახდა, მესამე საპრიზო ადგილზე კი ხაშურელი **დავით ბუზიაშვილი** (66) და თბილისელი **ლაშა გიგაშვილი** (74) გავიდნენ.

სხვა ტურნირების მსგავსად, პეტრიაშვილი სკოპიეშიც შეუჩერებელი იყო და ოთხივე პაექრობა სუფთად მოიგო. მისი გამოსვლის სურათი არც ახლა შეცვლილა - უკლებლივ ყველა შეხვედრაში აკეთებდა იმას, რაც მოესურვებოდა და როცა მოინდომებდა; აშკარად იზოგავდა ძალებს და ბოლომდე დახარჯვა არასოდეს დასჭირვებია; ჭიდაობდა თავისუფლად და ძალის დაუტანებლად... ასეთი დონის შეგირდით ნებისმიერი მწვრთნელი იამაყებდა, რადგან იშვიათად, მას თანატოლებში ვინმე დაუდგეს. აკი აქაც იყო შემთხვევა, როცა ღირსეული რევანში აუღო აზერბაიჯანელ მეტოქეს და ბავშვივით თავისუფლად მოუგო.

იმ კოლოსალური უპირატესობის მიუხედავად, რაც პეტრიაშვილს თანატოლთაგან გამოარჩევს, ის პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში. თუმცა ეს არცაა გასაკვირი, რადგან პეტრიაშვილი წლიდან წლამდე იზრდება და ვისთანაც შარშან წააგო, წლეულს ყველა გააცამტვერა. მას შანსი აქვს, აგვისტოში სოფიაში ამ ასაკში ასევე პირველად მოიგოს მსოფლიოს პირველობა, თუმცა საკითხავია, სპორტული ზრდის თვალსაზრისით რას მისცემს მას იქ გამოსვლა? ხომ არ აჯობებს, ეს ბიჭი პირდაპირ უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოვამზადოთ? მით უფრო, უფროსებში საქართველოს ჩემპიონია და ბუდაპეშტში წასვლა სავსებით დაიმსახურა.

დიდებში ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი პეტრიაშვილი სკოპიეში პირველ წრეში ბერძენ **ატამპატზაკის ხატალამპოსს** სულ რაღაც 30 წამში გაუსწორდა - 8:0. სომეხ **ჰამლეტ აბრაჰამიანს** 7:0 სძლია, ნახევარფინალში კი ზემოაღნიშნული რევანში აიღო აზერბაიჯანელ **ალი მაგომედდაბიროვთან.** ჩვენებური მასთან შარშან დამარცხდა ტურნირზე, ხოლო მეტოქე იმ სეზონში ჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა, რასაც მსოფლიოზე ბრინჯაო მიაყოლა. პეტრიაშვილმა მასაც 8:0-ით დაათმობინა კონტინენტის ჩემპიონის ტიტული, ფინალში კი 2.23 წუთში უკრაინელ **ანდრეი ვლასოვს** კვლავ 8 ქულა აართვა და ისევ ვადამდე იმარჯვა.

ჭაბუკებში ევროპის პრიზიორი ბუზიაშვილი ბელარუს **ანდრეი კაპრაჩთან** 6:2; 5:2 მოგების შემდეგ მეოთხედფინალში აზერბაიჯანელთა მომავალ ფინალისტ **ჰაჯიმურატ ომაროვთან** ორ პერიოდში 3:11 დამარცხდა. სამაგიეროდ, სანუგეშოში იყოჩაღა - ფრანგ **იუსტ ბურს** წმინდად მოუგო - 7:0, ხოლო გერმანელ **კევინ კრისტოფერ ჰენკელთან** ქულებით 9:8 იმარჯვა.

ჭაბუკებში ევროპის კიდევ ერთმა პრიზიორმა გიგაშვილმა ნახევარფინალამდე წარმატებით გაიარა გზა - უკრაინელ **დმიტრი ტკაჩენკოს** 4:2, ბულგარელი **ჰუსეინ ახმედის** კი 7:2 სძლია. სამწუხაროდ, იქ რუსთა მომავალ ჩემპიონ **ჰაბიბ ბატიროვთან** 1:7 წააგო. სამაგიეროდ, სანუგეშოს ფინალში ებრაელ **ჰამონ რაჩამის** 6:6-ზე დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა.

ჩვენი გუნდის სხვა წევრებიდან ბრინჯაოსთვის მხოლოდ **როლანდ ანდრიაძემ** (96) იჭიდავა. მას არც წილისყრამ გაუმართლა, რადგან პირველივე წრეში თურქთა მომავალი ჩემპიონი, ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **ალი ბონცეოღლუ** შეახვედრა. ჩვენებურმა სასწაული ვერ მოახდინა და საბოლოოდ მაინც წააგო, მაგრამ არც ფარ-ხმალი დაუყრია - შეხვედრა 2:2 დასრულდა, თუმცა მეტოქემ დამატებითი ფაქტორებით აჯობა. ანდრიაძემ სანუგეშოში ბულგარელ **ბილგინ იდრიზოვ იუმეროვს** 7:2 მოუგო, მაგრამ ბრინჯაოსთვის შეხვედრა სომხეთის სახელით მოასპარეზე თანამემამულე **ვალერი ყაზიშვილთან** 4:0 დათმო და მეხუთეზე დარჩა. ამ წონის ფინალში ქართველმა მაინც იჭიდავა - ახლო წარსულის ვეტერან ფალავან **გურამ მჭედლიძის** შვილმა **მურაზ მჭედლიძემ**, რომელიც უკრაინის სახელით გამოდიოდა.

სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის სხვა წევრებიდან **ნიკა ტატუაშვილმა** (50) და **შოთა ფარტენაძემ** (60) თითო, **ბექა ბუჯიაშვილმა** (55) კი ორი შეხვედრა მოიგეს, ხოლო **ლევან გოგრიჭიანი** (84) პირველივე წრეში დამარცხდა. ისინი ვერც სანუგეშო წრეში გადავიდნენ.

**კვარცხლბეკი**

**50 კგ.** 1. სულეიმან ათლი (თურქეთი); 2. რუსლან გასიმოვი (აზერბაიჯანი); 3. არუიან ტიუტრუნი (რუსეთი), დიმჩიკ რიუნჩიტოვი (ბელარუსი); **7. ნიკა ტატუაშვილი (საქართველო).**

**55 კგ.** 1. რუსლან სურკაევი (აზერბაიჯანი); 2. ნები უზუნი (თურქეთი); 3. არტაკ ჰოვანისიანი (სომხეთი), სტეფან სორკომოვი (რუსეთი); **7. ბექა ბუჯიაშვილი (საქართველო).**

**60 კგ.** 1. გორ ოგანესიანი (უკრაინა); 2. ჰეორჰი კალიეუ (ბელარუსი); 3. ვიქტორ სტეფანოვი (რუსეთი), ახმედნაბი გვარზატილოვი (აზერბაიჯანი); **7. შოთა ფარტენაძე (საქართველო).**

**66 კგ.** 1. სალამატინ კილიცსალაიანი (თურქეთი); 2. ჰაჯჰიმურატ ომაროვი (აზერბაიჯანი); **3. დავით ბუზიაშვილი (საქართველო),** არენ ალეკიანი (სომხეთი).

**74 კგ.** 1. ჰაბიბ ბატიროვი (რუსეთი); 2. ბახტიარ ისრაფილი (აზერბაიჯანი); **3. ლაშა გიგაშვილი (საქართველო),** ზელიმხან ხაჯიევი (საფრანგეთი).

**84 კგ.** 1. ვლადისლავ ვალიევი (რუსეთი); 2. ალექსანდრ ხუშტინი (ბელარუსი); 3. სვენ ერიკ ტილე (გერმანია), შამირ ატიანი (სომხეთი). **12. ლევან გოგრიჭიანი (საქართველო).**

**96 კგ.** 1. ალი ბონცეოღლუ (თურქეთი); 2. მურაზ მჭედლიძე (უკრაინა); 3. ვალერი ყაზიშვილი (სომხეთი), ვლად ვასილე ცაპასი (რუმინეთი); **5. როლანდ ნადრიაძე (საქართველო).**

**120 კგ. 1. გენო პეტრიაშვილი (საქართველო);** 2. ანდრეი ვლასოვი (უკრაინა); 3. მარიან ათანასოვ ტოდოროვი (ბულგარეთი), ალი მაგომედდაბიროვი (აზერბაიჯანი).

**ირაკლი თავაძე**



შეუჩერებელი გენო პეტრიაშვილი

● მსოფლიო უნივერსიადა

# ორნი მეოთხედფინალში




ყაზანში გრძელდება 27-ე მსოფლიო უნივერსიადა, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. შესანიშნავად დაიწყო მოკრივეთა პაექრობები ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა **ჯაბა ხოსიტაშვილმა** (75 კგ), რომელმაც პირველ წრეში ნურსაჰეთ პაზიევს (თურქმენეთი) აჯობა, გუშინ კი მეორეში უნგრელი ლასლო ტოტი დაამარცხა - 3:0. დღეს მეოთხედფინალში იტალიელი ჯულიო ზოტის მძლეველ (3:0) ნურდაულეტ ჟარმანოვს (ყაზახეთი) შეხვდება.

თანაგუნდელს კარგად აუბა მხარი **ვენეტიკ ერანოსიანმა**. იგი პირველ წრეში თავისუფალი იყო. გუშინ აშკარად დაჯაბნა ადალეტ ბეკეევი (ყირგიზეთი) - 3:0. დღეს მეოთხედფინალში კორეელ სანგმინ ლიის გაუწევს მეტოქეობას. დღევანდელი პაექრობების მოგების შემთხვევაში ორივე ჩვენებური, სულ მცირე, ბრინჯაოს მედლებს გაინაღდებს.

■ ■ ■

წყალბურთელ ვაჟთა ტურნირში კვლავ დამარცხდა საქართველოს ნაკრები - **A ჯგუფის** მე-2 შეხვედრა ავსტრალიასთან წააგო - 3:15. ამ ჯგუფის დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: კანადა - იაპონია 8:25, რუსეთი - უნგრეთი 9:8.

**B ჯგუფი.** სერბეთი - იტალია 7:8, ბრაზილია - ბელგია 19:3, ჩერნოგორია - აშ 8:9.

■ ■ ■

გუშინვე შეჯიბრებაში ჩაებნენ მოფარიკავეები. ქართველთაგან 3 მოხმალავე გავიდა სარბიელზე, რომლებიც ჯგუფური ორთაბრძოლების შემდეგ პლე იოფში გავიდნენ, სადაც **სანდრო ბაზაძემ** ზედიზედ სძლია ნურულ ისმაილს (მალაიზია) - 15:8, რომან მირამონს (საფრანგეთი) - 15:8, ანდრეი იაგოდკას (უკრაინა) - 15:13 და მეოთხედფინალური ორთაბრძოლა მომავალ ვიცე-ჩემპიონ ლუიჯი მისაკოსთან (იტალია) დათმო - 2:15.

ასევე მეოთხედფინალური პაექრობა წააგო სანდროს უფროსმა ძმამ - **ბექამ.** ისიც იტალიელთან - მასიმილიანო მუროლოსთან დამარცხდა - 8:15. მანამდე ბექა ბაზაძემ გზიდან ჩამოიშორა თანაგუნდელი **მიხეილ მარდალეიშვილი** (15:9) და ფრანგი არტურ ზატკო (15:12). ჩემპიონობა მოიპოვა რუსმა კამილ იბრაგიმოვმა - ფინალში მან ლუიჯი მირაკო დაჯაბნა - 15:10. არადა, წლეულს ახალგაზრდების ევროპის პირველობის ფინალში იბრაგიმოვს სანდრო ბაზაძემ აჯობა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. 20-წლამდელთა ნაკრები



# ესტონეთში ბექას გარეშე

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ესტონეთის დედაქალაქ ტალინში 9 ივლისს გაიხსნება. პირველ მატჩში ქართველები გერმანიას დაუპირისპირდებიან.

ბალტიისპირეთში გამგზავრებამდე საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ღია ვარჯიში გამართა, რომლის დროსაც არცთუ სასიამოვნო ამბავი გაცხადდა - გუნდს ევროპის ჩემპიონატზე ვერ დაეხმარება **ბექა ბურჯანაძე**. არადა, იგი ივნისის ბოლოს იტალიაში გამართული ოთხთა ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

ბექას იტალიურ შეკრებაზე ხელის თითის ძვალი გაებზარა და მკურნალობდა. თავიდან ითქვა, რომ 9 ივლისამდე ტრავმა მოშუშდებოდა, მაგრამ ექიმების თქმით მკურნალობას კიდევ ორი კვირა სჭირდება.

აქვე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბექა საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატია. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ალბათ საევროპო 12-კაციან განაცხადში ვიხილავთ და ყოველგვარი გართულების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლოა, უმჯობესიც იყო მისი დასვენება. ეროვნული გუნდი თბილისში მზადებას ამ კვირაში დაიწყებს, 25 ივლისისთვის კი სლოვენიაში შეკრებისთვის გაემგზავრება. ექიმების ვარაუდით, ბურჯანაძე სწორედ სლოვენიაში წასვლამდე შეუერთდება ნაკრებს.

უფრო ვრცლად საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებზე ხვალინდელ ნომერში დავწერთ.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

# მთავარი პრიზი ჩვენია

ფერსმოლდში (გერმანია) დასრულდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი), რომელშიც ორი ქართველი ჩოგბურთელი მონაწილეობდა - **ანა ტატიშვილი** და **სოფიო შაფათავა**. ერთეულთა პირველობას ისინი ადრევე ჩამოშორდნენ, წყვილებში კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ჩვენებურები მე-2 ნომრად იყვნენ განთესილი. ნახევარფინალში ტატიშვილმა და შაფათავამ მე-4 ნომერ ანა ვრლიჩსა (ხორვატია) და მარინა ზანევსკას (უკრაინა) სძლიეს - 5:7, 6:1, 10:3, გადამწყვეტ პაექრობაში კი კლერ ფეუერშტეინისა (საფრანგეთი) და რენატა ვორაკოვას (ჩეხეთი) დუეტს აჯობეს - 6:4, 6:4. ამ გამარჯვებით ტატიშვილმა რევანში აიღო იმ მარცხისთვის, რომელიც მან ერთეულთა თანრიგის მეორე წრეში ვორაკოვასთან განიცადა.



ანა ტატიშვილი



სოფიო შაფათავა

ხვალიდან შაფათავა საფრანგეთის 100.000-იან საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. ძირითადი ბადის სტარტზე მისი მეტოქეა „უაილდ ქარდით" მიწვეული მასპინძელი ლაურა ტორფი. წარმატების შემთხვევაში ტურნირის რეიტინგფავორიტ მენდი მინელასა (ლუქსემბურგი) და ირინა რამიალისონს (საფრანგეთი) შორის უძლიერესს დაუპირისპირდება.

წყვილებში თბილისელი ჩოგბურთელი ბულგარელ ალექსანდრინა ნაიდენოვასთან არის შეამხანაგებული და ასპარეზობის სტარტზე ირინა რამიალისონისა და კონსტანცა სიბილეს (ორივე - საფრანგეთი) ტანდემთან გაარკვევს ურთიერთობას.

გერმანიის 25.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპიდან იბრძოლებს **ეკატერინე გორგოძე**. პირველ წრეში იგი თავისუფალი იყო. მეორეში ტაისია მორდერგერს შეხვდება.

სტამბოლის ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) ძირითად ბადეშია მიწვეული **ოქსანა კალაშნიკოვა**. პირველ წრეში მისი მეტოქე დღეს გაირკვევა.

ვაჟა დანელია

თარიღები და მოვლენები

## 08-10 ივლისი

08. 1975. დაიბადა **პავლე ჯიმშელიძე** - რაგბი

09. 1912. დაიბადა **შალვა დიასამიძე** – კალათბურთი. გარდაიცვალა 1974 წელს.

**08. 2011. თავისუფალი ჭიდაობა.** ბაქოს „ოქროს დიდ პრიზზე" ქართველებმა 6 მედალი მოიპოვეს: **დავით ხუციშვილი** (ოქრო), **გიორგი ედიშერაშვილი, შალვა მუზიაშვილი** და **ელიზბარ ოდიკაძე** (ვერცხლი), **დავით ქერაშვილი** და **დავით მოძმანაშვილი** (ბრინჯაო).

10. 1950. დაიბადა **შოთა ჩოჩიშვილი** - ძიუდო. გარდაიცვალა 2009 წელს

10. 1965. დაიბადა **ნინო უჩაძე** - ტყვ. სროლა

10. 1977. დაიბადა **ლევან კობიაშვილი** – ფეხბურთი.

**10. 2010. მანუჩარ კვირკველიამ** ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში ესპანეთის გრან-პრი მოიგო.

10. 2011. **ქრისტინე ესებუამ** მშვილდოსნობაში ტურინის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა

10. 2011. **რევაზ ჭელიძე** ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბაქოს „ოქროს დიდ პრიზზე" ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

**ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.**

**დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.**



შვიდკაცა რაგბი

# რვა რჩეული გაირკვა

**შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი ერთდროულად ორ ქალაქში, თბილისსა და ფოთში ჩატარდა. გათამაშებაში მოასპარეზე გუნდები ორ ზონაში იყვნენ განაწილებული. აღმოსავლეთში ცხრა გუნდმა იასპარეზა, დასავლეთში - ექვსმა.**

აღმოსავლეთ ზონის გამარჯვებული თბილისის „ჯიქები" გახდა, რომელმაც ტურნირი დაუმარცხებლად განვლო და ფინალში თბილისის „აკადემია" დაამარცხა მშრალი ანგარიშით - 24:0. დასავლეთში კი, პირველობა არავის დაუთმო „ბათუმმა", რომელსაც გადამწყვეტ მატჩში ქუთაისის „აიას" დამარცხება არ გასჭირვებია.

ბოლო, გადამწყვეტი ეტაპი მომავალ უქმეებზე თბილისში გაიმართება, რომელშიც აღმოსავლეთ ზონის ხუთი და დასავლეთ ზონის სამი საუკეთესო გუნდი იასპარეზებს. ესენია: „ჯიქები", „აია", „ხულიგანა", „ყოჩები", „ბათუმი", „აკადემია", „ბაგრატი" და „ლოკომოტივი".

**აღმოსავლეთი ზონა**

**A ჯგუფი**

ხულიგანა-მგლები 17:5, მგლები-ყოჩები 0:50, დევები-აკადემია 0:55, ყოჩები-ხულიგანა 14:20, აკადემია-მგლები 38:5, ხულიგანა-აკადემია 10:12, მგლები-დევები 21:14, აკადემია-ყოჩები 7:0.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აკადემია - 8 ქულა, 2. ხულიგანა - 6, 3. ყოჩები - 4, 4. მგლები - 2, 5. დევები - 0.

**B ჯგუფი**

ჯიქები-სტუ 40:0, სტუ-ლოკომოტივი 0:63, ჯიქები-თიბისი 26:7, თიბისი-ლოკომოტივი 10:33, ლოკომოტივი-ჯიქები 7:35, სტუ-თიბისი 5:50.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჯიქები - 6 ქულა, 2. ლოკომოტივი - 4, 3. თიბისი - 2, 4. სტუ - 0.

**ფარი**

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| ყოჩები-სტუ | 35:5 |
| თიბისი-მგლები | 38:12 |

**თასი**

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| აკადემია-ლოკომოტივი | 14:7 |
| ჯიქები-ხულიგანა | 17:7 |

**VII ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| სტუ-მგლები | 22:0 |

**V ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| ყოჩები-თიბისი | 33:0 |

**III ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| ხულიგანა-ლოკომოტივი | 17:5 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ჯიქები-აკადემია | 24:0 |

**საბოლოო მდგომარეობა**

1. ჯიქები, 2. აკადემია, 3. ხულიგანა, 4. ლოკომოტივი, 5. ყოჩები, 6. თიბისი, 7. სტუ, 8. მგლები, 9. დევები.

**დასავლეთი ზონა**

**A ჯგუფი**

რაინდები-არწივები 24:0, არწივები-აია 0:26, აია-რაინდები 28:0.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აია - 4 ქულა, 2. რაინდები - 2, 3. არწივები - 0

**B ჯგუფი**

ბაგრატი-დელფინები 33:10, დელფინები-ბათუმი 0:19, ბათუმი-ბაგრატი 17:0.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბათუმი - 4 ქულა, 2. ბაგრატი - 2, 3. დელფინები - 0.

**თასი**

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| აია-ბაგრატი | 26:0 |
| ბათუმი-რაინდები | 14:7 |

**V ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| არწივები-დელფინები | 17:19 |

**III ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| ბაგრატი-რაინდები | 37:5 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ბათუმი-აია | 21:7 |

**საბოლოო მდგომარეობა**

1. ბათუმი, 2. აია, 3. ბაგრატი, 4. რაინდები, 5. დელფინები, 6. არწივები.

**ფინალური ეტაპი**

**13-14 ივლისი**

A ჯგუფი: ჯიქები, აია, ხულიგანა, ყოჩები.
B ჯგუფი: ბათუმი, აკადემია, ბაგრატი, ლოკომოტივი.



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ტესტები

# ტრიუმფატორი გეთლენდი

**„ბრიტანელმა ლომებმა" ავსტრალიური ტურნე ტრიუმფით დაასრულეს. უელსის ნაკრების ახალზელანდიელი მწვრთნელის უორენ გეთლენდის ხელმძღვანელობით ბრიტანელებმა სერია 2:1 მოიგეს. მესამე გადამწყვეტი შეხვედრა სიდნეიში გაიმართა, რომელშიც „ვოლაბებს" სტუმრებმა დამაჯერებლად სძლიეს 41:16.**

**უორენ გეთლენდმა** გუნდის შემადგენლობაში არ შეიყვანა ლეგენდარული ირლანდიელი მორაგბე, შუამარბი **ბრაიან ოდრისკოლი**, რასაც დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ამ თემაზე კომენტარი ავსტრალიელთა თავკაცმა **რობი დინსმაც** გააკეთა, რომელიც ფიქრობდა, რომ მეტოქეს გამოცდილი მორაგბის არყოლა დაასუსტებდა. ასე არ მოხდა. ბრაიანის ნაცვლად მოთამაშე **ჯიმი რობერტსმა** შესანიშნავად ითამაშა, ლელოც გაიტანა და გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ერთი სიტყვით, გეთლენდის გათვლამ გაამართლა. უკანა ხაზში რობერტსისა და **ჯონათან დევისის** დუეტის შესაძლებლობა მან კარგად იცოდა და მისმა უელსელმა შეგირდებმა დამრიგებელს არც ამჯერად უღალატეს. ცხადია, წაგების შემთხვევაში გეთლენდს კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდნენ. ამჯერად კი ის ტრიუმფატორია და უფრო შორს წასვლა სურს. უორენი მზადაა „ბრიტანელი ლომები" ოთხი წლის შემდეგ ახალ ზელანდიაში გასამართავი ტურნესთვისაც მოამზადოს. მატჩის შემდეგ, შეხვედრის კომენტარის დროს ის ოდრისკოლის თემასაც შეეხო.

*„გაოცებული ვიყავი იმ რეაქციით, რაც ბრაიან ოდრისკოლის შემადგენლობაში არშეყვანას მოჰყვა. მართალი გითხრათ, ჩემს ცხოვრებაში მატჩამდე ყველაზე უსიამოვნო 72 საათი გავატარე. ეჭვი არ მეპარება, ბრაიანი რომ მეთამაშებინა, მაინც მოვიგებდით, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამ გადამწყვეტ მატჩში რობერტსი ბევრად სასარგებლო იქნებოდა. ამიტომ, ვენდე ინტუიციას და არ ავყევი სენტიმენტებს. მატჩის შემდეგ ოდრისკოლს ვესაუბრე, ის ისეთივე გახარებულია, როგორც თითოეული ჩვენგანი, რადგან ტურნეში მიღწეულ ტრიუმფში მას არავისზე ნაკლები წვლილი არ მიუძღვის.*

*2017 წელს „ბრიტანელ ლომებს" ტურნე ახალ ზელანდიაში აქვთ. თუ ამ გუნდის მომზადებას ისევ მანდობენ, ასი პროცენტით მზად ვარ ვიმუშაო. თუმცა ორგანიზატორებს ვურჩევ კორექტივები შეიტანონ მატჩების გამართვის თარიღებში. მძიმე, მომქანცველი სეზონის დასრულების შემდეგ ძალიან ძნელია მოთამაშეებს კონდიციები შეუნარჩუნო. სამხრეთელებმა შემხვედრი ნაბიჯები უნდა გადადგან, ცხადია, თუ უნდათ, რომ ჩვენი დაპირისპირება უმაღლესი კლასის რაგბი იყოს"* - თქვა უორენ გეთლენდმა.

აღსანიშნავია, რომ „ბრიტანელმა ლომებმა" ახალ ზელანდიაში ბოლოს 1971 წელს მიაღწიეს წარმატება. ავსტრალიაში კი, 1979 წელს. ამდენად, წლევანდელი ტურნე მართლაც, რომ ტრიუმფალური გამოდგა. გეთლენდს მარტო ოდრისკოლის გამო როდი აკრიტიკებდნენ. ბოლო მატჩში შემადგენლობაში ათი უელსელი იდგა, რაც ასევე ბევრი სპეციალისტის კრიტიკის საგანი გახდა. ამაზე გეთლენდმა და კომპანიამ ყველას საკადრისი პასუხი გასცა.

ერთი სიტყვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უორენ გეთლენდი წლევანდელი სეზონის საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში ფავორიტი იქნება. მის ანგარიშზე უკვე ორი მოგებული უმნიშვნელოვანესი ტურნირია: ექვსი ერი (უელსის ნაკრების მწვრთნელის რანგში) და „ბრიტანელი ლომების" ტურნე.

მატჩი სტუმრებმა ისე ომახიანად დაიწყეს, რომ თავიდანვე ნათელი გახდა, არაფრის დათმობას აპირებდნენ. ამის დასტურად პირველივე წუთზე პირველხაზელის, **ალექს კორბისეროს** გატანილი ლელოც გამოდგება. ის ფულბეკმა **ლეიგ ჰალპფენიმ** გარდასახა, მანვე ექვს წუთში საჯარიმოც გაიტანა და მე-7 წუთისთვის „ბრიტანელი ლომები" უკვე 10:0-ს იგებდნენ.

მასპინძლებმა მდგომარეობის გამოსწორება პირველი ტაიმის ბოლოს და მეორე ნახევრის დასაწყისში შეძლეს, როცა ანგარიშში ჩამორჩენა სამ ქულამდე შეამცირეს - 16:19. გეთლენდმა ამის შემდეგ ცვლილებების განხორციელება დაიწყო, რამაც შედეგი უმალვე გამოილო. სტუმრებმა სამი უპასუხო ლელოს გატანა შეძლეს და დამსახურებული გამარჯვება იზეიმეს.

**ავსტრალია-ბრ. ლომები 16:41**

**ავსტრალია** (15-9) ბეილი, ფოლაუ (მოგი 27), ეშლი-კუპერი, ლეალიიფანო. ტომანე, ოკონორი, გენია (ნ. ფილიპსი 70). (1-8) რობინსონი (ჰუპერი 66), მური (ს. ფაინგაა 55), ალექსანდერი, ჰორვილი, დუგლასი (საიმონსი 62), მოვენი, სმიტი, პალუ (მაკკალმენი 60).

**ლ:** ოკონორო. **ჰს,გ:** ლეალიიფანო.

**ბრიტანელი ლომები** (15-9) ჰალპფენი, ბოუი, დევისი, რობერტსი (ტუილაგი 69), ნორსი, სექსტონი (ფარელი 63), მ. ფილიპსი (მურეი 51). (1-8) კორბისერო (ვინიპოლა 67), ჰიბარი (ტ. იანგზი 47), ჯოუნზი, ვინ ჯოუნზი, პარლინგი (გრეი 67), ლიდიატი, ობრაიანი, ფალეტაუ (ტიპურიჩი 55).

**4ლ:** კორბისერო, სექსტონი, ნორსი, რობერტსი. **5ს,3გ:** ჰალპფენი.

**მსაჯი:** ჟერომ პუატი (საფრანგეთი)

ზე რაგბი



ბურთით ბრაიან ჰაბანა

# ბოლო ტური ყველაფერს ჩამოწერს

**ზე რაგბის გათამაშებაში ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურილა დარჩა. პლეი ოფში გამსვლელთა ვინაობა თითქმის გარკვეულია. დაძაბული ვითარება მხოლოდ მეორე ადგილისთვის ბრძოლაშია ავსტრალიისა და სამხრეთ აფრიკის კონფერენციებში.**

## ახალი ზელანდია

მე-19 ტური ახალი ზელანდიის კონფერენციაში ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის, ქრაისტჩერჩის „კრუსეიდერზისა" და ამავე გათამაშების შარშანდელი გამარჯვებულის ჰემილთონის „ჩიფსის" დაპირისპირებით გაიხსნა. „ჯვაროსნებმა" კონფერენციის ამჟამინდელ ლიდერს ყველაფერში აჯობეს და დამაჯერებლად დაამარცხეს - 43:15.

მატჩის გმირი „ჯვაროსნების" მესამეხაზელი **კირან რიდი** იყო, რომელმაც მასპინძლების მიერ გატანილი ხუთი ლელოდან ორი მიითვალა. მგეზავმა **დენ კარტერმა** ოთხი საჯარიმო და სამი გარდასახვა ჩაიწერა აქტივში (18 ქულა).

ამ გამარჯვებით „კრუსეიდერზს" შანსი გაუჩნდა, ბოლო ტურში „ჩიფსს" პირველობა ჩამოართვას. საამისოდ ქრაისტჩერჩელებმა შინ ველინგტონის „ჰარიკენზი" უნდა დაამარცხონ და თან პრემიალური ქულაც აიღონ. ამასთან ერთად, ჰემილთონელებმა სტუმრად უნდა წააგონ ოქლენდის „ბლუზთან" და თანაც ისე, რომ პრემიალური ქულა ვერ მოიპოვონ. ამოცანა საკმაოდ რთულია, თუმცა შეუძლებელი არაფერია.

ამავე კონფერენციაში არაფრის მომცემ დაპირისპირებაში აუტსაიდერმა დანიდინის „ჰაილენდერზმა" სტუმრად დაამარცხა ბოლოსწინა ადგილზე მყოფი ველინგტონის „ჰარიკენზი" - 49:44. თამაში, როგორც ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, უხვლელოიანი გამოდგა. გუნდებმა ჯამში 11 ლელო გაიტანეს.

აღსანიშნავია, რომ სტუმრები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და 68-ე წუთამდე 22 ქულით იგებდნენ - 49:27. მასპინძლებმა ექვს წუთში სამი ლელოს გატანა მოახერხეს და ანგარიში ოთხ ქულამდე შეამცირეს - 44:49. მატჩის დასრულებამდე დარჩენილ ექვს წუთში კი, დიდი მცდელობის მიუხედავად, თამაშის გადარჩენა ველარ შეძლეს.

**XIX ტური**

კრუსეიდერზი-ჩიფსი 43:15, ჰარიკენზი-ჰაილენდერზი 44:49

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჩიფსი - 61 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 56, 3. ბლუზი - 44, 4. ჰარიკენზი - 41, 5. ჰაილენდერზი - 27.

**XX ტური**

კრუსეიდერზი-ჰარიკენზი, ბლუზი-ჩიფსი

## სამხრეთ აფრიკა

სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში პირველი ადგილი პრეტორიის „ბლუ ბულზს" ორი ტურით ადრე ჰქონდა განაღდებული. თუმცა საშინაო მატჩში დურბანის „ნატალ შარქსს" არაფერი დაუთმო, მინიმალური სხვაობით 20:19 დაამარცხა და მეორე ადგილზე გასვლის ყველანაირი შანსი მოუსპო.

მარცხის მიუხედავად, „ზვიგენები" შესანიშნავად გაისარჯნენ. 72-ე წუთამდე ისინი 19:13 იგებდნენ, თუმცა მეტოქის გააფთრებულ შეტევებს ველარ გაუძლეს და შეცვლაზე შესულმა ცხრა ნომერმა **იანო ვერმარკმა** ლელო გაუტანა, რომელიც მგეზავმა **მორნი სტეინმა** გარდასახა. დურბანელთაგან საუკეთესო შუამარბად მოთამაშე **პატრიკ ლამბიე** იყო, რომელმაც ერთი ლელო და სამი საჯარიმო მიითვალა (14 ქულა).

მეორე ადგილზე მყოფმა ბლუმფონტეინის „ჩიტაზმა" შინ ოქლენდის „ბლუზს" მოუგო - 34:13, თუმცა ეს შესაძლებელია, საკმარისი არ აღმოჩნდეს სატურნირო ცხრილში მეორე ადგილის შესანარჩუნებლად. ვინაიდან „ჩიტაზმა" ასპარეზობა უკვე დაასრულა. მას კონკურენტი კეიპთაუნის „სტრომერზი", რომელმაც სტუმრად მოუგო აუტსაიდერ „საუთერნ კინგს" - 24:12, ოთხი ქულით ჩამორჩება. კეიპთაუნელები ბოლო ტურში შინ ეთამაშებიან ლიდერ „ბლუ ბულზს". მათ მეტოქე ისე უნდა დაამარცხონ, რომ ერთი პრემიალური ქულაც მიითვალონ, რაც „ლურჯ ხარებთან" დაპირისპირებაში ძალიან ძნელი მისაღწევია.

**XIX ტური**

ჩიტაზი-ბლუზი 34:13, საუთერნ კინგზი-სტორმერზი 12:24, ბლუ ბულზი-ნატალ შარქსი 20:19.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბლუ ბულზი - 63 ქულა, 2. ჩიტაზი - 50, 3. სტორმერზი - 46, 4. ნატალ შარქსი - 43, 5. საუთერნ კინგზი - 24.

**XX ტური**

სტორმერზი-ბლუ ბულზი, ნატალ შარქსი-საუთერნ კინგზი

## ავსტრალია

როგორც უკვე ვთქვით, მწვავე ბრძოლაა გაჩაღებული ავსტრალიის კონფერენციაში. თუმცა აქ მატჩები, მხოლოდ მომავალ უქმეებზე გაიმართება, რადგან ავსტრლიის ნაკრები შაბათს „ბრიტანელ ლომებს" დაუპირისპირდა ტურნეს ბოლო მატჩში.

აქ ორი გამოკვეთილი ლიდერია. კანბერას „ბრამბიზი" 59 ქულით პირველ ადგილზეა და ერთი კვირის თავზე სტუმრად ეთამაშება აუტსაიდერ პერთის „ფორსს". ბრამბიზელებს ხუთი ქულით ჩამორჩება ბრისბენის „რედსი", რომელიც ასევე სტუმრად ითამაშებს სიდნეის „ვორათაზთან".

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბრამბიზი - 59 ქულა, 2. რედსი - 54, 3. ვორათაზი - 44, 4. მელბურნ რებლზი - 32, 5. ფორსი - 27.

**XX ტური**

მელბურნ რებლზი-ჰაილენდერზი, ვორათაზი-რედსი, ფორსი-ბრამბიზი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი


თამაზ გელაშვილი

# გელაშვილი ლიდერებშია

ორი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობს აშშ-ის ქალაქ არლინგტონში მოჭადრაკეთა ღია მსოფლიო ტურნირში. შვიდი ტურის შემდეგ ლიდერთა შორისაა **თამაზ გელაშვილი.** ოთხი მოგება და სამი ყაიმი - ასეთია მისი შედეგი. ბოლო სამ ტურში 2,5 ქულას მოუყარა თავი: დაამარცხა დარვინ იანი და რეი რობსონი (ორივე - აშშ), ხოლო ქესადა იუნიესკის (კუბა) დაუზავდა. შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გელაშვილს, როგორც ლაზარო ბრუზონს, ქესადა იუნიესკის (ორივე - კუბა), ვიქტორ ლაზნიჩკას (ჩეხეთი), სერგეი ერენბურგსა და ვარუჟან აკობიანს (ორივე - აშშ), 5,5 ქულა აქვს. მე-8 ტურში ლაზნიჩკას დაუპირისპირდება.

ლიდერებს ქულით ჩამორჩება **გიორგი ყაჭეიშვილი,** რომელმაც ბოლო ტურში სინ ვიბერტს (აშშ) აჯობა. ბოლოსწინა ტურში ბოგდან ვიორეანუსთან (რუმინეთი) გაარკვევს ურთიერთობას.

# მედლების შანსს ჩვენებურებიც ინარჩუნებენ

დენიზლიში გრძელდება მოჭადრაკეთა თურქეთის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 16 წარმომადგენელი მონაწილეობს. უდანაკარგოდ ასპარეზობს ნაზი პაიკიძე - „ალიანს სფორის" შემადგენლობაში მან ათივე პარტია მოიგო. დანარჩენ ჩვენებურთა შედეგები ასეთია: ნინო ხურციძე - 6,5 (9 შეხვედრიდან), ბელა ხოტენაშვილი - 5,5 (8), ქეთი წაწალაშვილი - 4,5 (8), სოფიო გვეტაძე - 4 (10), მირანდა მიქაძე - 2 (9), თორნიკე სანიკიძე - 5 (10), დავით ჯოჯუა - 5,5 (9), კონსტანტინე შანავა - 4,5 (9), დავით არუთინიანი - 4,5 (9), დავით ბენიძე - 6,5 (10), ზურაბ ჯავახაძე - 3,5 (6), შოთა აზალაძე - 2,5 (4), გიორგი ბაღათუროვი - 2,5 (4), მიხეილ მჭედლიშვილი - 5 (9), მერაბ გაგუნაშვილი - 4 (8).

ათი ტურის შემდეგ 16 ქულით „ბეშიქთაში" მეწინავეობს. ლიდერს ორი ქულით ჩამორჩება „კახრამანმარაშ ბელედიე სფორი" (დავით ბენიძე, შოთა აზალაძე, ზურაბ ჯავახაძე), 13-13 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს „პერა სფორი" (ბელა ხოტენაშვილი ) და „ჩალი სფორი" იყოფენ.

ვაჟა **დანელია**

სუმო. ნაგოიას ბაშო. 7-21 ივლისი

# მავაშის ახალმა შეფერილობამ ვერ უშველა

ნაგოიაში დაიწყო ივლისის ბაშო, რომელზეც ორი ქართველი სუმოისტი მონაწილეობს. დასავლეთის მე-2 მაეგაშირა **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** და მე-11 მაეგაშირა **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)**. სამწუხაროდ, სტარტზე ორივე ჩვენებურმა წააგო.

26 წლის თეიმურაზ ჯუღელი ახალ სუპერტურნირს მავაშის ახალი შეფერილობით შეხვდა. ადრე გაგამარუ ცისფერი მავაშით ასპარეზობდა, ახლა კი მოყავისფრო აირჩია. თუმცა ამან მას ვერ უშველა ბულგარელ ოძეკი **კოტოოშუსთან** დაპირისპირებაში. ვისთანაც აქამდე 5 მარცხი ჰქონდა განცდილი. ნამებში ბულგარელმა ჩვენებური დოჰიოდან ძირს, დარბაზში მოისროლა. გაგამარუს მორიგი მეტოქე **კაკურიუც** ოძეკია. ჩემპიონთან ქართველს წინა 4 დაპირისპირება აქვს წაგებული.

25 წლის **ლევან გორგაძე** კარიერის არც თუ კარგ დროებას განიცდის - სასტარტო ბრძოლა მან ბრაზილიელ **კაისეისთან** დათმო. ბრაზილიურ-ქართული დაპირისპირება ძალის ჭიდილი გამოდგა, ბოლოს ღონით კაისეიმ აჯობა მეტოქეს და რკალს მიღმა გაიყვანა. ტოჩინოშინი ახლა **ჩიონოკუნის** შეხვდება, რომელსაც აქამდე 2-ჯერ მოუგო.

ნაგოიას ბაშოს სასტარტო დღეებში ვერ იასპარეზებს ყოფილი ჩემპიონი **ბარუტო.** ესტონელი ახლა მე-6 მაეგაშირაა და მას ტრავმა ისევ აწუხებს. თუკი 2-3 ორთაბრძოლას მაინც ვერ მოიგებს, ბარუტოს ელიტიდან დააქვეითებენ.

**I დღე**

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები)**: ჰაკუჰო-ტოკიტენკუ (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-შოჰოზანი (უვატედაშინაგე), კისენოსატო-ტაკეკაძე (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-ტაკაიასუ (იორიკირი), ტოჩიოძანი-კაკურიუ (იორიკირი), კოტოოშუ-**გაგამარუ** (იორიტაოში), ჩიოტაირიუ-მიოგირიუ (დისკვალიფიკაცია), ამინიშიკი-გოეიდო (შიტატენაგე), კაისეი-**ტოჩინოშინი** (იორიკირი).

**II დღე**

**(მნიშვნელოვანი წყვილები)**: ჰარუმაფუჯი-ტაკეკაძე, ჰაკუჰო-ტაკაიასუ, კოტოშოგიკუ-შოჰოზანი, **გაგამარუ**-კაკურიუ, კისენოსატო-ტოკიტენკუ, გოეიდო-ჩიოტაირიუ, მიოგირიუ-ამინიშიკი, **ტოჩინოშინი**-ჩიონოკუნი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კალათბურთი

# ჰოვარდმა ჰიუსტონი აირჩია

## ლეიკერსმა სუპერმენი ვერ შეინარჩუნა და ლებრონზე გადაერთო

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საუკეთესო ცენტრმა **დუიატ ჰოვარდმა** კარიერის „ჰიუსტონში" გაგრძელება გადაწყვიტა. ის თავისუფალი აგენტის სტატუსით ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს ტექსასურ კლუბთან და ჯამში 88 მილიონ დოლარს მიიღებს.

*„გადავწყვიტე „როკეტსის" წევრი გავხდე. მიმაჩნია, რომ ეს არის საუკეთესო ადგილი ჩემთვის და აღფრთოვანებული ვარ აქ თამაშის შესაძლებლობით. ვფიქრობ, დიდი სეზონი გველოდება. მადლობა „ლეიკერსის" ფანებს მხარდაჭერისთვის და მათ ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ",* - დაწერა თავის „ტვიტერზე" ჰოვარდმა.

*„მოგვაწოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დუაიტი არ გააფორმებს „ლეიკერსთან" ახალ კონტრაქტს. რა თქმა უნდა, საწყენია, მაგრამ გავაგრძელებთ მუშაობას იმ მიმართულებით, რათა შემადგენლობა ახალ დონეზე ავიყვანოთ. შევეცდებით შევქმნათ საუკეთესო გუნდი იმ შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რომელიც ამჟამად გაგვაჩნია",* - ასეთი კომენტარი გაუკეთა ჰოვარდის გადაწყვეტილებას „ლეიკერსის" გენერალურმა მენეჯერმა **მიტჩ კუპჩაკმა.**

ESPN-ისთვის სხვადასხვა წყაროს მეშვეობით გახდა ცნობილი, რომ „სუპერმენმა" „ლეიკერსთან" ახალი კონტრაქტი რამდენიმე მიზეზის გამო არ გააფორმა: ეს არის გუნდის მთავარი მწვრთნელის **მაიკ დ'ენტონის** მუშაობის სისტემა, გამთამაშებელ **სტივ ნეშის** ასაკი და მომავალი 3-4 წელი **კობი ბრაიანტის** ჩრდილქვეშ თამაშის პესპექტივა.


დუაიტ ჰოვარდი

27 წლის ჰოვარდი ერთი წელი თამაშობდა „ლეიკერსის" შემადგენლობაში. გასულ სეზონში მისი საშუალო სტატისტიკა 17.1 ქულა, 12.4 მოხსნა და 2.4 დაფარება იყო.

■ ■ ■

მას შემდეგ, რაც „ლეიკერსიდან" დუაიტ ჰოვარდის წასვლის შესახებ გახდა ცნობილი, კალიფორნიელებმა მისი შემცვლელის ძიებაზე დაიწყეს მუშაობა. კალიფორნიული გრანდი „მაიამის" ლიდერზე - **ლებრონ ჯეიმსზე** აპირებს გასვლას. 2013-14 წლების სეზონის შემდეგ, „მეფე" თავისუფალი აგენტების ბაზარზე გავა და ამის გამოყენებას ეცდება „ლეიკერსის" ხელმძღვანელობა.

მანამდე კი ჰოვარდის უარმა ის გამოიწვია, რომ „ლეიკერსის" შეფობამ გადაიფიქრა ესპანელი **პაუ გასოლის** კონტრაქტის გამოსყიდვა. ვარაუდობენ, რომ გასოლი, რომელმაც მომავალ სეზონში 19.3 მილიონი დოლარი უნდა გამოიმუშავოს, ცენტრის პოზიციაზე ითამაშებს, როგორც ეს 2009 წელს იყო, როცა „ლეიკერსმა" ფინალში **დუაიტ ჰოვარდის** „ორლანდო" დაამარცხა.

გია **თვალაბეიშვილი**



ჯოშ სმიტი

# სხვა დიდი ამბები

**დუაიტ ჰოვარდის** გადაწყვეტილებამ უქმეების სხვა ამბები დაჩრდილა, არადა, NBA-ში ბევრი საინტერესო გარიგება შედგა.

### იგუოდალა გოლდენ სტეიტში

დავიწყოთ **ანდრე იგუოდალათი,** რომელმაც 4-წლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა „გოლდენ სტეიტთან". ფორვარდის წლიური ხელფასი 12 მილიონი დოლარი იქნება. 29 წლის კალათბურთელი შარშან „დენვერში" თამაშობდა და საშუალოდ 13 ქულას, 5.3 მოხსნასა და 5.4 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

„უორიორზმა" იგუოდალასთვის სახელფასო ბიუჯეტში თანხის გამოთავისუფლება „იუტასთან" განხორციელებული ტრეიდით შეძლო, როცა ამ გუნდში გაუშვა **რიჩარდ ჯეფერსონი** და **ანდრის ბიედრინში.**

### სმიტი დეტროიტში

„დეტროიტ პისტონსი" კონტრაქტზე მოელაპარაკა ფორვარდ **ჯოშ სმიტს.** „ატლანტას" აწ უკვე ყოფილი კალათბურთელი მომდევნო ოთხი წელი ითამაშებს დეტროიტელთა რიგებში და ამის სანაცვლოდ 56 მილიონს მიიღებს. 27 წლის ფორვარდის შარშანდელი სტატისტიკა 17.5 ქულას, 4.2 შედეგიან გადაცემასა და 8.4 მოხსნას უდრიდა.

### მილსეპი ატლანტაში

სმიტის დაკარგვის შემდეგ, „ატლანტამ" მის შემცვლელად 28 წლის **პოლ მილსეპი** იპოვნა, რომელიც პირველ ივლისს ასევე თავისუფალი აგენტი გახდა და ცხადი იყო, რომ „იუტაში" დარჩენას არ აპირებდა. სავარაუდოდ, „ატლანტასთან" კონტრაქტის დეტალები ასეთი იქნება - 19 მილიონი ღირებულების 2-წლიანი ხელშეკრულება.

გასულ სეზონში მილსეპმა „ჯაზმენთა" რიგებში 78 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 14.6 ქულა, 7.1 მოხსნა და 2.6 შედეგიანი პასი დააგროვა.

### სხვა გარიგებები

- 31 წლის ესპანელი მცველი **ხოსე მანუელ კალდერონი** მომდევნო ოთხ სეზონს „დალასის" რიგებში ჩაატარებს. ტექსასულ კლუბთან კონტრაქტი 29 მილიონ დოლარზეა გაფორმებული. კალდერონი შარშან „ტორონტოში" თამაშობდა და საშუალოდ 11.3 ქულასა და 7.2 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

- ახალი კლუბი აირჩია მომავალი სეზონისთვის 25 წლის **ო ჯეი მაიომ.** მან 24 მილიონი დოლარის ღირებულების სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა „მილუოკი ბაქსთან". მცველმა „ირმების" რიგებში უნდა შეცვალოს **ჯეი ჯეი რედიკი** („კლიპერსში" გადავიდა) და **მონტა ელისი,** რომელიც გუნდიდან წასვლას აპირებს.

მაიო შარშანდელ სეზონში „დალასში" თამაშობდა და საშუალოდ 15.3 ქულასა და 4.4 შედეგიანი გადაცემას აგროვებდა.

- „კლივლენდ კავალიერზი" კონტრაქტის დეტალებზე შეუთანხმდა „გოლდენ სტეიტის" მცველს **ჯარეტ ჯეკს.** 29 წლის მოთამაშე, რომელიც გამთამაშებლისა და შემტევი მცველის ფუნქციებს ასრულებდა, ოთხწლიან კონტრაქს გააფორმებს „კავალერებთან" და 25 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. ჯეკი ახალ კლუბში **კაირი ირვინგისა** და **დიონ უეიტერსის** შემცვლელი უნდა გახლეს.

შარშან, „გოლდენ სტეიტის" რიგებში, ჯარეტს ასევე დუბლიორის როლი ჰქონდა და საშუალოდ 12.9 ქულითა და 5.6 შედეგიანი პასით დაეხმარა თავის გუნდს.

- „ინდიანა პეისერსში" გააგრძელებს კარიერას ფორვარდი **კრის კოუპლენდი.** ორწლიანი კონტრაქტის თანახმად, მისი წლიური ხელფასი 3 მილიონი დოლარი იქნება.

კოუპლენდის შარშანდელი კლუბი იყო „ნიუ იორკ ნიქსი". ფორვარდმა 65 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 8.7 ქულა და 2.1 მოხსნა დააგროვა.

- „ლოს ანჯელეს კლიპერსი" კონტრაქტზე მოელაპარაკა მცველ **დარენ კოლისონს.** ხელშეკრულება „1+1" სისტემით გაფორმდება. კალიფორნიულ კლუბში კოლისონი შეუერთდება **კრის პოლს,** რომელთან ერთადაც სადებიუტო სეზონი (2009-10) „ნიუ ორლეანში" გაატარა.

ბოლო სეზონი დარენმა „დალასში" ჩაატარა და 12.0 ქულა, 5.1 შედეგიანი პასი და 2.7 მოხსნა მიითვალა.

გია **თვალაბეიშვილი**

● ფორმულა 1. გერმანიის გრანპრი



გერმანული პოდიუმი

# ფეტელი ისევ გაიქცა

სტარტის წინ ყველა საუბარი „პირელის" საბურავებს უკავშირდებოდა. რა მდგომარეობაში იქნებოდნენ პილოტები ბრიტანეთის გრანპრის დროს შექმნილი პრობლემების შემდეგ, ისწავლა თუ არა „მერსედესმა" საბურავებთან მუშაობა და ა.შ. ამ კითხვებზე პასუხი ნიურბურგრინგის რბოლას უნდა გაეცა.

პოულის მფლობელ **ლუის ჰემილტონს** სუსტი რეაქცია ჰქონდა სასტარტო სიგნალზე და უკვე პირველ მოსახვევში მას **სებასტიან ფეტელმა** და **მარკ უებერმა** გაუსწრეს, რითაც ბრიტანელი მესამე პოზიციამდე ჩამოაქვეითეს. **კიმი რაიკონენმა** და **რომენ გროსჟანმა** შეინარჩუნეს ადგილი პირველ ხუთეულში, **ფელიპე მასამ** მეექვსე პოზიცია წაართვა **დანიელ რიკარდოს. ფერნანდო ალონსომ** კი შეინარჩუნა მერვე ადგილი.

რბოლაში პირველი ინციდენტი უკვე მეოთხე წრეზე მოხდა - DRS-ის სისტემის ამოქმედების შემდეგ, პირველ მოსახვევში ტრასიდან გადავარდა მასა, რითაც მეექვსე პოზიციაზე დაბრუნდა რიკარდო, თუმცა ერთი წრის შემდეგ, ავსტრალიელი პირველი ათეულიდან პირველი წავიდა პიტსტოპზე.

მეექვსე წრეზე „სოფტიდან" „მედიუმზე" გადავიდა ჰემილტონი, ერთი წრის შემდეგ, ბრიტანელს მიბაძეს ფეტელმა და პერესმა. უკვე მერვე წრეზე პიტსტოპები შეასრულეს რაიკონენმა და უებერმა, თუმცა ამ უკანასკნელის საბურავზე მექანიკოსებმა ცუდად დაამაგრეს საბურავი, რითაც ავსტრალიელს მაღალი შედეგის მიღწევის შანსი მოუსპეს და კინაღამ დაასახიჩრეს პიტ-ლეინზე მყოფი ოპერატორი.

ამასობაში, ლიდერი **რომენ გროსჟანი** გახდა, რომელიც ცხრა წამით უგებდა ალონსოს, ბატონსა და ჰიულკენბერგს, რომლებმაც „მედიუმით" აიღეს სტარტი. ამ ჯგუფის უკან იყოს ფეტელი - გერმანელი ახალი საბურავებით დაეწია და გაუსწრო ჰიულკენბერგსა და ბატონს და ალონსოს გამოეკიდა. კიდევ უფრო უკან იყვნენ „მერსედესის" პილოტები. მათ შორის ერთ-ერთი - ჰემილტონი აქტიურად უტევდა რაიკონენს.

მე-12 და მე-13 წრეებზე პიტ-სტოპები შეასრულეს ალონსომ და გროსჟანმა და თუ ესპანელი მეცხრე დაბრუნდა ტრასაზე, ფრანგი მესამეზე აღმოჩნდა, მალე გაასწრო ბატონს და მეორე ადგილზე გადავიდა - ის მხოლოდ ფეტელს ჩამორჩება.

მესამედი დისტანციის შემდეგ ფეტელსა და გროსჟანს შორის სხვაობა ორი წამი იყო, ამ წყვილს კი 10 წამით ჩამორჩებოდა რაიკონენი. კიდევ შვიდი წამით უკან იყო ალონსო. საბოლოოდ, პილოტებმა სწორედ ამ თანმიმდევრობით დაასრულეს რბოლა, თუმცა, სანამ ეს მოხდებოდა, ტრასაზე რამდენიმე საინტერესო მოვლენას ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 23-ე წრეზე დაიწვა **ჟიულ ბიანკის** „მარუსიას" საბურავი და ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გავიდა, რომლის დროსაც პილოტებმა მეორე პიტსტოპი შეასრულეს.

რესტარტი 30-ე წრეზე მისცეს და ფეტელმა შეინარჩუნა ლიდერობა - თითქმის წამით დაშორდა გროსჟანისა და რაიკონენის წყვილს, თუმცა დრო გადიოდა და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ვერაფრით ახერხებდა „ლოტუსის" პილოტებისგან უფრო შორს წასვლას.

რბოლის ბოლო ნაწილში ლიდერთა სამეულმა სხვადასხვა ტაქტიკა აირჩია. გროსჟანი და ფეტელი მე-40 და 41-ე წრეზე შევიდნენ მესამე პიტსტოპზე, რაიკონენმა კი ეს მომენტი მაქსიმალურად გაწელა. ფინელმა კიდევ ცხრა წრე იარა ძველი საბურავებით და ბოქსებში 49-ე წრეზე შევიდა, მაგრამ თანაგუნდელსა და ფეტელზე მოპოვებული 14-წამიანი უპირატესობა საკმარისი არ აღმოჩნდა ტრასაზე პირველ ადგილზე დასაბრუნებლად. სამაგიეროდ, ახალი საბურავებით კიმიმ 54-ე წუთზე გაუსწრო გროსჟანს და მეორე ადგილზე გადავიდა. ფეტელთან ის ორ წამს აგებდა და დარჩენილი დრო გერმანელთან სხვაობის შემცირებას მოანდომა, ბოლო წრეზე DRS-ის ზონაში ფეტელზე შეტევა სცადა, მაგრამ ველარ მოასწრო. გროსჟანმა ბოლოს მოახერხა ალონსოს შეჩერება მესამე ადგილისთვის ბრძოლაში და სეზონში მეორე და კარიერაში მეხუთე პოდიუმი მოიპოვა.

სეზონში მეოთხე მოგებამ ფეტელს ალონსოსთან უპირატესობის 34 ქულამდე გაზრდის საშუალება მისცა. გარდა ამისა, ესპანელს მეორე ადგილისთვის ბრძოლაში რაიკონენი მიუახლოვდა - მათ შორის სხვაობა მხოლოდ შვიდი ქულაა.

მსოფლიოს ჩემპიონატის მე-10 ეტაპი სამი კვირის შემდეგ, ბუდაპეშტში გაიმართება.

**გერმანიის გრან-პრი. VIII ეტაპი**

**ნიურბურგრინგი (60 წრე. 308.623 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(2). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:41.14,711 (3 პიტსტოპი) |
| 2(4). კიმი რაიკონენი (ლოტუსი, ფინეთი) | +1,008 (3) |
| 3(5). რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი) | +5,830 (3) |
| 4(8). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +7,721 (3) |
| 5(1). ლუის ჰემილტონი (მერსედესი, ბრიტანეთი) | +26,927 (3) |
| 6(9). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +27,996 (2) |
| 7(3). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +37,562 (3) |
| 8(13). სერხიო პერესი (მაკლარენი, მექსიკა) | +38,306 (2) |
| 9(11). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +46,821 (3) |
| 10(10). ნიკო ჰიულკენბერგი (ზაუბერი, გერმანია) | +49,892 (3) |
| 11(12). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | +53,771 (2) |
| 12(6). დანიელ რიკარდო (ტორო როსო, ავსტრა) | +56,975 (3) |
| 13(15). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | +57,738 (3) |
| 14(14). ესტებან გუტიერესი (ზაუბერი, მექსიკა) | +1.00,160 (3) |
| 15(18). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | +1.01,929 (2) |
| 16(17). ვალტერი ბოტასი (უილიამსი, ფინეთი) | 1 წრე (2) |
| 17(22). შარლ პიკი (კატერჰემი, საფრანგეთი) | 1 წრე (3) |
| 18(10). გიდო ვან დერ გარდე (კატერჰემი, ჰოლანდია) | 1 წრე (3) |
| 19(21). მაქს ჩილტონი (მარუსია, ბრიტანეთი) | 1 წრე (4) |
| 20(16). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი) | 37 წრე |
| 21(19). ჟიულ ბიანკი (მარუსია, საფრანგეთი) | 22 წრე |
| 22(7). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | 4 წრე |

**საერთო ჩათვლა**

1. ფეტელი - 157 (3 მოგება); 2. ალონსო - 123 (2); 3. რაიკონენი - 116 (1); 4. ჰემილტონი - 99; 5. უებერი - 93; 6. როსბერგი - 84 (2); 7. მასა - 57; 8. გროსჟანი - 41; 9. დი რესტა - 36; 10. ბატონი - 33; 11. სუტილი - 23; 12. პერესი - 16; 13. ვერნი - 13; 14. რიკარდო - 11; 15. ჰიულკენბერგი - 7.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. რედ ბული - 250; 2. მერსედესი - 183; 3. ფერარი - 180; 4. ლოტუსი - 157; 5. ფორს ინდია - 59; 6. მაკლარენი - 49; 7. ტორო როსო - 24; 8. ზაუბერი - 7.

● ჩოგბურთი. უიმბლდონი 2013

# ტრიუმფი 1936 წლის შემდეგ

უამრავი სენსაციის მიუხედავად, უიმბლდონი სავსებით ლოგიკური ფინალით დასრულდა, რომელშიც პირველ და მეორე ნომრად განთესილები შეხვდნენ ერთმანეთს. ტურნირის სტარტიდან სამი დღის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ფინალის ერთადერთი ვარსკვლავური შემადგენლობა სწორედ **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **ენდი მარეის** დაპირისპირება იქნებოდა. უფრო ადრე, მსგავსი სერია ჰქონდათ ნოვაკსა და **რაფაელ ნადალს** - მათ ზედიზედ ოთხჯერ გაითამაშეს „დიდი სლემი".

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ფინალისტებმა ძალიან იოლად მიაღწიეს გადამწყვეტ მატჩამდე. თითოეულს თითო მძიმე მატჩი ჰქონდა. ენდიმ 0:2-დან გადაარჩინა მეოთხედფინალი **ფერნანდო ვერდასკოს** წინააღმდეგ, ნოვაკმა კი უმძიმესი ნახევარფინალი გადაიტანა **ხუან-მარტინ დელ პოტროს** წინააღმდეგ.

ენდიმ ფინალი ძალიან კარგად დაიწყო. პირველივე გეიმში სერბს სამმაგი ბრეიკ-პოინტის გადარჩენა მოუწია, ერთი გეიმის შემდეგ კი ნოვაკმა წააგო თავისი მოწოდება. ჯოკოვიჩმა მალე გააკეთა საპასუხო ბრეიკი, მაგრამ ჩანდა, რომ ბრიტანელი უფრო სტაბილურად თამაშობდა, თან სერბი პასიური იყო. პირველ პარტიაში ის გაცილებით მეტს ცდებოდა და ჩამორჩებოდა „ვინერსების" რაოდენობით - 6:17. სტატისტიკის მიხედვით, მარეის დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ქულების აღება დიდი ბრძოლით უწევდა. და მაინც, ჯოკოვიჩს აქტიურობა არ ჰყოფნიდა და თითქმის არ შველოდა საკუთარი მოწოდება. საბოლოოდ, მან დათმო სეტი, რომელიც დაახლოებით საათი გრძელდებოდა.

მეორე სეტში სურათი შეიცვალა. ჯოკოვიჩმა თამაშის გამწვავება დაიწყო და ამან გაამართლა. ნოვაკმა ბრეიკით წაიყვანა ანგარიში - 4:1, თუმცა ძალიან მალე ისევ დათმო საკუთარი მოწოდება. შემდეგ იყო მერვე გეიმი, რომელსაც ბევრი რამის შეცვლა შეეძლო. პირველ ჩოგანს ორი „დაფარული" სეტბოლი ჰქონდა და ძალიან ახლოს იყო სეტებში ანგარიშის გათანაბრებასთან, მაგრამ ეს შანსი გაუშვა ხელიდან. სეტის ბოლოს, ჯოკოვიჩს ჩავარდნა დაეწყო. სერბის რამდენიმე შეცდომამ ის გამოიწვია, რომ მარეიმ სეტზე ჩაწოდების უფლება მოიპოვა, თითქოს ძალიან კარგად გააკეთა.

მესამე სეტის სტარტზე ნოვაკი ისევ ვერ მოვიდა გონს. რაღაც მომენტში ისე ჩანდა, რომ ის ველარ შეძლებდა გაბრძოლებას. და მაინც დაბრუნდა თამაშში. სერბმა მოკლე დარტყმებს მოუხშირა, რამაც თავიდან იმუშავა. ნოვაკმა შესანიშნავი სერია ჩაატარა და ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო, რითაც 4:2 დაწინაურდა. მაგრამ ეს მსოფლიოს პირველი ნომრის დროებითი აფეთქება გამოდგა. ისევ დაიწყო ჩავარდნა და მარეიმ ეს მომენტი კარგად გამოიყენა. მას შემდეგ, რაც ენდიმ ბრეიკი გააკეთა მეცხრე გეიმში და მატჩზე ჩაწოდების უფლება მიიღო, მთელი სტადიონი ექსტაზში მოვიდა.

მაგრამ ჯერ ნაადრევი იყო სიხარული, რადგან ბოლო გეიმი მოსაგები იყო. წინა ორ სეტში ბრიტანელი ბრწყინვალედ მოქმედებდა ბოლო გეიმებში და ამჯერადაც, ყველაფერი კარგად დაიწყო - 40:0. ამ მომენტში სერბი ბადესთან გავიდა და გაუმართლა, რითაც მცირე იმპულსი მიიღო. შემდეგ, პირველად მატჩში, მიღებიდან ერთი დარტყმით აიღო ქულა, მესამე მატჩბოლზე კი მარეიმ შეცდომა დაუშვა. მაყურებელი დადუმდა, როცა ჯოკოვიჩმა ორი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ ბრიტანელმა წარმატებით ითამაშა, შემდეგ მეოთხე მატჩბოლი მიიღო, რომლის რეალიზაციაში მეტოქის შეცდომა დაეხმარა. მატჩის შემდეგ ბრიტანელმა აღიარა, რომ არ ახსოვს, როგორ მოიგო ბოლო გათამაშება.

მარეი გახდა პირველი ბრიტანელი 1936 წლის შემდეგ, ვინც უიმბლდონზე გამარჯვება შეძლო. ამ ტურნირის ბოლო მასპინძელი ტრიუმფატორი იყო **ფრედ პერი.** ენდისთვის ეს არის „დიდი სლემის" მეორე ტიტული კარიერაში, ფინალი კი მას ხუთჯერ აქვს წაგებული. ჯოკოვიჩის ანალოგიური შეფარდებაა - 6:5.

**ფინალი**

**ენდი მარეი (ბრიტ, 2)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1) 6:4, 7:5, 6:4.


ენდი მარეი

# მეორე წარმატებული ცდა

მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალების ფინალში უცნაური შემადგენლობა მივიღეთ. ჯერერთი, გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ტოპათეულის მიღმა მყოფი ჩოგბურთელები, გარდა ამისა, ფინალისტებს აქამდე არ ჰქონდათ მოგებული „დიდი სლემის" ტურნირი. ასეთი რამ, ბოლოს 1998 წელს მოხდა, როცა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფრანგი **ნატალი ტოზია** და ჩეხი **იანა ნოვოტნა.**

ბარტოლი ერთხელ უკვე იყო უიმბლდონის ფინალში, როცა **ვენუს უილიამსთან** წააგო. ეს მისი მეორე ცდა იყო, თუმცა ფინალი უფრო აქტიურად **საბინ ლისიცკიმ** დაიწყო, რომელმაც პირველივე გეიმში ორმაგი ბრეიკ-პოინტის მოპოვება შეძლო. ბარტოლიმ საფრთხე მოიგერია, მაგრამ იქვე ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა და საკუთარი გეიმი დათმო. თითქოს ეს იმას ნიშნავდა, რომ ფრანგი ზედმეტად ნერვიულობდა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. მარიონი უფრო დამაჯერებელი და მშვიდი იყო, ვიდრე გერმანელი. ლისიცკიმ მაშინვე დაკარგა მოპოვებული უპირატესობა, როცა ასევე ორმაგი შეცდომით დაასრულა საკუთარი გეიმი. ამის შემდეგ, ის შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. საბინის ცალკეული დარტყმები კარგი იყო, მაგრამ, საერთო ჯამში, უზუსტობა გაცილებით მეტი ჰქონდა. ის ვერაფრით დაწყნარდა და სასტარტო წარმატების შემდეგ, ზედიზედ ექვსი გეიმი დათმო.

სეტის წაგების შემდეგ, ლისიცკიმ ცოტა ხნით დატოვა კორტი და მოედანზე უფრო მობილიზებული დაბრუნდა. მან მატჩში პირველად აიღო საკუთარი მოწოდება, თან ეს ძალიან დამაჯერებლად გააკეთა, შემდეგ კი მიღებაზე ბრძოლა გაუმართა მეტოქეს. ლისიცკის ოთხი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ზოგი თავისი შეცდომებით დაკარგა და ზოგიც - ბარტოლის კარგი თამაშის გამო. ეს გამოუყენებელი შანსები გერმანელს ძვირად დაუჯდა. მომდევნო გეიმიდან მან ისევ დაიწყო შეცდომების დაშვება და 1:5 ჩამორჩა. ისე ჩანდა, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო და ფინალი დაახლოებით ერთ საათში დასრულდებოდა. მეშვიდე გეიმში ბარტოლიმ მიღებაზე ორმაგი მატჩბოლი მიიღო, მაგრამ ამ დროს, ლისიცკიმ მკვეთრად გააუმჯობესა თამაში. მან შეტევით მოიგერია ორი მატჩბოლი, მესამეზე კი მეტოქე დაეხმარა, როცა ბექჰენდიდან შეცდომა დაუშვა. ურთულესი გეიმის მოგებით, გერმანელი საბოლოოდ გამოცოცხლდა, ბრძოლაში დაბრუნდა და მინიმუმამდე შეამცირა ჩამორჩენა. მაგრამ მატჩზე მეორე ჩაწოდებისას ბარტოლი კარგად განეწყო, ბრწყინვალედ ჩაატარა ეს გეიმი და მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

მარიონ ბარტოლი გახდა უიმბლდონის პირველი ჩემპიონი, რომელიც საჩემპიონო გზაზე ტოპათეულის არც ერთ წევრს არ შეხვედრია. მან დაამარცხა 88-ე, 54-ე, მე-100, 17-ე, 21-ე და 34-ე ნომრები.



მარიონ ბარტოლი

**ფინალი**

**მარიონ ბარტოლი (საფ, 15)**-საბინ ლისიცკი (გერ, 23) 6:1, 6:4.

**ყველა ჩემპიონი**

**კაცები. ერთეულები.** ენდი მარეი (ბრიტანეთი)

**ქალები. ერთეულები.** მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)

**კაცები. წყვილები.** ბ. ბრაიანი/მ. ბრაიანი (აშშ)

**ქალები. წყვილები.** ჰსიე/პენგი (ტაივანი/ჩინეთი)

**იუნიორები**

**ბიჭები. ერთეულები.** ჯანლუიჯი კუინცი (იტალია)

**გოგონები. ერთეულები.** ბენლინდა ბენჩიჩი (შვეიცარია)

**ბიჭები. წყვილები.** კოკინაკისი/კირიოსი (ავსტრალია)

**გოგონები. წყვილები.** კრეიჩიკოვა/სინიაკოვა (ჩეხეთი)

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი 2013

# ჩემპიონი ცნობილია?

ბრიტანელმა **კრის ფრუმმა** დაადასტურა ტურ დე ფრანსის მთავარი ფავორიტის სტატუსი - მერვე ეტაპზე მან პირველივე სამთო რბოლაში მტკივნეული მარცხი აგემა ესპანელ კონკურენტებს.

მერვე ეტაპზე პირველი სერიოზული გამოცდა იყო უმაღლესი კატეგორიის მთა - კოლ დე პალიარესი. აქ აღმართის სიგრძე 35 კილომეტრს აღწევდა. ამ მთიდან დაშვების შემდეგ, ველომრბოლელებს მეორე სახიფათო ამაღლება - მწვერვალი აქს დომენი ელოდათ. სამი წლის წინ, ამ მთაზე გაქცეულმა ველომრბოლმა, ფრანგმა **კრისტო რიბლონმა** მოიგო.

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ პირენეებზე შედგა წლევანდელი ტურის ნამდვილი სტარტი. ბუკმეიკერები უპირატესობას ანიჭებდნენ **კრის ფრუმს** ესპანელ **ალბერტო კონტადორთან** ბრძოლაში. გარდა ამისა, ამ ეტაპზე უნდა შეეფასებინათ „თიმ სქაის" რეალური ძალა სხვა ველოსაჯინიბოებთან შედარებით.

ეტაპზე პირველი შეტევა ჰოლანდიელმა **ჯონი ჰოგელრანდმა** განახორციელა. მას ჯერ ფრანგი **ჟან-მარკ მარინო** აყვა, მალე კი ლიდერთა დუეტი კვარტეტად გადაიქცა: უკვე ნახსენები რიბლონი და კიდევ ერთი ფრანგი **რუდი მოლარი** დაეწია დაწინაურებულებს. გაქცეულებმა რვა წუთამდე გაზარდეს უპირატესობა პელოტონთან და ლიდერის ყვითელი მაისურის ვირტუალური მფლობელი რიბლონი გახდა.

ფინიშამდე 100 კილომეტრით ადრე სხვაობამ თანდათან კლება დაიწყო, რელიეფი კი სულ უფრო რთულდებოდა. ამასობაში, პელოტონის სათავეში დაიწყეს მოგროვება „სქაის" მრბოლელებმა, მათ სიმეტრიულად კი Saxo-Tinkoff-ის წევრები განლაგდნენ და ალბერტო კონტადორი გაიყვანეს წინ.

ამ დროს, გაქცეულთა უპირატესობა წუთნახევრამდე შემცირდა. ჰოგერლანდმა ლიდერთა ჯგუფის დაშლა სცადა, მაგრამ მისი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. პელოტონი თანდათან კარგავდა მრბოლელებს, მაგრამ ტემპი მაღალი ჰქონდა.

ძირითადი ჯგუფიდან პირველმა შეტევა **რობერტ გესინგმა** წამოიწყო. მალე მას მიუახლოვდნენ **ტომას ვიოკლერი** და **ნაირო კინტანა.** თუმცა მხოლოდ ამ უკანასკნელმა შეძლო ლიდერობის შენარჩუნება და კოლუმბიელი დიდი ხანი კარნახობდა ტემპს პელოტონს. მის შემდეგ, სამთო ქულებისთვის შეტევაში წავიდნენ **პიერ როლანი** და **იგორ ანტონი**. ამასობაში, „სქაის" მონდომებით ძირითადი ჯგუფში 20-25 მრბოლელი დარჩა.

პირველმა მთა კინტანამ დაიპყრო, როლანმა კი საშუალედო ფინიშზე მეორე ადგილით დაიბრუნა „მთის მეფის" მაისურა. დაშვებისას, პელოტონი მაქსიმალურად მიუახლოვდა გაქცეულებს და როლანი პირველი დანებდა. ძირითადი ჯგუფის წინ, თითო გუნდის მაქსიმუმ ორი მრბოლელი რჩებოდა, რუსული „კატიუშა" კი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან მისი ლიდერი **ხოაკიმ როდრიგესი** დამხმარეების გარეშე დარჩა.

„სქაის" მრბოლელი **რიჩი პორტი**, რომელიც ამ სეზონში ელიტურ სამთო პილოტად გადაიქცა, „დამანგრეველ" მუშაობას აწარმოებდა და ბრძოლას ერთი მეორის მიყოლებით ეთიშებოდნენ გრანდები. BMC-მ დაკარგა თავისი ორივე ლიდერი: თავიდან, ახალგაზრდა **ტიჯეი ვან გარდერენი**, შემდეგ გამოცდილი **კეიდელ ევანსი**. დაკარგეს კონტაქტი ძირითად ჯგუფთან **ანდი შლეკმა, აიმარ სუბელდიამ** და „ასტანას" ლიდერმა **იაკობ ფუგლსანგმა.**

ფინიშამდე სამი კილომეტრით ადრე, სიტუაცია ამგვარი იყო. პორტი და ფრუმი უტევდნენ, კონტადორი და **რომან კროიციგერი** თავს იცავდნენ, **ალეხანდრო ვალვერდე** კი რბოლის ლიდერისგან - კინტანასგან ელოდა დახმარებას. საბოლოოდ, როცა ბრძოლაში ფრუმი წავიდა, მის მეტოქეებს ძალები გამოცლილი ჰქონდათ. ბრიტანელმა ორი გაქცევით შეძლო ყველას ჩამოცილება. რიჩი პორტი კონკურენტებს დარაჯობდა, მაგრამ შემდეგ ისიც გაიქცა, ვალვერდემ კი თანაგუნდების დახმარებით შეძლო მესამე პოზიციაზე გადასვლა. ყველაზე ცუდად ჰქონდა საქმე კონდატორს, რომელიც კროიციგერის ზურგსუკან მძიმედ სუნთქავდა და ხანდახან ვერ უძლებდა ჩეხის ტემპს. საბოლოოდ, ფინიშთან ახლოს მას გაუსწრეს ჰოლანდიელებმა - **მოლემამ** და **ტენ დამმა** და ბასკმა **მიკელ ნიევემ**. ალბერტომ ამ ეტაპზე ორი წუთი წააგო.

ამ ფონზე, წუთითა და 20 წამით ჩამორჩენილი ვალვერდე ბოლომდე დამარცხებულად არ მოსჩანს. რაც შეეხება ხოაკიმ როდრიგესს, „კატიუშას" ლიდერი კონტადორის შემდეგ მივიდა ფინიშთან. ის დროზე განცალკევებით რბოლაში სუსტია, რაც მისი მხრიდან ტურზე საბოლოო გამარჯვებას გამორიცხავს.

ტურის მესამე კვირას ძალების განლაგება კიდევ შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ საბოლოო პოდიუმზე პრეტენდენტთა წრე შეიკრა და ფრუმის ალტერნატივა მთებში არ ჩანს.

### VIII ეტაპი

**კასტრე-აქს დომენი. 195 კმ**

1. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტ, Sky) - 5:03.18; 2. **რიჩი პორტი** (ავსტრა, Sky) - +0.51; 3. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Movistar) - +1.08; 4. **ბაუკე მოლემა** (ჰოლ, Belkin) - +1.10; 5. **ლაურენს ტენ დამი** (ჰოლ, Belkin) - +1.16; 6. **მიკელ ნიევე** (ესპ, Euskatel) - +1.34...

### IX ეტაპი

**სენ ჟირონი-ბანიერ დე ბიგორი. 168.5 კმ**

1. **დანიელ მარტინი** (ირლ, Garmin-Sharp) - 4:43.03; 2. **იაკობ ფუგსლანგი** (დან, Astana) - იგივე დრო; 3. **მიხალ კვიატკოვსკი** (პოლ, Omega Pharma-Quick Step) - +0.20; 4. **დანიელ მორენო** (ესპ, Team Katusha) - იგივე დრო; 5. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპ, Team Katusha) - იგივე დრო; 6. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC Racing Team) - იგივე დრო...

### საერთო ჩათვლა

1. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტ, Sky) - 36:59.18; 2. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Movistar) - +1.25; 3. **ბაუკე მოლემა** (ჰოლ, Belkin) - +1.44; 4. **ლაურენს ტენ დამი** (ჰოლ, Belkin) - +1.50; 5. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, Saxo-Tinkoff) - +1.51; 6. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Saxo-Tinkoff) - იგივე დრო...



კრისტოფერ ფრუმი

მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა

# ბოლტი პარიზში კარგი იყო

შაბათს, პარიზის ცნობილ „სტად დე ფრანსზე" გაიმართა „ბრილიანტის ლიგის" მეცხრე ეტაპი. მოსკოვში გასამართავ მსოფლიოს ჩემპიონატამდე თვეზე ოდნავ მეტი დარჩა და მძლეოსნები მაქსიმალურად იყენებენ მოსამზადებელ ტურნირებს ფორმაში შესასვლელად და სეზონის მთავარი სტარტის წინ დამაჯერებლობის მოსაპოვებლად.

როგორც წესი, პარიზის ეტაპმა მონაწილეთა ძლიერი შემადგენლობა შეკრიბა და რამდენიმე მაღალი შედეგიც ვიხილეთ. ტრადიციულად, ყველაზე დიდი ყურადღება **უსაინ ბოლტისკენ** იყო მიპყრობილი, რომელიც 200 მეტრზე გარბოდა. იამაიკელის გამოსვლის სანახავად 52 ათასი მაყურებელი შეიკრიბა. და მან პარიზულ პუბლიკას იმედები არ გაუცრუა. უსაინს ერთი რეალური კონკურენტი ჰყავდა - **უორენ უეირი**, რომელსაც ექვსგზის ოლიმპიურ ჩემპიონთან სეზონის თანაბარი რეკორდი ჰქონდა. და უეირმა აჩვენა, რომ ბევრით არ ჩამორჩება ლეგენდარულ თანაგუნდელს. ის ახლოს იყო ბოლტთან და მხოლოდ ფინიშზე წააგო. უსაინმა ტურნირის რეკორდი დაამყარა - 19.73 წამი და ერთი მეასედით გააუმჯობესა სეზონის საუკეთესო დრო, რომელიც **ტაისონ გაიმ** აშშ-ის ჩემპიონატზე დაამყარა. 20 წამიდან უეირიც გამოვიდა - 19.93, ფრანგების იმედმა **კრისტოფ ლემეტრმა** კი პირველ სამეულში შეაღწია.

კარგი შემადგენლობა იყო შეკრებილი ბარიერულ სპრინტში. ერთად გარბოდნენ მსოფლიოს ბოლო ორი ჩემპიონატის გამარჯვებული, პეკინისა და ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონები და სეზონის ლიდერი. ამ უძლიერეს კომპანიაში საუკეთესო გახდა **ერიეს მერიტი.** მსოფლიოს რეკორდსმენმა სეზონის დასაწყისში ტრავმა მიიღო, მაგრამ უკვე აღიდგინა კონდიციები და თანდათან უახლოვდება ოპტიმალურ ფორმას. ფინიშზე მან სამი მეასედი მოუგო უახლოეს კონკურენტს. ჩააგდო გარბენი **დაირონ რობლესმა**, რომელმაც მეცხრე ადგილი დაიკავა.

საღამოს ერთ-ერთი გმირი აღმოჩნდა **რენო ლავილენიე.** ფრანგმა ჭოკით მხტომელმა ჩააგდო „ბრილიანტის ლიგის" წინა ეტაპი, როცა შედეგის გარეშე დარჩა, პარიზში კი მან ნახტომების ბრწყინვალე სერია უჩვენა. უკვე 5 მეტრისა და 82 სანტიმეტრის დაძლევის შემდეგ, მას კონკურენტი აღარ ჰყავდა. ამის შემდეგ, მან პირველი ცდიდან აიღო 5.92 მეტრი, ბოლოს კი 6.02-ს შეუტია და ტურნირის რეკორდის დამყარება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

აგრძელებს ქალებს შორი 400 მეტრზე თარჯრბენში ბრწყინვალე შედეგების ჩვენებას ჩეხი ბარიერისტი **სიუზანა გეინოვა.** ამჯერად, მან პირადი რეკორდი გააუმჯობესა - 53.23. ეს დრო ორი მეასედით უარესია სეზონის საუკეთესო შედეგზე რომელიც **კორი კარტერს** ეკუთვნის. გეინოვამ ბრილიანტის ლიგაზე ზედიზედ მეოთხე ეტაპი მოიგო.

ძალიან საინტერესო დუელი გაიმართა 400 მეტრზე მამაკაცებს შორის. კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს სარბენ ბილიკზე **ლაშოუნ მერიტი** და **კირანი ჯეიმსი.** ორივე სპორტსმენმა კარგი ფორმა აკრიფა, ასე რომ, მეტოქეობა მაღალ სიჩქარეზე მიდიოდა. ლაშოუნმა სეზონში პირადი რეკორდი დაამყარა - 44.09, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის, რადგან კირანი 44 წამიდან გამოვიდა - 43.96.

დაძაბული ბრძოლა იყო ქალთა სპრინტში, რომელშიც **ფრეიზერ-პრაისმა** გაიმარჯვა. იამაიკელს სულ მცირედით ჩამორჩა ნიგერიელი **ბლესინგ ოკაგბარე.** ის ახლოს იყო უნიკალურ მიღწევასთან. ერთი კვირის წინ, ბლესინგმა მოიგო „ბრილიანტის ლიგის" ეტაპი 200 მეტრ დისტანციაზე, შემდეგ, შუა კვირას ყველას აჯობა სიგრძეზე ხტომაში, ახლა კი ერთი-მეასედი წამი არ ეყო ერთი კვირის განმავლობაში სამი სხვადასხვა დისციპლინის მოსაგებად.

„ბრილიანტის ლიგის" მომდევნო ეტაპი 19 ივლისს, მონტე კარლოში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**მს. ჩემპიონატი**

**UNDER 20. 1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-უზბეკეთი | 4:0 |
| ურუგვაი-ესპანეთი | 1:0 (დ.დ.) |
| ერაყი-კორეა | 2:2 პენ. 5:4 |
| განა-ჩილე | 2:2 დ.დ. 4:3 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ფრედერისია-ჰორსენსი | 1:2 |
| სილკებორგი-მიდტიულანდი | 2:2 |
| სონდერიისკი-კილი | 2:2 |
| პიასტი-ამკარი | 2:3 |
| ერფურტი-ბრენტფორდი | 1:1 |
| დენ ჰააგი-სერკლი | 0:1 |
| ტეპლიცე-ხემნიცი | 2:1 |
| ჰერაკლესი-სტანდარდი | 1:1 |
| ალფრეტონი-ბირმინგემი | 1:3 |
| ბურგჰაუზენი-სტ. პაული | 1:1 |
| კოუდენბითი-შეფილდი | 1:1 |
| დინამო (დრ)-აიაქსი | 0:3 |
| გეიტშიდი-პარტიკი | 2:1 |
| ბორუსია (მ)-ლიერსი | 2:0 |
| ზანდჰაუზენი-კარლსრუე | 1:1 |
| ვოლენი-ლუცერნი | 1:2 |
| რეძსჰემი-ბლეძბერნი | 1:1 |
| ემენი-ცვოლე | 1:3 |
| კორტრიიკი-ვაასლანდი | 2:0 |
| პარდუბიცე-იჰლავა | 3:0 |
| თუნი-ლუგანო | 4:1 |
| ბრიუგე-რუზელარე | 4:0 |
| დნიპრო-ურალი | 1:0 |
| კიოლნი-რიდი | 3:3 |
| კლუჟი-სელტიკი | 2:1 |
| შახტარი-ზენიტი | 0:1 |
| გელზური-იფსვიჩი | 0:2 |
| სტ. პოლტენი-აინტრახტი | 2:3 |
| სტ. გალენი-მიუნხენი | 1:1 |
| შტ. კიკერსი-შტუტგარტი | 0:2 |
| ფრაიბურგი-ლოზანა | 1:2 |
| ბოხუმი-ლევერკუზენი | 0:2 |
| ლანსი-ნიმი | 1:1 |
| ვესტერლო-ლოკერენი | 2:3 |
| სიონი-ვოლფსბურგი | 0:4 |
| ჰიბერნიანი-ნოტინგემი | 1:2 |
| პანდური-კრასნოდარი | 0:4 |
| აუსტრია-პარტიზანი | 2:1 |
| ბრაუნშვაიგი-ოლბორგი | 0:0 |
| ექსელსიორი-სუონსი | 1:5 |
| ციურიხი-ვილი | 2:1 |
| რუბინი-ჩახლაული | 1:2 |
| ზაკარპატია-გაზ მეთანი | 0:0 |
| ოსტენდე-აალსტი | 3:0 |
| გრიოდიგი-სტ. პაული | 1:2 |
| ანჟი-პაოკ | 0:0 |
| ზალცბურგი-მეცი | 3:0 |
| ბურსა-ზაგლებე | 0:3 |
| იაბლონეცი-აპოელ | 2:1 |
| კორკი-ვესტ ჰემი | 2:6 |
| უნიონი-დანდი იუნ | 4:1 |
| ეირი-დინამო (ბ) | 1:1 |
| დინამო (კ)-სპარტაკი | 2:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ოლესუნდი-სიოგნდალი | 2:2 |
| ჰაუგესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 2:1 |
| ტრომსიო-მიოლდე | 2:3 |
| რუსენბორგი-ლილესტრიომი | 1:0 |
| სანდნესი-სტარტი | 3:1 |
| სარპსბორგი-ოდ გრენლანდი | 0:1 |
| ვოლერენგა-ვიკინგი | 2:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სტაბეკი-ვარდ ჰაუგესუნდი | 1:1 |
| ბოდო გლიმტი-ფრედრიკსტადი | 4:0 |
| ბრინი-ულ კისა | 2:2 |
| ფოლო-რანჰაიმი | 0:2 |
| კონგსვინგერი-სტრიომენი | 0:0 |
| მიონდალენი-სანდეფიორდი | 2:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრომაპიოკარნა-კალმარი | 0:1 |
| ელფსბორგი-ატვიდაბერგი | 0:1 |
| მიალბიუ-ოსტერი | 1:1 |
| მალმიო-გეფლე | 3:1 |
| აიკ-ჰაკენი | 2:0 |
| სირიანსკა-ჰალმსტადი | 1:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| როვანიემი-კუოპიო | 1:0 |
| მარიეჰამნი-იარო | 0:0 |
| იუვიასკიულა-ჰონკა | 1:0 |
| ვაასა-ინტერი | 1:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოულუ-იიპო | 1:0 |
| სეინაიოენი-ილვესი | 1:2 |
| ვიიკინგიტი-ოპს | 3:0 |
| ჰაკა-კოტეპე | 2:1 |
| პკ35-კაიაანი | 3:3 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| დროგედა-შელბურნი | 0:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მერვუ-სოლტჰილი | 2:1 |
| ლონგდფორდი-უოტერფორდი | 2:1 |

**ისლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| ვესტმანაიეარი-რეიკიავიკი | 0:3 |
| ფილკირი-სტიარნანი | 2:2 დ.დ. 2:3 |
| ვიკინგური-ბრეიდაბლიკი | 1:5 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-სალიუტი | 0:0 |
| ენისეი-როტორი | 1:4 |
| პეტროტრესტი-არსენალი | 0:1 |
| სიბირი-ტორპედო | 2:1 |
| გაზოვიკი-ლუჩ ენერგია | 1:0 |
| უფა-ალანია | 2:1 |
| ანგუშტი-ნეფტიხიმიკი | 1:1 |
| მორდოვია-ნალჩიკი | 3:0 |
| შინიკი-ბალტიკა | 1:1 |

**ხორვატია**

**სუპერთასი**

| | |
|---|---|
| დინამო (ზ)-ჰაიდუკი | 1:1 პენ. 4:1 |

**სლოვენია**

**სუპერთასი**

| | |
|---|---|
| მარიბორი-ოლიმპია | 3:0 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| ბელშინა-დნეპრი | 3:1 |
| დინამო (ბრ)-ბატე | 0:0 |
| სლავია-ნაფტანი | 1:1 |
| ტორპედო-გომელი | 1:3 |
| ნემანი-მინსკი | 0:2 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| ბანგა-დაინავა | 2:1 |
| შიაულიაი-ჟალგირისი | 2:4 |
| ეკრანასი-კრუოია | 1:3 |

**ესტონეთი**

| | |
|---|---|
| კურესაარე-კალიუ | 0:1 |
| ინფონეტი-სილამაე | 0:1 |
| ტრანს ნარვა-ტამეკა | 0:1 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| ატ. პარანაენსე-გრემიო | 1:1 |
| ფლამენგო-კორიტიბა | 2:2 |
| ნაუტიკო-პონტე პრეტა | 1:3 |
| პორტუგეზა-კრუზეირო | 1:1 |
| ბაია-კორინთიანსი | 0:2 |
| გოიაში-ვიტორია | 1:0 |
| ინტერნასიონალი-ვასკო და გამა | 5:3 |
| სან პაულუ-სანტოსი | 0:2 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| ლიგა დე ლოხა-დეპ. კიტო | 4:0 |
| ელ ნასიონალი-დეპ. კუენკა | 2:2 |
| ლდუ დე კიტო-უნ. კატოლიკა | 0:3 |
| მანტა-ინდეპენდიენტე | 2:1 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| სან მარტინი-სენსიანო | 2:1 |
| სპორტი-ლეონი | 1:2 |
| სპ. კრისტალი-კახამარკა | 1:1 |
| პასიფიკო-რეალი | 1:0 |
| კომერსიო-მელგარი | 1:0 |
| სესარ ვალიეხო-ხუან აურიჩი | 2:2 |

**აშშ**

| | |
|---|---|
| ნიუ ინგლენდი-სან ხოსე | 2:0 |
| ჰიუსტონი-ფილადელფია | 1:0 |
| ვანკუვერი-სიეტლი | 2:0 |
| ჩიკაგო-კანზას სიტი | 1:2 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| კოფუ-ურავა | 0:1 |
| ტოკიო-ჰიროშიმა | 0:1 |
| ვეგალტა-შონანი | 0:0 |
| ომიია-ტოსუ | 1:1 |
| კავასაკი-კაშიმა | 4:2 |
| იოკოჰამა-ოიტა | 1:1 |
| ნიიგატა-კაშივა | 3:2 |
| ივატა-სერეზო | 2:2 |
| ნაგოია-შიმიცუ | 2:1 |

**კორეა**

| | |
|---|---|
| დაეგუ-განგვონი | 0:0 |
| ჩუნამი-ინჩეონი | 1:1 |
| დაეჟეონი-ბუსანი | 0:0 |
| გიეონგნამი-ჯეჯუ | 2:4 |
| სეული-სეონგნამი | 3:0 |
| პოჰანგი-ჟეონბუკი | 0:2 |
| სუვონი-ულსანი | 0:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ახალი აკადემია და პატივსაცემი სტუმრები

# დინამოს აკადემია კრიშტიანო რონალდომ გახსნა



კრიშტიანო რონალდომ ბურთით წაივარჯიშა



ავტოგრაფების მოყვარულებს გული არ დასწყვიტა



კრიშტიანო რონალდო და ანდრეი შევჩენკო



დინამოელებთან ერთად



სტუმრებს აკადემია დინამოს პრეზიდენტმა რომან ფიფიამ დაათვალიერებინა

## დაუჯერებელი მარშრუტი: სანტიაგო ბერნაბეუდან დინამო არენაზე

გუშინ თბილისს თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი სტუმრობდა. **კრიშტიანო რონალდოს** ვიზიტი წინასწარ არავის დაუანონსებია, რადგან ამ საქმეზე მხარეებმა საბოლოო შეთანხმებას ბოლო მომენტში მიაღწიეს. სწორედ ამის გამო იყო, თბილისის "დინამოს" საწვრთნელ ბაზასა და "დინამოს" საფეხბურთო აკადემიასთან ქართველი გულშემატკივრების სიმრავლე რომ არ შეინიშნებოდა, თორემ კარგად ვიცით, როგორ აჟიოტაჟს იწვევს საქართველოში ვარსკვლავთა ვიზიტი.

მადრიდის "რეალისა" და პორტუგალიის ნაკრების ლიდერი ჯერ "დინამოს" ბაზას ესტუმრა, სადაც კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდა და ფეხბურთელებს მიესალმა, რასაც ვიზიტის მთავარი მისიის განხორციელება მოჰყვა. საპატიო სტუმარმა და მასპინძლებმა "დინამოს" აკადემიაში გადაინაცვლეს, სადაც მისი ოფიციალური გახსნის ცერემონიალი შედგა. აკადემია, რომელიც ქართველი ლეგენდის, **ვიტალი დარასელიას** სახელს ატარებს, რონალდომ გახსნა. ცერემონიალში მონაწილეობდა სახელოვანი უკრაინელი **ანდრეი შევჩენკოც**, რომლის ჩამოსვლაც, რა თქმა უნდა, არანაკლებ გამოსარჩევი ფაქტია, მაგრამ რაკი იგი თბილისში პირველად არ იმყოფება, მისი სტუმრობა რონალდოს ჩამოსვლამ გადაფარა. საპატიო სტუმრებს "დინამოს" პრეზიდენტ **რომან ფიფიასთან** ერთად თანამედროვეობის ყველაზე წარმატებულმა ქართველმა ფეხბურთელმა, ამჟამად ენერგეტიკის მინისტრმა **კახა კალაძემ** უმასპინძლა.

"დინამოს" აკადემიასთან რონალდოს დაახლოებით ორასი გულშემატკივარი დახვდა, რომელთა ნაწილმაც საყვარელ ფეხბურთელთან ფოტოების გადაღება და მისთვის ავტოგრაფის ჩამორთმევა შეძლო.

პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ფოტოები და ავტოგრაფები არც "დინამოს" აკადემიის აღსაზრდელებისთვის დაიშურა. მან აკადემიის შენობაც დაათვალიერა, რის შემდეგაც თბილისისა და მოსკოვის "დინამოების" ამხანაგური მატჩის სანახავად "დინამო არენას" მიაშურა.

მანამდე კი მედიისთვის სტუმრებმა და მასპინძლებმა მცირე კომენტარი გააკეთეს.

**რომან ფიფია**: "გაივლის წლები და ამ აკადემიაში აღზრდილი ბავშვები "დინამოსა" და ქართულ ფეხბურთს დიდ გამარჯვებებს მოუტანენ. ყველა სტუმარს მადლობა მობრძანებისთვის".

**კრიშტიანო რონალდო**: "მოხარული ვარ, თბილისში რომ ვიმყოფები. მადლობა "დინამოს" პრეზიდენტს მოწვევისთვის. იმედი მაქვს, სხვა დროისთვის უფრო ხანგრძლივი ვიზიტით გეწვევით. ქართულ ფეხბურთსა და თბილისის "დინამოს" წარმატებებს ვუსურვებ".

**ანდრეი შევჩენკო**: "თბილისის "დინამო" ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ხელწერითა და ბრწყინვალე ფეხბურთით. დარწმუნებული ვარ, ახალი აკადემია, რომელიც რომან ფიფიას უდიდესი ძალისხმევით აშენდა, კლუბის ახალი წარმატებების საწინდარი გახდება".

**კახა კალაძე**: "ეს ევროპული სტანდარტების აკადემიაა, რომლის გახსნითაც ყველანი ბედნიერები ვართ. ახალი თაობისთვის აქ ვარჯიში უდიდესი სტიმული უნდა იყოს. მთავრობა კი ქართული სპორტისა და ქართული ფეხბურთის გასავითარებლად ყველაფერს გააკეთებს".

**ლევან ყიფიანი** (საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი): "დინამო" იყო, არის და იქნება ქართული ფეხბურთის ფლაგმანი. ახალი აკადემია კი უდავოდ შეუწყობს ხელს კლუბის სამომავლო წარმატებებს".

**ლევან ჯანეზაშვილი**
**თამუნა ყულუმბეგაშვილის** ფოტოები




ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტური და უმტკივნეულო არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (577 74 89 21), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608